

მართლმსაჯულება № 3 '24
კანონი

Justice and Law Legal Journal
#3(83) 2024

N3(83)'24

მართლმსაჯულება



კანონი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი
The Scientific-Practical Legal Journal of the Supreme Court of Georgia and the Association of Judges of Georgia

რედაქტორი ნინო ძიდიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბექაური

ნომერზე მუშაობდა:
მარინე ვასაძე
დიზაინი:
ბესიკ დანელია



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
მზია თოდუა
გიორგი მიქაუტაძე
ზურაბ ძლიერიშვილი
ჯონი ხეტურიანი

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
GIORGI MIKAUTADZE
ZURAB DZLIERISHVILI
JONI KHETSURIANI

Editor:
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უბკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

ნატალია მოწონელიძე
5 ხელოვნური ინტელექტისა და რობოტი სისტემების გამოყენება
მედიცინაში და ზიანზე პასუხისმგებლობა

ARTIFICIAL INTELLIGENCE AND ROBOTIC SYSTEMS IN MEDICINE AND
LIABILITY FOR DAMAGE
NATALIA MOTSONELIDZE

ირმა მახათაძე
32 ლეგიტიმური მოლოდინის ცნება ადამიანის უფლებათა ევროპული
კონვენციით გარანტირებული საკუთრების უფლების კონტექსტში

DOCTRINE OF LEGITIMATE EXPECTATION IN PROPERTY RIGHTS UNDER
THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS
IRMA MAKHATADZE

ხვიჩა ბეგიაშვილი
46 უკანონო ნადირობა

ILLEGAL HUNTING
KHVICHA BEGIASHVILI

ნინო ნიავაძე
67 დავის განხილვის თავისებურებები სადაზღვევო ურთიერთობებში

PECULIARITIES OF DISPUTE RESOLUTION IN INSURANCE RELATIONS
NINO NIAVADZE

ნინო თაქთაქიშვილი
79 არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის თავისებურებანი
ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

PECULIARITIES OF IMPRISONMENT OF A MINOR DEFENDANT IN
THE GEORGIAN CRIMINAL JUSTICE PROCESS
NINO TAKTAKISHVILI

მალხაზ ლომსაძე
93 ჩრეპკის ჩატარების თავისებურებანი და საკანონმდებლო
სრულყოფის საკითხისათვის

PECULIARITIES OF CONDUCTING A SEARCH FOR THE ISSUE OF LEGISLATIVE
PERFECTION
MALKHAZ LOMSADZE

- 114 **თამარ ჭერდიკოშვილი**
ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, როგორც მომთმეპული
საფრთხის წყაროზე საკუთრების უფლების შექმნის თავისებურებანი
PECULIARITIES OF ACQUIRING THE PROPERTY RIGHT ON A VEHICLE THAT IS
CONSIDERED A SOURCE OF INCREASED DANGER
TAMAR KERDIKOSHVILI
- 134 **ანა ცერაძე**
საჯარო რეგისტრის უფუარობის და სისრულის პრეზუმფციის
როლი საკუთრების უფლების განხორციელებაში
THE ROLE OF THE PRESUMPTION OF INFALLIBILITY AND COMPLETENESS OF
THE PUBLIC REGISTRY IN THE EXERCISE OF OWNERSHIP RIGHTS
ANA TSERADZE
- 150 **ქეთევან ქორაშვილი**
რეცენზია ქეთევან კვინიკაძის სადისერტაციო ნაშრომზე:
უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შექმნა საკუთრების
წარმოშობის თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში

ხელოვნური ინტელექტისა და რობოტი სისტემების გამოყენება მედიცინაში და გიანზე პასუხისმგებლობა

ნათალია მოწონელიძე

სამართლის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

შესავალი

პოლონელი მხატვრის იაკობ როზალსკის ნახატი „შუადღის ჩაი,“¹ რომელიც 1920-იანი წლების გადმოსაცემად შეიქმნა, თითქმის დაუჯერებელია იმ პერიოდისთვის, თუმცა აქტუალურია დღევანდელი, სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიური სამყაროსთვის.²

ნახატზე მხატვარს წარმოდგენილი აქვს ომთა შორის პერიოდში ზედა ბურჟუაზიული ფენის ცხოვრება, რომელიც

¹ <https://jrozalski.com/projects/9BNNa>

² Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 943: 943–950. Eidenmüller H., The Rise of Robotics and the Law of Humans, ZEuP 2017, 765, 766.

იდილიად ჩათვლებოდა, რომ არა ნახატზე გამოსახული ორი უცნაური რობოტი. ერთი პატარა, მოსიარულე წყლის მადულარა, რომელიც დამკვირვებელს თვალს არ ჭრის და მეორე, მისგან განსხვავებული, დიდი ზომის საბრძოლო რობოტი, რომელიც სურათის უკანა ფონზე უადგილოდ და ამასთან, საშიშად მოსჩანს. ყოველგვარი მხატვრული განსჯისა და ანალიზის გარეშე მნახველი მარტივად აკეთებს დასკვნას, რომ იგი ზედმეტი, საშიში და ხელის შემშლელია. აღნიშნული მაგალითი მოტანილი აქვს გერმანელ ავტორს ოლივერ ბრანდს თავის სტატიაში „პასუხისმგებლობა და დაზღვევა მედიცინაში რობოტექნიკის გამოყენების შემთხვევაში“³ და ცდილობს ნახატით გამოწვეული ემოციები შეადაროს იმ თანამედროვე ავტორთა განცდებს, რომელებიც მედიცინაში რობოტექნიკის დანერგვის საკითხებს იკვლევენ. ბრანდის აზრით, მედიცინაში რობოტების გამოყენება ავტორებში შემოფოთებასა და შიშს იწვევს, მას განიხილავენ გამოწვევად და არა სიკეთედ.⁴ ხშირად ავტორთა მიერ რობოსისტემები შედარებულია მერი შელის „ფრანკენშტაინის მონსტრთან“ და გუსტავ მაირინკის „გოლემთან.“ ამის მიზეზად კი, მკურნალობის პროცესის მექანიზაციისა და დეჰუმანიზაციის მიმართ შიში სახელდება. რობოსისტემების გამოყენება მიიჩნევა საფრთხედ, ვინაიდან იგი ართულებს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, რასაც გამოჯანმრთელების პროცესზე უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია. ეს კი საბოლოოდ, ადამიანს ხელიდან აცლის სიკვდილისა და სიცოცხლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.⁵

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, იქნება ეს ფინანსური მომსახურების ავტომატიზებული სისტემები, უსაფრთხოების სფეროში სახის ამოცნობის პროგრამები თუ ავტომობილის ავტომატური მართვა. როდესაც მედიცინის სფეროში ხელოვნურ ინტელექტზე საუბარი, აქ როგორც წესი, იგულისხმება დიაგნოსტიკისა და თერაპიის ოპტიმიზაცია, ქირურგიაში რობოტი ასისტენტების გამოყენება, პერსონალიზებული მედიცინის ინსტრუმენტების მიწოდების შესაძლებლობა, სამედიცინო დაწესებულებებში არსებული მონაცემების ოპტიმალური მართვა და დამუშავება. რეალურად საინტერესოა, არის ეს სიკეთე თუ საფრთხე, რომელიც საზოგადოებას ემუქრება. სტატიაში განხილულია რა პირობები უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ „ინტელექტზე“ იყოს საუბარი, რა მიიჩნევა მედიცინაში „ხელოვნურ ინტელექტად“, ავტონომიურ და არაავტონომიურ რობოტებად. აღნიშნულის განსაზღვრა აქტუალური და არსებითად

³ Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 943: 943-950.

⁴ Eidenmüller H., The Rise of Robotics and the Law of Humans, ZEuP 2017, 765, 766.

⁵ Klesen R., Die Entscheidung von Maschinen über Menschenleben, Nomos, 2017.

მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოხდეს მათი დანერგვით გამოწვეული დადებითი და უარყოფითი შედეგების სამართლებრივი ანალიზი, პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში კი, სწორი სამართლებრივი შეფასება, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს რისკის მატარებელი სუბიექტების სწორ დადგენას და მათზე პასუხისმგებლობის გადანაწილებას.⁶ სწორედ ხელოვნური ინტელექტით გამოწვეული ზიანის და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემატიკაა სტატიაში წარმოჩენილი და გააანალიზებული.

1. განსხვავება კლასიკურ და ავტონომიურ რობოსისტემებს შორის

რობოტი არის ფიზიკური მანქანა, რომელიც დაპროგრამებულია კონკრეტული ამოცანების ავტომატურად შესასრულებლად. მას შეუძლია შეასრულოს როგორც მარტივი, ისე რთული ამოცანები, იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის იგი დაპროგრამებული. უფრო კონკრეტულად, რობოტი არის მოწყობილობა, რომელიც კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად არის განკუთვნილი. კლასიკური რობოტის ცნებაში იგულისხმება ავტომატურად მართვადი, ხელახლა პროგრამირებადი, სხვადასხვა მიზნისთვის განკუთვნილი მანიპულაციური მანქანები, რომელთაც მრავალფეროვანი შესაძლებლობა აქვთ. მათ მიერ შესასრულებელი სამუშაო შესაძლოა მოიცავდეს მარტივ დავალებებს, რომელიც პაციენტთან კონტაქტის გარეშე შეიძლება შესრულდეს. მაგალითად, იგი შეიძლება იწყებოდეს საკვების გადატანით, ნომრის დალაგებით და სრულდებოდეს დიაგნოსტიკებითა და მკურნალობით, როგორც არის წამლის დოზირება, პაციენტისთვის მედიკამენტის მიღების შეხსენება და სხვ. ზოგიერთ რობოტს შესწევს უნარი დაბანოს და გამოუცვალოს პაციენტს, დააკვირდეს მისი სხეულის ფუნქციონირებას, გადაცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, ჩართოს განგაშის სიგნალი. არის ასევე მცდელობა, უახლოეს მომავალში თავადვე შეძლონ რობოტებმა სასწრაფო ღონისძიებების გატარება, ინექციის გაკეთება ან ტკივილგამაყუჩებელი საშუალების მიცემა.⁷ ნანო რობოტები შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლში კიბოს სამკურნალოდ,⁸ რეაბილიტაციის რობოტ ასისტენტს (ROREA) კი, შეუძლია იზრუნოს და დაეხმაროს ინსულტის მქონე პაციენტს, რომელმაც ხელახლა უნდა ისწავლოს სიარული.⁹

⁶ Heinrichs B., Karger C. R., Katrin Heyl, Tade M. Spranger, Lanzerath D., Wagner R., Langner R., Caspers J., Sroka I., Eickhoff S., Künstliche Intelligenz in der Medizin, MedR (2023) 41: 259-264.

⁷ Münch F., Autonome Systeme im Krankenhaus, 1. Auflage, 2017, 52.

⁸ <https://www.the-scientist.com/daily-news/dna-robots-target-cancer-30289>

⁹ <https://www.roreas.org>

კლასიკურ რობოტებთან ერთად, ასევე არსებობს ავტონომიური პროგრამული აგენტები ე. წ. სამკურნალო და მოვლის სისტემები, რომელშიც ინტეგრირებულია ხელოვნური ინტელექტი. ხელოვნური ინტელექტი არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც დაფუძნებულია ალგორითმებსა და მანქანურ სწავლაზე. ეს იძლევა ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღებისა და მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობას. ხელოვნური ინტელექტი სპეციალიზებულია შეისწავლოს მონაცემები, გააანალიზოს ისინი, ამოიცნოს ესა თუ ის კანონზომიერება. აღნიშნულზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და განახორციელოს იგი ადამიანის გარე კონტროლისა თუ გავლენის გარეშე.¹⁰ ასეთი ტიპის რობოტების დროს საუბარია იმ რობოტულ სისტემებზე, რომელთაც შეუძლიათ თერაპიული და სამკურნალო ღონისძიებების დამოუკიდებლად გატარება, ადამიანის ჩარევის გარეშე.¹¹

ხელოვნური ინტელექტი – დიდი იმედია მედიცინაში. დიაგნოსტიკებისა და თერაპიის ახალი მეთოდების გამოყენებით ხელოვნური ინტელექტის დანერგვა უკეთესი ინდივიდუალური ჯანდაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობის იმედს იძლევა. დაავადებათა პრევენცია და ადრეულ სტადიაზე პროგნოზირება ხელს შეუწყობს ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებას. დღესდღეობით, ხელოვნური ინტელექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ვიზუალურ დიაგნოსტიკაში ასრულებს. განსაკუთრებით ისეთი, როგორც არის რენტგენი, კომპიუტერული ტომოგრაფია ან სკანირება. მანქანათმცოდნეობის¹² მეთოდის გამოყენებით, პროგრამებს „ასწავლიან“ პაციენტთა კომპიუტერული გამოსახულებიდან ამოიცნონ სხვადასხვა დაავადება. ალგორითმები ისე წარმოაჩენენ მაგალითად, ფილტვის გამოსახულებას, რომ პასუხისმგებელ ექიმს გაუადვილდეს შეამჩნიოს ესა თუ ის დაავადება. ამისათვის ალგორითმებს „ასწავლიან“ როგორ გამოიყურება ჯანმრთელი ფილტვი და როგორ ვლინდება სხვადასხვა დაავადება. გამოსახულების ჩვენების დროს, განსაკუთრებულად ესმება ხაზი იმ ელემენტებს, რომლებიც ამა თუ იმ დაავადებაზე მიუთითებს.¹³

მედიცინაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია, ჰისტოპათოლოგიის დროს ქსოვილის ნაწილის გამოკვლევისას, ხელოვნური ნერვული ქსე-

¹⁰ NJW 2018, 977 f.

¹¹ Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 947: 943-950. Eidenmüller H., The Rise of Robotics and the Law of Humans, ZEuP 2017, 765, 766.

¹² Machine learning (ML) არის ხელოვნური ინტელექტის ქვედისციპლინა, რომელიც კომპიუტერს აძლევს შესაძლებლობას შეისწავლოს სხვადასხვა გამოცდილებები და შემდგომში, მისთვის მიწოდებული ინფორმაციიდან ამოიცნოს მონაცემები.

¹³ Zech H., Hünefeld C., Einsatz von KI in der Medizin: Haftung und Versicherung, MedR (2023) 41: 1-8.

ლების მეშვეობით გამოსახულების ამოცნობა.¹⁴ ამ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება, როგორც გადაწყვეტილების მიღებაში დახმარე საშუალება. იგი ახდენს ქსოვილის უბნების დიაგნოსტიკას და მათ კლასიფიკაციას სიმსივნურად საეჭვო და არასიმსივნურად საეჭვო უბნებად. ეს კი, გამოცდილ ექიმს აძლევს შესაძლებლობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ საეჭვო უბნებს, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის მიერ არის მონიშნული.¹⁵

ონკოლოგიაში ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა წარმონაქმნის დიფერენციაცია და დიაგნოსტიკა დიდი სიზუსტით. ქირურგიაში ხელოვნური ინტელექტის მოწინავე მაგალითია და ვინჩის რობოტი,¹⁶ რომელიც საშუალებას იძლევა რთული პროცედურები უფრო მეტად კონტროლირებადი გზით ჩატარდეს, ქირურგის უნებლიე მოძრაობების გამორიცხვით. კარდიოლოგიაში არის ალგორითმები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია კარდიოგრამის შეფასება და აბსოლუტური სიზუსტით არითმიის მიგნება და წამებში ანგარიში. ალგორითმებს შეუძლიათ მონაცემებში გარკვეული კანონზომიერების ამოცნობა. მაგალითად, კოპენჰაგენში გადაუდებელი დახმარების ცხელ ხაზზე შესულ ზარებს ანალიზებს ხელოვნური ინტელექტი. თუ ხმის ანალიზი მიუთითებს, რომ პირს აქვს გულის შეტევა, მაშინ სიგნალი გადაეცემათ იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთ შემთხვევებში გადაუდებელ დახმარებაზე არიან პასუხისმგებელი.

ხელოვნური ინტელექტი არის სისტემური მედიცინის ქვაკუთხედი, რომელიც მიზნად ისახავს ინდივიდუალური და ამასთან, ყველაზე ეფექტიანი თერაპიის გამოყენებას. ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, ნევროლოგიაში ტვინის სკანირების შეფასებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ადრეულ სტადიაზე ალცჰაიმერის დაავადების დიაგნოსტიკაში. სამომავლოდ, რობოტები შესაბამისი ხელოვნური ინტელექტის

¹⁴ ჰისტოპათოლოგიური ტესტების მიზანია ქსოვილების გამოკვლევა და მათთან დაკავშირებული დაავადებების დიაგნოსტიკა და შესწავლა. ჰისტოპათოლოგიური კვლევა გულისხმობს მიკროსკოპის ქვეშ ქსოვილების და/ან უჯრედების გულდასმით გამოკვლევას და უჯრედებში არსებული ცვლილებების აღმოჩენას, რითაც შემდგომში აიხსნება პაციენტის ამა თუ იმ დაავადების მიზეზი. ტესტების მეშვეობით კანის, ღვიძლის, თირკმლების ან სხვა ორგანოს ქსოვილის მცირე ნაწილის გამოკვლევით (ბიოფსია) სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკა (მათ შორის, კიბოს) შესაძლებელია.

¹⁵ უკვე არსებობს პირველადი კვლევები (Proof-of-Concept-Studien), რომლებიც მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ჰისტომორფოლოგიური კვლევები უფრო სწრაფი და ზუსტი დიაგნოსტიკების შესაძლებლობას იძლევა.

¹⁶ და ვინჩის რობოტი არის ქირურგიული ოპერაციის კომპიუტერიზებულად ჩატარებისთვის განკუთვნილი მაღალგანვითარებული სისტემა. იგი აძლევს ექიმებს საშუალებას აკურატულად ჩაატარონ ოპერაცია იმ ადგილებში, სადაც უკიდურესად ზუსტი პროცედურული ჩარევაა აუცილებელი. ამისათვის ექიმი მართავს კომპიუტერს, რომელიც ბრძანებას სამ საოპერაციო ხელს გადასცემს. ასევე ხელს, რომელიც არის სპეციალური კამერით აღჭურვილი. აღნიშნულ მოწყობილობას აქვს მოძრაობის რთული მექანიზმი და ამასთან, მაღალეფექტური ფილტრი. იგი ისეთივე მოქნილია, როგორც ადამიანი თუმცა, ადამიანთან შედარებით უფრო ზუსტი.

აპლიკაციიდან მიიღებენ და შეაფასებენ ინფორმაციას მანამდე ჩატარებული კვლევებისა თუ ოპერაციული ჩარევების თაობაზე. აღნიშნულის საფუძველზე მოახდენენ ქირურგიული ინსტრუმენტების ოპტიმალურ მართვას ან დამოუკიდებლად შეიმუშავებენ ახალ ქირურგიულ ტექნიკას.¹⁷

რობოსისტემებისა და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის კომბინაცია უზარმაზარ პოტენციალს იძლევა, განსაკუთრებით მედიცინაში.

2. გამოწვევები ჯანდაცვის სისტემაში და გამოსავალი

ევროპული სახელმწიფოები ჯანდაცვის სისტემაში დიდი გამოწვევების წინაშე დგანან. მათ დასაძლევად ხელოვნურ ინტელექტზე დიდ იმედებს ამყარებენ. დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, იზრდება სამედიცინო მომსახურება/მოვლაზე მოთხოვნა. აღნიშნულს კი, აფერხებს სამედიცინო სექტორში კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა. მიუხედავად მზარდი საჭიროებისა, გასული 15 წლის განმავლობაში, გერმანიაში სამედიცინო პერსონალის რაოდენობა 15%-ით შემცირდა. ისინი არ არიან კმაყოფილი ხელფასითა და სამუშაო პირობებით. ხანგრძლივი და სტრესული სამუშაო იმდენად აუტანელია პერსონალისთვის (განსაკუთრებით ექთნებისთვის), რომ სტატისტიკურად მათ ხშირად ემართებათ კუნთ-სახსროვანი დაავადებები, ასევე ფსიქიკური აშლილობა, როგორც არის დეპრესია და პანიკა. რა თქმა უნდა, ეს ზრდის შრომისუნარობის რისკს, რის გამოც იზრდება სადაზღვევო დაცვის ღირებულებაც. შრომისუნარობის დღეებში, პერსონალის სიმცირის გამო, მათი ჩანაცვლება თითქმის შეუძლებელია, რაც ზრდის პაციენტების უკმაყოფილებას და მათ საჩივრებს სამედიცინო დაწესებულების მიმართ, დროულად არგაწეული სამედიცინო მომსახურების თაობაზე.¹⁸

სტატისტიკურად, მომვლელი ექთნების 50% განათლების საწყის ეტაპზე იცვლის პროფესიას. გერმანიის უთანასწორობისა და სოციალური კვლევის ცენტრის 2018 წლის ანგარიში კიდევ უფრო საგანგაშო მონაცემებს აქვეყნებს. მათი მითითებით, ექთნებს შორის სუიციდის შემთხვევები განსაკუთრებით თვალშისაცემია.¹⁹

¹⁷ Mühlböck/Taupitz, AcP 221 (2021), 179, 181 f.; Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 943: 943-950.

Eidenmüller H., The Rise of Robotics and the Law of Humans, ZEuP 2017, 765, 766. Münch F., Autonome Systeme im Krankenhaus, 2017, 52.

¹⁸ Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 943: 943-950.

¹⁹ <https://www.barmer.de/blob/170372/9186b971babc3f80267fc329d65f8e5e/data/dl-pflegereport-komplett.pdf>

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ზრუნვა და მკურნალობა ტრადიციულად პაციენტსა და სამედიცინო პერსონალს შორის ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე დგას, სფეროში არსებული გამოწვევები ამ ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ეს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის სამედიცინო სფეროში ხელოვნური ინტელექტის, რობოსისტემების ჩართვის აუცილებლობას.

რობოტების გამოყენების დანერგვა შესაძლოა იყოს ერთ-ერთი გზა სამედიცინო სექტორის დატვირთვის შესამსუბუქებლად. მაგალითად, ისეთი მარტივი, მაგრამ ადამიანისთვის დამღლევი საქმის შესრულება, როგორც არის საწოლის გამოცვლა, მედიკამენტის სწორი დოზირება ან მისი მიღების შეხსენების გადაკისრება რობოსისტემებზე, პერსონალს დაუტოვებს მეტ დროს შეასრულოს ისეთი საქმე, რომლის განხორციელებაც რობოტებს ერთულებათ ან უმჯობესია ადამიანმა თავად შეასრულოს. მაგალითად, პაციენტისთვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა, დიაგნოსტიკა ან მკურნალობის უკეთესი დაგეგმვა.²⁰

გარდა ზემოაღნიშნულისა, რობოსისტემების შემოღება ისეთ შედეგებს ჰპირდება საზოგადოებას, რომლის განხორციელებაც ადამიანის ძალებს აღემატება. სამედიცინო რობოტები და ავტომატიზებული კომპიუტერული აგრეგატები იძლევა პაციენტის ოცდაოთხსაათიანი მეთვალყურეობის შესაძლებლობას, ისე რომ პერსონალი არ იღლებას.

3. კრიტიკა მედიცინაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თაობაზე

2013 წელს, გერმანიაში ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად, 300 ათასი გამოკითხულიდან 23% თანხმობას გამოთქვამდა მათ სამედიცინო მომსახურებაში რობოტული სისტემები და ხელოვნური ინტელექტი ყოფილიყო ჩართული. გამოკითხული ჯგუფის იმ ნაწილიდან კი, რომელსაც 30 წლამდე განათლებული ახალგაზრდები მიეკუთვნებოდნენ, ასეთ თანხმობას 30%-მდე გამოკითხული აცხადებდა.²¹ აღნიშნული კიდევ ერთხელ უჩვენებს რობოსისტემებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მოწინააღმდეგეებს, რომ არასწორი იქნება მათი შეხედულების გაზიარება სამომავლოდ, ხელოვნური ინტელექტისა და რობოსისტემების განვითარება და გამოყენება მხოლოდ მოვლისა და ჰოსპის სფეროთი შეიზღუდოს.

²⁰ EU-Parlament, EntschlieÙung, Rn.32.

²¹ Stiftung Internetforschung, Onlinebefragung „Leben im Alter“ im Auftrag von ErgoDirekt, Juni/Juli 2013, Tabellenband, 35, <https://ergodirekt.de>.

მედიცინაში ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიკის შემოტანის წინააღმდეგ რამდენიმე არგუმენტი მოჰყავთ. ერთ-ერთი არგუმენტი, რის გამოც მედიცინაში ხელოვნური ინტელექტის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება შეიმჩნევა, არის ჯანდაცვის სექტორის დეჰუმანიზაციისა და ალგორითმებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების საფრთხე.²² გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმის არაპროგნოზირებადობის გამო გამოითქვა ვარაუდი, რომ ჯანდაცვის სექტორში მსგავსი სისტემების შემოღება ხელს შეუწყობს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და მანიპულაციას.²³

თანდათანობით ნათელი ხდება სამომავლოდ, სად გადაიკვეთება დიგიტალიზაციის შედეგად გამოწვეული კონფლიქტის ხაზები. კერძოდ, ეს იქნება ერთი მხრივ კონფლიქტი ინოვაციას, სამედიცინო პროგრესსა და ტექნიკურ მიზანშეწონილობას შორის და მეორე მხრივ, ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს, ობიექტურ ღირებულებებსა და ძირითად ეთიკურ პრინციპებს შორის.²⁴ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და ავტონომიური სისტემების მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შემთხვევაში, უცნობია, როგორ მოხდება პაციენტის თვითგამორკვევის უფლების, ზიანის თავიდან აცილების, ზრუნვისა და სამართლიანობის²⁵ სამედიცინო ეთიკური პრინციპების უზრუნველყოფა.

მეორე მყარ არგუმენტად, მედიცინაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წინააღმდეგ, კვლავ რჩება სამართლებრივი გაურკვევლობა, რომელიც ზიანის მიყენების შემთხვევაში, მის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმოიშობა.

პრაქტიკა ცალსახად მოწმობს, რომ ხელოვნური ინტელექტისა თუ რობოტების დახმარებით მკურნალობისას პაციენტისთვის მიყენებული ზიანი, არცთუ იშვიათი მოვლენაა. ადამიანსა და მანქანას შორის პირდაპირი ინტერაქციის დროს კი, ყოველთვის არსებობს რისკი, რომ რობოტი რაიმე წარუმატებლობის ან ფუნქციური გაუმართაობის გამო ზიანს მიაყენებს ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მაგალითად, მეცნიერებმა შეისწავლეს ამერიკის შეერთებული შტატების საკვებისა და წამლის მარეგულირებელი სააგენტოს (FDA) მონაცემები, რომელიც ეხებოდა რობოტების დახმარებით ჩატარებულ 1,7 მილიონზე მეტ ქირურგიულ ოპერაციას. დადგინდა, რომ 144 პაციენტი საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა, ხოლო 101400 პაციენტის ჯანმრთელობას ზიანი მიაღდა. აღნიშნულ

²² შეად. კვლევა Was Europa über Algorithmen weiß und denkt, Ergebnisse einer repräsentativen Bevölkerungsumfrage im Auftrag der Bertelsmann-Stiftung, Februar 2019, 7, 27.

²³ Deutscher Ethikrat, Big Data und Gesundheit, 2017, 18 f.: „großes Missbrauchspotenzial“; zu Manipulationen ärztlicher Entscheidungen zugunsten der Produkte eines best. Arzneimittelherstellers Taupitz, AcP 211 (2011), 352, 384.

²⁴ Katzenmeier, MedR 2019, 259, 268 f.; Hänold/Schlee/Antweiler/Beckh, MedR 2021, 516 ff.

²⁵ of Biomedical Ethics, 7th ed. 2012; dazu Maio, Mittelpunkt Mensch: Ethik in der Medizin, 2. Aufl. 2017, 157 ff.;

მონაცემებში ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ შემთხვევების 60%-ში ადამიანის პასუხისმგებლობა არ იკვეთებოდა. იგი გამოწვეული იყო რობოტების/ხელოვნური ინტელექტის ჩარევით.²⁶ ზიანი მოცემულ კონტექსტში გულისხმობს აბსოლუტური უფლებების დარღვევას და მისგან გამომდინარე არამატერიალურ და მატერიალურ ზიანს, როგორც არის მაგალითად, მკურნალობის ხარჯები.²⁷ რობოტებისა და ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში, სწორედ ზიანის მიყენების ეს პოტენციალი „მნიშვნელოვან საფრთხედ“ განიხილება.²⁸

როდესაც „ავტონომიური სისტემებით“ გამოწვეულ ზიანზეა საუბარი, აქ რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ადამიანის პირადი ავტონომია ე. ი. არ იგულისხმება თავისუფალი და რაციონალური მოქმედების უნარი მორალური დათქმების გათვალისწინებით. უფრო მეტად აქ საუბარია „ტექნიკურ ავტონომიაზე“, რომელიც შებოჭილია თავისი ფუნქციებით.²⁹ სისტემა ავტონომიურია თუ კონკრეტული ქცევა არის არა წინასწარ განსაზღვრული, არამედ ხელოვნური ინტელექტის ქცევა განვითარებულია ადამიანის ინსტრუქციების საფუძველზე ისე, რომ სისტემის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საიმედო პროგნოზირება თვით მისი დამპროგრამებლის მიერაც კი, შეუძლებელია.

4. პასუხისმგებლობა DE LEGE LATA³⁰

2024 წლის 21 აპრილს, ევროპის საბჭომ მიიღო ხელოვნური ინტელექტის ჰარმონიზაციის წესების დამდგენი დირექტივა – კანონი ხელოვნური ინტელექტის შესახებ.³¹ ეს არის მსოფლიოში პირველი ყოვლისმომცველი კანონი ხელოვნური ინტელექტის შესახებ.³² ევროპის პარლამენტის მითითებით, ხელოვნური ინტელექტის საკითხის რეგულირება ევროპის ციფრული სტრატეგიის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებისა და გამოყენებისთვის უკეთესი პირობების შექმნას,

²⁶ Hüttl P., Behandlungsfehler bei Anwendung von künstlicher Intelligenz - Verändert sich die Haftung? Endo-Praxis 2021; 37(01): 9-11.

²⁷ Keilbar/Ziegler, in: BeckRA-HdB, 12. Aufl. 2022, § 28, Rn. 87.

²⁸ Beck, MedR 2018, 772, 775.

²⁹ Teubner C., Digitale Rechtssubjekte? AcP 218 (2018), 155, 173; Schulz, Verantwortlichkeit bei autonom agierenden Systemen, 2015, S. 43 ff.

³⁰ ლათ. მოქმედი კანონმდებლობით.

³¹ დირექტივა სხვადასხვა ენაზე ხელმისაწვდომია: <https://artificialintelligenceact.eu/de/das-gesetz/>

³² Europäische Kommission - Fragen und Antworten, 1.08.2024, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/de/QANDA_21_1683

ასევე იმ რისკების თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წამოიშვას ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ფუნდამენტური უფლებების სფეროში. აღნიშნულია, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ბევრი დადებითი მოტანა. განსაკუთრებული ყურადღება კი, ჯანდაცვის უკეთეს უზრუნველყოფაზე გამახვილებული.³³ თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს დირექტივა ხელოვნური ინტელექტის ჰარმონიზაციის წესების შესახებ არ შეიცავს პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ სპეციალურ წესებს.

რა თქმა უნდა, ეს იმაზე არ მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ან რობოტების გამოყენება მედიცინაში პასუხისმგებლობას გამორიცხავს. პირიქით, ეს მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობის საკითხი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უნდა გადაწყდეს. თუმცა, იმის გამო, რომ ავტონომიური სისტემების მიერ მიღებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე ადამიანს დაბალი გავლენა აქვს, რთულია ცალსახა პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა აღნიშნული სისტემის გამოყენებით მიყენებული ზიანისთვის.

განსხვავებით ადამიანისგან, ხელოვნური ინტელექტის ქცევა არ არის პროგნოზირებადი, ვინაიდან იგი მუდმივად სწავლის და განვითარების პროცესშია. ეს კი, პასუხისმგებლობის კუთხით ბევრ სამართლებრივ პრობლემას და კითხვას ბადებს, რომელიც ჯერჯერობით, იურისპრუდენციაში პასუხგაუცემელია. ამ ეტაპზე, წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი გზა, იმ იურიდიული კონსენსუსების გაზიარებაა, რომელიც პასუხისმგებლობის თაობაზე სამედიცინო სამართალში დღესდღეობით არსებობს.³⁴

სამართლებრივად შესაფასებელია, რამდენად არის შესაძლებელი ასეთი ტიპის შეცდომებზე სამედიცინო პასუხისმგებლობის იმ ძირითადი პრინციპების გამოყენება, რომელიც ადამიანის მიერ მიყენებული ზიანის თაობაზე ბოლო ათწლეულების მანძილზე სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა. ასევე, გაანალიზდეს კანონმდებლობაში ნორმები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ რობოტი ასისტენტების მიერ მიყენებული ზიანის სამართლებრივი რეგულირებისთვის, რომლებიც არაავტონომიურად მოქმედებენ. შემდგომ მოხდეს იმ რობოტების პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრა, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებენ და ისინი მედიცინაში უახლოეს

³³ Europäische Parliament, KI-Gesetz: erste Regulierung der künstlichen Intelligenz, 08.06.2023, <https://www.europarl.europa.eu/topics/de/article/20230601STO93804/ki-gesetz-erste-regulierung-der-kunstlichen-intelligenz>

³⁴ Hüttl P. Behandlungsfehler bei Anwendung von künstlicher Intelligenz - Verändert sich die Haftung? Endo-Praxis 2021; 37(01): 9-11.

მომავალში დაინერგება. რა თქმა უნდა, ანალიზისა და შეფასების დროს, ადამიანის ქმედებისა და მანქანის ქმედებათა დაუფიქრებლად გაიგივება არ უნდა მოხდეს.³⁵

4.1. ექიმის პასუხისმგებლობის კლასიკური საფუძველი

კლასიკური მიდგომით, პასუხისმგებლობა არსებითად ეხება იმას, რაც კანონმდებლის მიერ უკვე განსაზღვრულია. ასე მაგალითად, პაციენტის სახელშეკრულებო მოთხოვნები, რომელთა დარღვევისთვისაც პაციენტს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სსკ-ის ზოგადი დანაწესების მიხედვით.³⁶ ამასთან ერთად, არსებობს რა თქმა უნდა, პაციენტის დელიქტური მოთხოვნები, რომელიც სსკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად, მას აძლევს შესაძლებლობას მოითხოვოს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ექიმის კლასიკურ პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს ორპოლუსიანი ურთიერთობა – მკურნალსა და პაციენტს შორის.³⁷ თუ ზიანი გამოწვეულია მკურნალის მიერ ე. ი. თუ ის არის რისკის წყარო, მაშინ საუბრობენ იატროგენულ ზიანზე.³⁸ ზიანის მიზეზი შესაძლოა იყოს, როგორც ექიმის მოქმედება, ისე უმოქმედობა. მაგალითად, არაინდიცირებულ³⁹ ღონისძიებების გატარება, ინდიცირებული ღონისძიებების გაუტარებლობა, არასწორი ღონისძიებების გატარება, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა და სხვ. თუმცა, რა თქმა უნდა, მკურნალი ექიმის რისკი და პასუხისმგებლობა არ არის უსაზღვრო. ასე მაგალითად, ავადმყოფობის და სიცოცხლის ზოგადი რისკის გადაკისრება მკურნალ ექიმზე დაუშვებელია. იგი არის პაციენტის ან მისი მზღვეველის პასუხისმგებლობის სფეროში.⁴⁰

თუ სამედიცინო მკურნალობის დროს ხდება რობოსისტემების გამოყენება, მაშინ მკურნალი ექიმის (სამედიცინო დაწესებულების) გვერდით, რომელიც კლასიკურად რისკის წყაროა, ჩნდება კიდევ ერთი რისკის წყარო, სხვა სამედიცინო პროდუქტების მსგავსად – არაავტონომიური ან ავტონომიური სისტემები, რომელიც ხელოვნური ინტელექტით არის მხარდა-

³⁵ Katzenmeier Ch., KI in der Medizin-Haftungsfragen, MedR, 2021, 859-867.

³⁶ სსკ-ის 394-ე, 404-ე და დაკავშირებული მუხლები.

³⁷ Zech H., Hünefeld C., Einsatz von KI in der Medizin: Haftung und Versicherung, MedR (2023) 41: 1-8.

³⁸ ექიმის მიერ გამოწვეული ზიანი, Roche-Lexikon Medizin, 5. Aufl. 2003, 897.

³⁹ ღონისძიება, რომელიც არსებული კლინიკური სურათის შემთხვევაში არ არის გამართლებული, ვინაიდან იგი პაციენტს არანაირ სარგებელს არ მოუტანს.

⁴⁰ BGH, Urt. v. 8. 1. 1991 – VI ZR 102/90 –, BeckRS 9998, 96836; მითითებულია – Greiner, in: Geiß/Greiner, Arzthaftpflichtrecht, 8. Aufl. 2022, Teil B, Rn. 1.

ტერილი. მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მედიცინაში ხელოვნური ინტელექტი მკურნალობის ე. წ. ახალი მეთოდია, მისი არჩევა მკურნალობის განსახორციელებლად თავისთავად არ მიუთითებს სამედიცინო შეცდომაზე. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ თავის 2017 წლის გადაწყვეტილებაში ნათლად აღნიშნა, რომ „თერაპიის იმ ფორმის გამოყენება, რომელიც საყოველთაოდ არ არის აღიარებული სამართლებრივად დაშვებულია.“⁴¹ მართალია, იურიდიულ წრეებში ჯერ კიდევ, არ არის ერთიანი აზრი აღნიშნული მიდგომის თაობაზე თუმცა, მიჩნეულია, რომ ზოგადად, სამართლებრივი საფუძვლით მკურნალობის მეთოდების შეზღუდვა სამედიცინო პროგრესს ხელს შეუშლის.⁴² საწყის ეტაპზე ურთიერთობის სწორი წარმართვისთვის გადამწყვეტია, რომ თითოეულ პაციენტს, რომლის მკურნალობისთვისაც ტრადიციული მედიცინის მიერ ჯერ არაღიარებული თერაპიის გამოიყენება უნდა მოხდეს, ჰქონდეს შესაძლებლობა თავად მიიღოს გადაწყვეტილება სსკ-ის 54-55-ე მუხლების შესაბამისად, მკურნალობის მეთოდის გამოყენების თაობაზე. ამისათვის კი, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უცვლელ პრინციპად რჩება.

4.1.1. ინფორმირებულობის ვალდებულება

ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ფაქტორია ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში, რაც არა ერთხელ დაადასტურა გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში.⁴³ სენატის მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, მკურნალობის ჯერ კიდევ, საყოველთაოდ არაღიარებული მეთოდის გამოყენებისთვის, პაციენტის თვითგამორკვევის უფლების დასაცავად, აუცილებელია მისთვის სამკურნალო მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეების თაობაზე ინფორმაციის სათანადოდ მიწოდება. აღნიშნული გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას, არა მხოლოდ ჩვეულებრივი სამედიცინო რისკების თაობაზე, არამედ სამედიცინო მკურნალობის მიმდინარეობაზე, მკურნალობაში რობოტების გამოყენების მოცულობაზე და სპეციფიურ საფრთხეებზე, რომელიც გამოსაყენებელი რობოტებიდან მომდინარეობს.⁴⁴ ასევე, სახე, მოცულობა ჩატარებული მკურნალობის, მოსალოდნელი შედეგები, თანმდევი რისკები, მისი ჩატარების

⁴¹ BGH, Urteil vom 30.05.2017, Az.: XI ZR 203/16.

⁴² BGH, Urteil vom 30.05.2017, Az.: XI ZR 203/16.

⁴³ BGH, Urteil vom 15.10.2019, Az.: XI ZR 105/18. გერმანულმა სამართალწარმოებამ ე.წ. „Robodoc“-ის საქმეზე დაადგინა პაციენტთა სავალდებულო ინფორმირება მკურნალობის ალტერნატიული მეთოდების თაობაზე, რომელიც რობოტიკის გამოყენებას საჭიროებს.

⁴⁴ Hennies, ArztlR 2001, 64, 68; მითითებულია: Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 943: 943–950. Beck, MedR 2018, 772, 775; Specht/Herold, Roboter als Vertragspartner? MMR 2018, 40.

აუცილებლობა, გადაუდებლობა, სარგებლიანობა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თვალსაზრისით, წარმატების პერსპექტივა. პაციენტს უნდა განემარტოს ალტერნატიული მკურნალობის თაობაზე, შეიცავს თუ არა ალტერნატიული მეთოდი ტრადიციულთან შედარებით ნაკლებ რისკს განკურნების ეკვივალენტური ალბათობით ან იგივე რისკს თუმცა, მკურნალობისა და განკურნების უფრო მაღალ ალბათობას.

თუ ექიმს სურს გადაუხვიოს სამედიცინო სტანდარტიდან და ახალი, ჯერ კიდევ, საყოველთაოდ არ აღიარებული მეთოდი გამოიყენოს, რომლის რისკებიც ბოლომდე არ არის შესწავლილი, აუცილებლად უნდა აუხსნას პაციენტს, რომ საუბარია ახალ მეთოდზე, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც პრაქტიკაში გამოიყენება და მისი ეფექტიანობა სტატისტიკურად არ არის დადასტურებული. ამასთან, უცნობი რისკის დადგომა არ არის გამორიცხული. პაციენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გულდასმით გაიაზროს და მიიღოს გადაწყვეტილება, სურს მას მკურნალობა ტრადიციული მეთოდით, რომლის რისკები წინასწარ არის ცნობილი, თუ გამოიყენოს ახალი მეთოდი, რომელიც მართალია უკეთეს შედეგს ჰპირდება, მაგრამ მისი რისკები არ არის ბოლომდე შესწავლილი და ცნობილი. ვინაიდან მკურნალობაში მეთოდის გამოყენების არჩევა პაციენტის არჩევანის თავისუფლებას და შესაბამისად, მისი თვითგამორკვევის უფლებას ეხება, როგორც აღინიშნა, მისი ინფორმირებულობა სავალდებულოა.

თუ აღნიშნული ახსნა-განმარტების შემდეგ პაციენტი მიიღებს გადაწყვეტილებას რობოტეხიკის გამოყენების წინააღმდეგ, მას შეუძლია მკურნალობა ადამიანისგან მოითხოვოს. თუ მკურნალი ექიმი არ არის აღნიშნულისთვის კომპეტენტური, მან უნდა მიუთითოს სხვა მკურნალ ექიმზე.⁴⁵ რობოტის გამოყენებით პაციენტის „იძულებით მკურნალობა“ არ არის დაშვებული. მედიცინაში რობოტით მხარდაჭერილი მეთოდის გამოყენება, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ მიეკუთვნება ბრუნვის ან ორგანიზაციული მართვის წესების დარღვევას მხოლოდ და მხოლოდ იმ საფუძველით, რომ რობოტი ახალი, ნაკლებად გამოცდილი საშუალებაა. მეთოდის არჩევა საექიმო საქმიანობის თავისუფლების შემადგენელი ნაწილია. პირიქით, ახალი მეთოდის გამოყენება შეიძლება გამართლებულიც იყოს თუ დადებითი და უარყოფითი ფაქტორების აწონვით ის ტრადიციულ მეთოდს არ ჩამოუვარდება.⁴⁶ ეს შემთხვევა განსაკუთრებით მაშინ არის სახეზე, როდესაც ადგილზე

⁴⁵ Hennies, ArztR 2001, 64, 68. მოთითებულია: Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 943: 943-950.

⁴⁶ OLG Frankfurt, Urt. v. 7. 12. 2004 – 8 U 194/03 Rdnrn. 27 f. Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 943: 943-950.

არის პრაქტიკოსთა საკმარისად გაწვრთნილი გუნდი, რომელსაც შეუძლია რობოტექნიკასთან სათანადო მოპყრობა და მისი გამოყენება, ასევე შეუძლია იმ რისკების გათვლა, რომელიც ტრადიციულ მეთოდთან შედარებით შეიძლება ახლდეს ახლის გამოყენებას.⁴⁷

რობოსისტემების და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიმართ მკაცრი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ რობოტებს შეხება აქვთ იმ ადამინებთან, რომლებსაც განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ, ამიტომ ასეთ დროს განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო.⁴⁸

4.2. პასუხისმგებლობა მკურნალობისა და მოვლის ავტონომიურ სისტემებზე

ქმედებაზე პასუხისმგებლობის დადგენა რთულია, როდესაც საუბარია მკურნალობის სფეროში ავტონომიურად ე. ი. დამოუკიდებლად მოქმედ პროგრამულ სისტემებზე. მათი ქმედებები უმეტესწილად, არაპროგნოზირებადი და არაკონტროლირებადია. „Deep learning“-ი⁴⁹ იძლევა შესაძლებლობას მოხდეს მონაცემთა დამუშავება ადამიანის ჩარევის გარეშე, კერძოდ, მის მიერ წინასწარი პროგრამირებისა და ფილტრაციის გარეშე.⁵⁰ მას ავტონომიურ სამედიცინო რობოტს უწოდებენ, ვინაიდან იგი გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა მონაწილე პირი უცნობი საფრთხის წინაშე დგას.⁵¹ სწორედ ამიტომ, მეცნიერთა ნაწილისთვის განუჭვრეტადი, თვითნასწავლი მანქანები პასუხისმგებლობისა და მისი შერაცხადობის შესახებ დამკვიდრებულ სტრუქტურულ სქემებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ.

4.2.1. პასუხისმგებლობა სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე

დელიქტური პასუხისმგებლობის შემადგენლობა მოცემულია სსკ-ის 992-ე მუხლში. პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი

⁴⁷ OLG Frankfurt, Urt. v. 7. 12. 2004 – 8 U 194/03, Rn. 33.

⁴⁸ Beck S., Zum Einsatz von Robotern im Palliativ- und Hospizbereich, MedR 2018, 772, 777.

⁴⁹ „Deep learning“ არის ხელოვნური ინტელექტის მეთოდი, რომელიც კომპიუტერს ასწავლის მონაცემების დამუშავებას ადამიანის ტვინის ანალოგიურად. იგი იყენებს მრავალშრიან ნერვულ ქსელებს, რომელსაც ღრმა ნერვულ ქსელებს უწოდებენ, რათა მოხდეს ადამიანის ტვინის კომპლექსური გადაწყვეტილების მიღების უნარის სიმულაცია.

⁵⁰ Denga M., Deliktische Haftung für künstliche Intelligenz, CR 2018, 69, 70.

⁵¹ Beck S., Zum Einsatz von Robotern im Palliativ- und Hospizbereich, MedR 2018, 772, 777.

მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. დელიქტურ სამართალში მოქმედი გულისხმიერების ვალდებულება დაკავშირებულია კონცეფციასთან – არ ავნო სხვას. შინაარსობრივად, დელიქტური პასუხისმგებლობისას ზრუნვის ვალდებულება იდენტურია სახელშეკრულებო ვალდებულებების, რომელიც მოიცავს მოვლასა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, ეს კი, მჭიდრო კავშირშია პაციენტის სხეულის, ჯანმრთელობისა და თვითგამორკვევის უფლების დაცვასთან. როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური პასუხისმგებლობისას, ავტონომიური სისტემების გამოყენება თავისთავად არ წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას.

პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება იყოს, როგორც რობოტის გამოყენება, ისე მისი პროგრამირება. ვინაიდან რობოტის ქმედება ადამიანზეა დამოკიდებული პასუხისმგებლობისთვის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს არა რობოტის „ქმედება,“ რომელმაც ზიანი გამოიწვია, არამედ ადამიანის მიერ განხორციელებული პროგრამირება, რომელიც საფუძვლად უდევს რობოტის ქმედებას. სწორედ აღნიშნული ქმედება ქმნის საფრთხის წყაროს. ამ საფრთხის წყაროზე, ზოგადი დელიქტური სამართლიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, როგორც რობოტის მწარმოებელს, ისე მომსახურების გამწევს, ექიმს/სამედიცინო დაწესებულებას რობოტის უბრალოდ ფლობა, მისი გამოყენების გარეშე, არ არის საკმარისი, ვინაიდან საფრთხის წყაროს სწორედ მისი ექსპლუატაციაში გაშვება წარმოშობს.⁵²

აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ პროგრამირების განმახორციელებელი პირის პასუხისმგებლობა სსკ-ის 992-ე მუხლის ფარგლებში გამორიცხულია, ვინაიდან მესამე პირის მიერ რობოტის გამოყენება დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის ფარგლებში მიზეზობრიობის ჯაჭვს წყვეტს. სწორედ ამიტომ, რობოტის უშუალო გამოყენება მიიჩნევა სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მნიშვნელოვან მოქმედებად. ის ფაქტი, რომ რობოტის გაუმართაობა შეიძლება არ იყოს განჭვრეტადი იმ პირისთვის ვინც მას იყენებს, დელიქტურ პასუხისმგებლობაზე არ მოქმედებს. იგი ყურადსაღებია მაშინ, როდესაც ხდება ბრუნვაში დამკვიდრებული ყურადღებიანობის მოთხოვნის და გაუფრთხილებლობის გადამოწმება.

⁵² Denga M., Deliktische Haftung für künstliche Intelligenz, CR 2018, 69, 70.

4.2.2. მწარმოებლის პასუხისმგებლობა სამედიცინო რობოტების მიერ მიყენებული ზიანისთვის

სამედიცინო რობოტების მწარმოებელზე ვრცელდება ის წესები, რაც გათვალისწინებულია პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობისთვის. მაგალითად, ქირურგიული რობოტი სისტემების შემთხვევაში (მაგ., და ვინჩი) საუბარია სამედიცინო პროდუქტზე. სამედიცინო პროდუქტი კი განიხილება, როგორც პროდუქტი კლასიკური გაგებით. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, პროდუქტია ყველა მოძრავი ნივთი და ამ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. „პროდუქტი“ ასევე, მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის. შესაბამისად, სამედიცინო მოწყობილობების გამოყენების შემთხვევაში მოქმედებს, როგორც სამოქალაქო კოდექსის დელიქტური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები,⁵³ ისე პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.⁵⁴ აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას ისეთი პროდუქტისთვის, რომელიც არის წუნდებული. წუნდებულად კი, კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მიიჩნევა პროდუქტი, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ისეთ მოთხოვნებს, რომლებსაც ელის მისგან პირი.

მწარმოებელს ეკისრება ვალდებულება ბაზარზე განათავსოს არაწუნდებული, უსაფრთხო პროდუქტი და ამასთან, გასცეს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია და ინსტრუქცია პროდუქტის გამოყენების შესახებ. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი მწარმოებლის პასუხისმგებლობას წუნდებული პროდუქტისთვის მის ბრუნვაში შეტანამდე განსაზღვრავს, მაგრამ ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სსკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობა აქ სრულდება. უფრო მეტიც, მწარმოებელი უნდა დააკვირდეს თავის პროდუქტს იმისათვის, რომ ნახოს რა საფრთხეებს შეიცავს იგი, რომელიც ადრე არ იყო შემჩნეული. პროდუქტის დაკვირვება მოიცავს აგრეთვე, სხვა მწარმოებელთა პროდუქტებთან კომბინაციაში საფრთხის

⁵³ სსკ-ის 992, 1009-ე და მომდევნო მუხლები.

⁵⁴ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, 25.05.2012. გერმანია – კანონი წუნდებული პროდუქტის შესახებ, ProdHaftG, 15.12.1989.

შეფასებასაც. საჭიროების შემთხვევაში, მან უნდა გასცეს გაფრთხილება ან გამოიხმოს პროდუქტი. ავტონომიური სისტემების შემთხვევაში დაკვირვება უნდა მოიცავდეს, არა მხოლოდ საჯაროდ არსებული წყაროების შეფასებას, არამედ პერსონალურ მონაცემთა სრული დაცვით პრაქტიკაში გამოყენებისას არსებული მონაცემების ანალიზს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც მწარმოებლის პასუხისმგებლობის საკითხს უსვამს ხაზს, არის მისი შესაძლებლობა იქონიოს რისკზე კონტროლი. დევიზი კი არის შემდეგი: პასუხისმგებლობა მოჰყვება კონტროლს, კონტროლის გარეშე არ არსებობს პასუხისმგებლობა. ავტონომიური სისტემის მწარმოებელი კი, არის სწორედ ის მხარე, რომელიც განსაზღვრავს პროდუქტის ქცევას, რამდენადაც მას ეს ხელეწიფება. ციფრული სისტემების შემთხვევაში, განსხვავებით სხვა სისტემებისგან, მწარმოებლის გავლენა სცილდება ბაზარზე პროდუქტის განთავსების დროს და ვრცელდება პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობის მთელ ვადაზე. მწარმოებელი ციფრული მოწყობილობის პროგრამული განახლებით მუდმივად ცვლის მის შესაძლებლობებს. სწორედ ამიტომ, ციფრულ პროდუქტებზე მწარმოებლის პასუხისმგებლობა ბაზარზე პროდუქტის განთავსების მომენტში არ სრულდება.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ზოგადი წესის თანახმად, ზიანის დადგენის მტკიცების ტვირთი დაზარალებულს ეკისრება. იგი ასევე, არის ვალდებული დაამტკიცოს წუნდებულ პროდუქტსა და მიყენებულ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.⁵⁵

დიდი სირთულის წინაშე დგება დაზარალებული, როდესაც მან უნდა ამტკიცოს ავტონომიური სისტემების შეცდომა და მიზეზობრივი კავშირი. იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი საქონლის შემთხვევაში, ნივთის ნაკლი გარეგნულად შეცნობადია ან ექსპერტის მიერ დადგენადი, ციფრული პროდუქტის დეფექტის დადგენა, ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში, როგორც შეიძლება იყოს გაუმართავი ალგორითმი, არასწორად შექმნილი ხელოვნური ნერვული ქსელი, არასრული მონაცემთა ნაკრები და სხვა, არსებითად რთულია.⁵⁶ ამას ემატება, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემების შემთხვევაში, სახეზე არის არა დისკრეტული⁵⁷ სისტემა, არამედ იგი ქსელში დაკავშირებულია მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან ხელოვნური ინტელექტის სისტემებთან და წყაროებთან.

⁵⁵ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-6 მუხლი.

⁵⁶ Reusch, in: Kaulartz/Braegelmann, Rechtshandbuch Artificial Intelligence und Machine Learning, 2020, 124 ff.

⁵⁷ თვლადი და გაზომვადი. მას მიეკუთვნება მაგალითად, კომპიუტერული სისტემა, რომლის შესაძლებლობები წინასწარ არის ცნობილი.

აქედან გამომდინარე, ჩნდება რთული მიზეზობრივი კავშირები, რაც მოვლენათა ჯაჭვის და შესაბამისად, ბრალის დადგენის საკითხს ართულებს.

ტრადიციულად, ევროპული სასამართლო პრაქტიკა მაღალ მოთხოვნებს უყენებს სამედიცინო მომსახურების გამწვევს, ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას.⁵⁸

4.2.3. სამედიცინო მომსახურების გამწვევის – სამედიცინო დაწესებულების/ექიმის პასუხისმგებლობა სამედიცინო რობოტების მიერ მიყენებული ზიანისთვის

ექიმი ან სამედიცინო მომსახურების გამწვევი, ნამდვილი სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, პასუხისმგებელია მის მიერ მიყენებული ზიანისთვის, სსკ-ის 394-ე, 404-ე და ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე.⁵⁹

ხშირად, სწორედ ავტონომიური სისტემის გამომყენებელია ის სუბიექტი, ვისკენაც არის მიმართული დაზარალებულის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ამას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ რთულ ქსელურ სისტემაში უფრო მარტივია მომსახურების გამწვევის მიგნება, ვიდრე ზიანის გამომწვევი კომპონენტის მწარმოებლის. მკურნალობისას როგორც წესი, მომჩივანი პაციენტისთვის საკონტაქტო პირი არის ექიმი ან სამედიცინო დაწესებულება. ფართოდ არის გაზიარებული მოსაზრება, რომ მსგავსად სრულად ავტომატიზებული ავტომობილით მიყენებული ზიანსა, როდესაც მფლობელი არის პასუხისმგებელი დაზარალებულის წინაშე და შემდგომში შეუძლია რეგრესული მოთხოვნები წაუყენოს მწარმოებელს, ავტონომიური სისტემების შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სისტემის გამომყენებელს, მწარმოებლის მიმართ რეგრესული მოთხოვნის განხორციელების უფლებით.⁶⁰

მკურნალს აქვს მკაცრად განსაზღვრული ვალდებულებები მკურნალობის პროცესთან დაკავშირებით: დაწყებული ანამნეზიდან, კვლევიდან და დიაგნოსტიკიდან, დასრულებული თერაპიითა და მოვლით, აგრეთვე პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ორგანიზაციული ვალდებულებების შესრულებით. ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებისას მოქმედებს მაღალი მოთხოვნები უსაფრთხოებისა და კონტროლის

⁵⁸ Beck S., Zum Einsatz von Robotern im Palliativ- und Hospizbereich, MedR 2018, 772, 777.

⁵⁹ საქართველოს კანონმდებლობა უშუალოდ სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს არ შეიცავს, ზოგადი სახელშეკრულებო ნორმებისა და ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებით, სამედიცინო მომსახურება თავისი შინაარსით „sui generis“ ურთიერთობას წარმოადგენს. გელაშვილი ი., პაციენტის უფლებები, 2024, 176.

⁶⁰ Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 943: 943-950.

უზრუნველსაყოფად. ექიმისა თუ სამედიცინო დაწესებულების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ იგი ისეთ აპარატურას გამოიყენებს, რომელიც აღიარებულ სამედიცინო ცოდნასა და სტანდარტებს შეესაბამება. ასევე მოლოდინი, რომ სამედიცინო პერსონალი არის სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე, რისთვისაც იგი რეგულარულად იმაღლებს კვალიფიკაციას, ეცნობა სიახლეებს და იცავს გამოყენების ინსტრუქციასა და ზედამხედველობის აუცილებელ წესებს. მკურნალის ვალდებულება, მოწყობილობა ისე გამოიყენოს, რომ ზიანის დადგომის ალბათობა მინიმუმადე შეამციროს, კიდევ უფრო გამძაფრებელია ავტონომიური სისტემების გამოყენების შემთხვევაში, ამას კი, ხელოვნური ინტელექტის არაპროგნოზირებადობა განაპირობებს. რა თქმა უნდა, ექიმს არ შეუძლია გარანტიის მიცემა მის მიერ გამოყენებული მოწყობილობის უშეცდომო ფუნქციონირების თაობაზე, „ექიმი არ არის ტექნიკოსი ექიმის ხალათში“,⁶¹ მაგრამ მას მოეთხოვება ყველა სტანდარტის მაქსიმალურად დაცვა. ავტონომიური სისტემების გამოყენება, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, თავისთავად არ წარმოადგენს მოვალეობათა დარღვევას. მოსაზრება, რომელიც აღნიშნულის საწინააღმდეგოდ არის გამოთქმული, პასუხისმგებლობას ავტომატურად აკისრებენ ავტონომიური სისტემის გამომყენებელს. თუმცა, აღნიშნული არ შეესაბამება სამართალში მოქმედ ბრალეულობის პრინციპს. ავტონომიური სისტემის არაშეცნობადი შეცდომის შემთხვევაში სახეზე არ არის მზრუნველობის ვალდებულების დარღვევა და ვერ დადგება პასუხისმგებლობა სსკ-ის 395-ე მუხლის მიხედვით. მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩნდება პრეზუმცია იმისა, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება სათანადო ხარისხით არ იყო დაცული, თუ მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა მკურნალის მიერ აცილებადი იყო.

პასუხისმგებლობის დადგენისთვის, მზრუნველობის ვალდებულების პარალელურად, მნიშვნელოვანი ფაქტორია პაციენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დაცვა, რაზეც წინა თავში იყო საუბარი.

მოწყობილობის გამოყენების შემთხვევაში, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დროს, პრობლემატურია ბრალის შერაცხვის საკითხი, ისევე როგორც ეს არის დელიქტური პასუხისმგებლობის დროს. არაავტონომიური რობოტი არ არის სუბიექტი, რომელსაც შეიძლება ბრალი შეერაცხოს.⁶² ამ შემთხვევაში, არც სსკ-ის 396-ე მუხლის გამოყენება შეიძლება ანალოგიით, რომელიც ადგენს მოვალის პასუხისმგებლობას იმ პირთა მოქმე-

⁶¹ Katzenmeier Ch., in: Laufs/Katzenmeier/ Lipp, *Arztrecht*, 8. Aufl. 2021, Kap. XI, Rn. 127.

⁶² Schulz T., *Verantwortlichkeit bei autonom agierenden Systemen*, 2015, 139 ff.

დებებისთვის, რომელთაც იგი საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად იყენებს.⁶³ გერმანულმა სამართალწარმოებამ სამედიცინო პროდუქტებზე პასუხისმგებლობისთვის არ გამოიყენა გსკ-ის 278-ე მუხლი (სსკ-ის 396-ე მუხლი), არამედ გსკ-ის 276-ე მუხლის მიხედვით (სსკ-ის 395-ე მუხლი), რომელიც მოვალის პასუხისმგებლობის საკითხს აწესრიგებს, შეამოწმა ბრუნვის დარღვევა თავად მოწყობილობის გამომყენებლის მიერ. ეს ლოგიკურიც არის, ვინაიდან რეალურად, არანაირი განსხვავება არ არსებობს ასეთი ტიპის რობოტსა და სხვა დამხმარე ტექნიკურ საშუალებებს შორის, რომელიც კლინიკაში გამოიყენება, მაგალითად, როგორცაა ელექტრობურღი.

4.2.4. ბრალი და პასუხისმგებლობის სამართლებრივი ხარვეზები ავტონომიური რობოტი სისტემების მიერ მიყენებული ზიანისას

საინტერესოა ბრალის საკითხი, ვინაიდან მხოლოდ ვალდებულების ბრალეული დარღვევა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

როგორც აღინიშნა, მედიცინაში ავტონომიური სისტემების გამოყენებისას, შეიძლება წარმოიშვას, როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური მოთხოვნები, ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიმართ. თუმცა, როგორც წესი, ბრალის არარსებობის გამო, მსგავსი ტიპის საჩივრები წარუმატებელია. აღნიშნულისგან განსხვავებით, მართალია, ავტონომიური სისტემის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ბრალისგან დამოუკიდებელია, მაგრამ რთულია მისი მტკიცება, რამდენადაც დაზარალებულმა მხარემ უნდა ამტკიცოს წუნის არსებობა და მისი მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგთან.⁶⁴

რობოტის ავტონომიური ქმედება უთანაბრდება მესამე მხარის ჩარევას, რაც კლასიკურ დელიქტურ სამართალში თავდაპირველი სუბიექტის ბრალს გამორიცხავს. აღნიშნული შემთხვევის საილუსტრაციოდ გერმანულ დოქტრინაში მოტანილია გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება ე. წ. „მწვანე ზოლის შემთხვევა.“⁶⁵ აღნიშნულ საქმეზე ავტოსაგზაო შემთხვევის გამო გადაკეტილი იყო საგზაო მოძრაობა, მოუთმენელმა მძღოლებმა მოძრაობა მწვანე საფარზე გავლით გააგრძელეს. სასამართლომ დაადგინა, რომ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა არა უშუალოდ ავტოსაგზაო

⁶³ Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 943: 943-950. Eidenmüller H., The Rise of Robotics and the Law of Humans, ZEuP 2017, 765, 766.

⁶⁴ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, მუხლი 3.

⁶⁵ BGHZ 58, 162, 167 = NJW 1972, 904.

შემთხვევის გამომწვევ მძლოლს, არამედ ეკისრებოდათ იმ მძლოლებს, რომლებმაც ყოველგვარი აუცილებელი საჭიროების გარეშე გადაკვეთეს მწვანე საფარი.⁶⁶ ავტონომიური სისტემის არაპროგნოზირებადობა დამპროგრამებლის ქმედებაში ბრალის ისეთ ფორმას, როგორც არის განზრახვა, გამოირიცხავს.⁶⁷ დაუდევრობის ვარაუდიც ძალიან იშვიათ შემთხვევებში არის შესაძლებელი. ზრუნვის ვალდებულება დაფუძნებულია ბრუნვაში დამკვიდრებულ ყურადღებიანობაზე, რომელიც მხედველობაში უნდა ჰქონდეს რობოტის გამომყენებელს. თუმცა, ეს არ მოიცავს მოულოდნელ შემთხვევებს, რაც ავტონომიური სისტემის შემთხვევისთვის არის დამახასიათებელი. სწორედ ამიტომ, ავტონომიურად მოქმედი რობოტების შემთხვევაში, სსკ-ის 992-ე მუხლის ალტერნატიული გზა უნდა იქნას მოძიებული.

4.2.5. დამოუკიდებელი სამართალსუბიექტის სტატუსის მქონე „ელექტრონული პირის“ პასუხისმგებლობა

პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ალტერნატივად დასახელდა ავტონომიური სისტემებისთვის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტის – „ელექტრონული პირის“ (e-person) სტატუსის მინიჭება და მათი პასუხისმგებლობის განსაზღვრა მოქმედი დელიქტური ნორმების საფუძველზე. ეს იდეა ეფუძნებოდა იმ აზრს, რომ ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ერთმანეთს ჰგავს. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა „ელექტრონული პირის“ ცნებას არ იცნობს. აღნიშნული ცნების დანერგვა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის უფლებათა არსებულ სტრუქტურაში უხეში ჩარევის გზით. დელიქტური სამართლის პრინციპებიდან ასეთი გადახვევა დღის წესრიგში დააყენებს რთულ კითხვებზე პასუხის გაცემის აუცილებლობას. მაგალითად, უნდა შეეძლოს თუ არა „ელექტრონულ პირს“ თავისი უფლებების დაცვა ადამიანის ხარჯზე.

ავტონომიური რობოტი სისტემების, როგორც საზოგადოების „არაადამიან წევრებად“ დანერგვის მცდელობა და მათთვის პასუხისმგებლობის აღების უფლების მინიჭება, შეიცავს რისკს, რომელიც გაუმართლებელია, ვინაიდან აღნიშნულით რეალურად არ წყდება

⁶⁶ აღნიშნულის საპირისპიროდ, სასამართლომ არ დაადგინა ავტოსაგზაო მოძრაობის დროს, იმ მძლოლების პასუხისმგებლობა, რომლებსაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის გასატარებლად მოუწიათ მწვანე საფარზე გადასვლა. LG Oldenburg NZV 1992, 156; Kirchhoff MDR 1997, 901, 903.

⁶⁷ Denga M., Deliktische Haftung für künstliche Intelligenz, CR 2018, 69, 71.

ის ფუნდამენტური პრობლემები, რომლის აღმოსაფხვრელადაც ის უნდა შეიქმნას. მართალია, ავტონომიური რობოსისტემებიც ითვალისწინებენ დადგენილ წესებს, მაგრამ ისინი ხშირად მათ ვერ იცავენ. ამას გარდა, იურიდიული პირებისაგან განსხვავებით, სამართლებრივ ურთიერთობაში ჩასართავად ან გადაწყვეტილებების მისაღებად არ სჭირდებათ ადამიანები. ასეთი სუბიექტის შემოღების შემთხვევაში, ჩნდება სამართლებრივი პრობლემები, რომელებიც დელიქტური სამართლის ძირითადი მიზნების განხორციელებას უკავშირდება. მაგალითად, როგორც არის ზიანის ანაზღაურება ნატურით რესტიტუციით. სადაც ანაზღაურებაში მოვალის პირადი მონაწილეობა აუცილებელია.⁶⁸

4.2.6. მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობა სსკ-ის 994-ე მუხლის მიხედვით

გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში იყო მცდელობა ავტონომიური რობოსისტემის მიერ მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისთვის სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი ანალოგიით ყოფილიყო გამოყენებული. კერძოდ, აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ პირის პასუხისმგებლობას, რომელსაც ევალება ზედამხედველობა არასრულწლოვანებზე ან იმ პირებზე, რომლებსაც თავისი გონებრივი თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო ესაჭიროებათ ზედამხედველობა. როგორც ჩანს, სამედიცინო რობოტებიც საჭიროებენ ზედამხედველობას. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალოგია სსკ-ის 994-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება, რომელიც განსაზღვრავს მშობლების ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობას იმ ზიანისთვის, რომელიც ამ პირებმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენეს სხვას. მოცემული პასუხისმგებლობის შემთხვევაში კანონმდებელი არ ადგენს ქმედების შემადგენლობის რაიმე შემზღვეველ ნიშნებს, რომელზეც ზედამხედველის ვალდებულებები შემოიფარგლება.

თუმცა, აღსანიშნავია რომ გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში რობოტექნიკაზე და ავტონომიურ სისტემებზე გსკ-ის 832-ე მუხლის ანალოგიის სახით გამოყენება არ იქნა გაზიარებული.⁶⁹ კერძოდ, აღნიშნული მუხლის გამოსაყენებლად უნდა იკვეთებოდეს ზედამხედველობის საჭიროების მქონე პირის ქმედებაში მართლწინააღმდეგობა. ეს კი,

⁶⁸ Denga M., Deliktische Haftung für künstliche Intelligenz, CR 2018, 69, 77.

⁶⁹ Schaub R., Interaktion von Mensch und Maschine, JZ 2017, 342-344.

სწორედ ის არის, რაც აკლია სამედიცინო რობოტს, განსაკუთრებით როდესაც სახეზეა უმოქმედობა.

4.2.7. პასუხისმგებლობის განსაზღვრა სსკ-ის 1003-ე მუხლის ანალოგიურად

რობოტის მიერ მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობის დასადგენად, გსკ-ის 833-ე მუხლის გამოყენების იდეაც განიხილებოდა. მუხლი განსაზღვრავს ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობას მესამე პირთა წინაშე. ამ მუხლის ანალოგია სსკ-ის 1003-ე მუხლი. ორივე მუხლი დაფუძნებულია ცხოველის არაპროგნოზირებად, ინსტიქტებზე დამოკიდებული ქცევის და იმ საფრთხეების საზღვრის დადგენაზე, რომელიც მისგან გამომდინარეობს.⁷⁰

ერთი მხრივ, ცხოველის არაპროგნოზირებადი ქცევა და მეორე მხრივ, ავტონომიური სისტემების მიერ გადაწყვეტილების უკონტროლო მიღება ერთმანეთს წააგავს, რის გამოც შესაძლებელია მათი ერთმანეთთან შედარება.⁷¹ ორივე შემთხვევაში, ცხოველის მფლობელიც და ავტონომიური სისტემების გამომყენებელი (დამნერგავი) ორგანიზაციაც არ არიან უნარიანი სულად აკონტროლონ ან/და გაიგონ მათი ქცევა. თუმცა, ამ შემთხვევაში პრობლემატურია ის, რომ ავტონომიური სისტემების გამომყენებელს მარტივად შეუძლია გააქარწყლოს ბრალის პრეზუმფცია. სისტემის ოპერატორს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ტექნიკის მდგომარეობის გათვალისწინებით, ზიანის დადგომის განჭვრეტა ან მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.

4.2.8. ციფრული დამხმარე ასისტენტები

დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ავტონომიური სისტემები უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ციფრული დამხმარე ასისტენტები და მათი შეცდომით მოქმედების სამართლებრივი შეფასება უნდა მოხდეს ისე, როგორც ხდება მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის ქმედებისთვის.⁷² აღნიშნულის უკან დგას მოსაზრება, რომ პირებს,

⁷⁰ Brunotte N., Virtuelle Assistenten – Digitale Helfer in der Kundenkommunikation Haftung und Verbraucherschutz, CR 9/2017, 583-587.

⁷¹ Grützmaier M., Die deliktische Haftung für autonome Systeme – Industrie 4.0 als Herausforderung für das bestehende Recht? CR 2016, 695, 698.

⁷² სსკ-ის 396-ე მუხლის თანახმად, მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.

რომლებიც ციფრულ სისტემებს იყენებენ, არ უნდა მიენიჭოთ პრივილეგია იმ პირებთან შედარებით, რომლებიც საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად ადამიანებს ასაქმებენ და იყენებენ.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მიჩნეულია, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემების დროს, მიუხედავად მათი ხელოვნური ინტელექტისა და ავტონომიურობისა, საქმე ეხება ქმედუნარო ტექნიკურ მოწყობილობებს. ქმედუნარობის გამო ხელოვნური ინტელექტი არ შეიძლება იყოს უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი და შესაბამისად, ნორმის სუბიექტი. თუ სახეზე არ არის შერაცხვის სუბიექტი, შესაბამისად სსკ-ის 396-ე მუხლით გათვალისწინებული შერაცხვის მექანიზმიც ვერ იფუნქციონირებს. ანალოგია გამოირიცხება. ავტონომიურ სისტემებს არ შეიძლება ბრალი შეერაცხოთ, ვინაიდან მიუხედავად გაუფრთხილებლობის ობიექტური შემადგენლობისა, იგი ყოველთვის მოიცავს სუბიექტურ კომპონენტს. სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით, ექიმის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა მას ეკისრება, როგორც თავისი ვალდებულების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა და არა, როგორც მისთვის პასუხისმგებლობის შერაცხვა ავტონომიური სისტემის მიერ დაშვებული შეცდომისთვის.

დოქტრინაში აღნიშნულია, რომ ტერმინი „ზიანის ანაზღაურება“ შეცდომაში შემყვანია, რადგან საზოგადოებაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ზიანის დადგომის ყველა შემთხვევაში უნდა არსებობდეს მოთხოვნა კომპენსაციის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს იდეა დღესდღეობით ფართოდ არის გავრცელებული, გასათვალისწინებელია უძველესი პრინციპი – „casum sentit dominus.“ ეს ლათინური გამონათქვამი გულისხმობს, რომ „შემთხვევით დამდგარი ზიანის რისკის მატარებელი არის ის მესაკუთრე, რომელსაც ზიანი მიადგა.“ ეს იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების მიზანია არა ზიანის კომპენსაცია, არამედ იმ პირობების განსაზღვრა, რომელის არსებობის შემთხვევაშიც უნდა მოხდეს კომპენსაციის გადახდა. ზიანის გადაკისრება სხვაზე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მას შეიძლება შეერაცხოს. ზიანის გადაკისრების საფუძველია ზიანის კანონსაწინააღმდეგო და ბრალეული გამოწვევა ან პასუხისმგებლობა კონკრეტული საფრთხისთვის.

დასკვნა

რობოსისტემები და ხელოვნური ინტელექტი კანონმდებლობისთვის გამოწვევაა. სამედიცინო მიზნებისთვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენება არის რეალური გამოცდა, რამდენადაც იგი ცხადად აჩვენებს, რაოდენ დიდია ხელოვნური ინტელექტის პოტენციალი, როგორც დიაგნოსტიკისა და თერაპიის მიმართულებით, ისე საფრთხეებისა და პრობლემების წარმოშობის მიმართულებით. ერთი ცხადია, თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება შეუჩერებელია და ძალიან მალე დღის წესრიგში მძაფრად დააყენებს ზემოაღნიშნულ საკითხებს, როგორც პაციენტებისა და ექიმების, ისე სასამართლოს წინაშე. ყველა მეცნიერი და პრაქტიკოსი თანხმდება, რომ რობოტიკისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მედიცინაში, ამჟამად არსებული საკანონმდებლო სიცარიელის მიუხედავად, პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს. რობალსკის მეგობრული, მოსიარულე წყლის მადულარა ვერ გადაიქცევა მებრძოლ რობოტად სათანადო პასუხისმგებლობის ტარების გარეშე.⁷³

თუ საზოგადოება თანახმაა დაინერგოს ავტონომიური სისტემები, მაშინ მან ასევე, უნდა აღიაროს აღნიშნული სისტემების მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაც. ასეთ ვითარებაში, მეცნიერთა აზრით, უსამართლობა იქნება ავტონომიური სისტემების გამოყენების შედეგად დამდგარ ზიანზე პასუხისმგებლობა სრულად, კვლავ იმ ადამიანებს დარჩეთ, ვინც ახდენს სისტემების პროგრამირებასა და მისი გამოყენების ორგანიზებას.⁷⁴ სწორედ ამიტომ, აუცილებელია პასუხისმგებლობის არსებული სისტემების კორექტირება.⁷⁵

⁷³ Brand O., Haftung und Versicherung beim Einsatz von Robotik in Medizin und Pflege, MedR (2019) 943: 943-950.

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ Schaub R., Interaktion von Mensch und Maschine, JZ 2017, 342.

ARTIFICIAL INTELLIGENCE AND ROBOTIC SYSTEMS IN MEDICINE AND LIABILITY FOR DAMAGE

NATALIA MOTSONELIDZE

Doctor of Law,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

Although artificial intelligence has long been considered a topic of the distant future, today many medical products are already undergoing improvement through the artificial intelligence. New technical capabilities are accompanied by questions and problems, particularly from a legal stand point. The artificial intelligence and robotic systems are turning upside down the existing legal frameworks that society has accepted in terms of compensation for damages.

Everyone agrees that the increasing use of artificial intelligence in medicine provides the basis to understand the question of doctor's liability (medical mistake) and liability of artificial intelligence in relation to each other. However, the fact is that no country's legislation is ready for artificial intelligence, and therefore, for those affected by autonomous



systems claiming damages is difficult. This means that there is a so-called “Legislative vacuum.” There are efforts internationally to create comprehensive regulations on artificial intelligence. On May 21, 2024, the Council of Europe adopted a directive establishing rules for the harmonization of artificial intelligence (Artificial Intelligence Act), however it does not contain special rules regulating liability.

The article investigates the positive aspects of the use of artificial intelligence and robotic systems in medicine and the difficulties that the subjects involved in the relationship may face. Especially, in terms of determining the group of entities bearing damage and responsibility. The article provides careful consideration to the issues of assumed responsibility, which are particularly relevant in practice. It is proposed to use several norms on the demand for damages from the existing Georgian legislation as an analogy, as well as introduce a new entity with the status of "electronic person".

ლეგიტიმური მოლოდინის ცნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საკუთრების უფლების კონტექსტში

სტრასბურგის სასამართლოს პრეზიდენტი
სამართლის მიმოხილვა

ირმა მახათაძე

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის,
სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი*

შესავალი

საკუთრების უფლება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, ინდივიდუალური თავისუფლებების დაცვისა და თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად

განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას.¹ შესაბამისად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ აღნიშნულ უფლებას სამართლებრივი კონტექსტის გარდა, აქვს პოლიტიკური, სოციალური და გარკვეულწილად, მორალური განზომილებაც. საკუთრების უფლების ამგვარი რაცონალური და მრავალწახნაგოვანი განმარტება კი, მრავალსაუკუნოვანი სოციალური თეორიისა და ფილოსოფიური განსჯის შედეგად იქნა ჩამოყალიბებული.²

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, საკუთრების უფლება გათვალისწინებულია 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ: „ყოველ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აქვს უფლება ისარგებლოს თავისი საკუთრებით მშვიდობიანად.“ ამ უფლების დაცვის კრიტიკული ასპექტია „ლეგიტიმური მოლოდინის“ დოქტრინა, რომელიც ეხება მოსალოდნელ სამომავლო სარგებელს, რომელსაც ინდივიდები გონივრულად ელოდებიან კანონიერი დებულებების ან საჯარო ხელისუფლების მიერ მიცემული გარანტიების საფუძველზე.

წინამდებარე სტატია იკვლევს ლეგიტიმური მოლოდინის კონცეფციას საკუთრების უფლების კონტექსტში და გთავაზობთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის მიმოხილვას.

ლეგიტიმური მოლოდინის ცნება და ფარგლები

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

ლეგიტიმური მოლოდინი გულისხმობს გარკვეული უფლებების ან შეღავათების მოლოდინს, რომელთა მიღებასაც ინდივიდები გონივრულად ელოდნენ არსებული კანონმდებლობის, რეგულაციების ან ხელისუფლების მიერ გაცემული აშკარა დაპირებების გამო. ის მოიცავს სიტუაციებს, როდესაც პირებს აქვთ ლეგიტიმური პრეტენზია საკუთრებით ან სარგებლით მომავალში სარგებლობაზე, მაშინაც კი, თუ ისინი ამჟამად არ ფლობენ მათ. ეს პრინციპი უზრუნველყოფს სტაბილურობას და განჭვრეტადობას იურიდიულ და

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძე, თარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5.

² ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები (კომენტარი), გვ. 494.

ადმინისტრაციულ ქმედებებში, ასევე, იცავს ინდივიდებს სახელმწიფოს თვითნებური ან უსამართლო ჩარევისგან.

სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში ერთ-ერთი პირველი საქმე იყო Pine Valley Developments Ltd and Others v. Ireland, რომელიც სასამართლომ განიხილა 1991 წელს. საქმე ეხებოდა კერძო კომპანიისთვის გაცემულ დაგეგმარების ნებართვას, რომელიც მოგვიანებით გაუქმდა პროცედურული შეცდომების გამო. მომჩივანი კომპანია დავობდა, რომ მას ჰქონდა ლეგიტიმური მოლოდინი განეგრძო საქმიანობა თავდაპირველი ნებართვის საფუძველზე. აღნიშნულ საქმეში, სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ დაგეგმარების ნებართვის ბათილად გამოცხადება კომპენსაციის გაცემის გარეშე არღვევდა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებას. სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ ლეგიტიმური მოლოდინი წარმოადგენს კონვენციით დაცული საკუთრების უფლების მნიშვნელოვან ნაწილს, როდესაც ის ეფუძნება კანონიერ და გაუბათილებელ/გაუუქმებელ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს.³

ლეგიტიმური მოლოდინის ცნების განსაზღვრის შესახებ სტრასბურგის სასამართლოს ადრეული სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმეა ასევე, Pressos Compania Naviera S.A. and Others v. Belgium, რომელიც სასამართლომ 1995 წელს განიხილა. ეს საქმე ეხებოდა კანონმდებლობის რეტროაქტიულ გამოყენებას, რომელიც ართმევდა გემთმფლობელებს ნავთობის დაბინძურებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებს ჰქონდათ ლეგიტიმური მოლოდინი მიეღოთ კომპენსაცია რეტროაქტიული კანონმდებლობის მიღებამდე არსებული სამართლებრივი რეჟიმის საფუძველზე. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლეგიტიმური მოლოდინი უნდა დაკმაყოფილდეს, თუ სახეზე არ არის მწვავე საჯარო ინტერესი, რომელიც ჩარევის გამართლებას განაპირობებდა.⁴

საკუთრების უფლების კონტექსტში ლეგიტიმური მოლოდინის შესახებ მნიშვნელოვან განმარტებას ვხვდებით Ambrousi v. Italy საქმეში,⁵ რომელიც ასევე წარმოადგენს ამ მიმართულებით, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის ერთ-ერთ ადრეულ გადაწყვეტილებას. საქმე ეხებოდა საკუთრების უფლებით სარგებლობის ხელყოფას იტალიის ხელისუფლების ქმედებების შედეგად შესაბამისი კომპენსაციის მიღების გარეშე. წი-

³ Pine Valley Developments Ltd and Others v. Ireland, No12742/87, 1991.

⁴ Pressos Compania Naviera S.A. and Others v. Belgium, No17849/91, 1995.

⁵ Ambruosi v. Italy, No. 31227/96, 2000.

ნამდებარე საქმეში, სტრასბურგის სასამართლომ განიხილა, მომჩივანს ჰქონდა თუ არა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მას შეეძლო გაეგრძელებინა თავისი საკუთრებით სარგებლობა ან მიეღო კომპენსაცია მისი ჩამორთმევისთვის. მომავალი შემოსავალი განიხილება „საკუთრებად“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უკვე გამომუშავებულია ან მასზე აღსრულებადი მოთხოვნა უკვე არსებობს. ეს მოლოდინი შეიძლება წარმოიშვას საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, ადმინისტრაციული პრაქტიკით ან საჯარო ხელისუფლების მიერ გაცემული კონკრეტული გარანტიებით. ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა, თუ რამდენად აძლედა იტალიის საკანონმდებლო ბაზა და ხელისუფლების ქმედებები მომჩივანს ლეგიტიმური მოლოდინის შექმნის საფუძველს. სასამართლომ განიხილა ისეთი ფაქტორები, როგორცაა საკანონმდებლო ბაზის განჭვრეტადობა და სტაბილურობა, ხელისუფლების ქმედებები და საერთო კონტექსტი, რომელმაც გავლენა იქონია საკუთრების უფლებით სარგებლობაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს ჰქონდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომელიც ეფუძნებოდა სამართლებრივ კონტექსტს და იტალიის ხელისუფლების მიერ გაცემულ გარანტიებს. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ განამტკიცა პრინციპი, რომ კანონიერი მოლოდინები დაცული უნდა იქნას საკუთრების უფლების ფარგლებში. ხელისუფლებას არ შეუძლია თვითნებურად ან არაპროგნოზირებულად ჩაერიოს საკუთრების უფლებით სარგებლობაში ქონების მფლობელის ლეგიტიმური მოლოდინის უგულებელყოფით. აღნიშნულმა საქმემ ხაზი გაუსვა მკაფიო და თანმიმდევრული საკანონმდებლო ჩარჩოს აუცილებლობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქონების მფლობელებს შეეძლოთ განეჭვრიტათ ხელისუფლების ქმედებების პოტენციური შედეგები მათი საკუთრების უფლებებზე.

საქმეში *Stretch v. UK*,⁶ ქირის განახლების შესაძლებლობა მიჩნეულ იქნა „საკუთრებად“ იმ გარემოებებშიც კი, როდესაც ადგილობრივი ორგანოების მიერ თავდაპირველად მიკუთვნებული ქირა შემდეგ, ეროვნულმა სასამართლოებმა ცნეს, როგორც *ultra vires* (უფლებამოსილების გარეშე განხორციელებული). კერძოდ, მომჩივანთან მიმართებით დადგინდა, რომ მას ჰქონდა მინიმუმ ლეგიტიმური მოლოდინი ქირის განახლების შესაძლებლობაზე. რაც შეეხება იმ საკითხს, საცხოვრებელი ქონების ქირავნობა (კომერციული ქირავნობისგან განსხვავებით) უტოლდება თუ არა „საკუთრებას“, დამოკიდებულია ისეთ გარემოებებზე, როგორცაა [ურთიერთობის] რეგულირების ფორმალურობა და ქონებით

⁶ *Stretch v. UK*, No. 44277/98, 2001.

სარგებლობის ხანგრძლივობა.⁷ საქმეზე *Teteriny v. Russia*,⁸ სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივი საბჭოს მიერ მომჩივნისთვის მინიჭებული „სოციალური ქირავნობის ხელშეკრულება“ (რაც მას უფლებამოსილს ხდიდა, მფლობელობაში ჰქონოდა და ესარგებლა საკუთარი ბინით და კონკრეტული პირობების არსებობისას მოეხდინა მისი პრივატიზება) წარმოადგენდა „საკუთრებას“, რადგანაც ქმნიდა ფულადი აქტივის მოპოვების ლეგიტიმურ მოლოდინს.

სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანია საქმე *Belane Nagy v. Hungary*,⁹ რომელმაც გარკვეულწილად განსხვავებული პრეცედენტი შექმნა. აღსანიშნავია, რომ საქმე ეხებოდა უნარშემღუდულობასთან დაკავშირებულ პენსიას, რომელიც გაუქმდა ახალი კანონით პენსიისთვის საჭირო პირობების შეუსრულებლობის საფუძველზე. კერძოდ, მომჩივანი უნგრეთის კანონმდებლობის შესაბამისად იღებდა შემღუდული შესაძლებლობის გამო პენსიას. 2012 წელს, კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად კი, განისაზღვრა უფრო გამკაცრებული კრიტერიუმები, რამაც გამოიწვია მომჩივნისთვის პენსიის შეწყვეტა, მიუხედავად მისი შრომისუუნარობისა. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ლეგიტიმური მოლოდინი გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც ინდივიდს აქვს გონივრული და ლეგიტიმური მოლოდინი გარკვეული სარგებლის ან უფლების მიღების შესახებ დადგენილი სამართლებრივი დებულებების ან საჯარო ხელისუფლების მიერ გაცემული გარანტიების გამო. წინამდებარე საქმეში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას ჰქონდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ გაუგრძელდებოდა შემღუდული შესაძლებლობის პირთათვის გათვალისწინებული პენსიის მიღება, რისი უფლებაც მას მინიჭებული ჰქონდა წინა საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში. დიდმა პალატამ ამ საქმეში ტრადიციულად, განიხილა, ჰქონდა თუ არა მომჩივანს ლეგიტიმური მოლოდინი მისი პენსიის მიღების გაგრძელების თაობაზე. სასამართლომ იმსჯელა საკანონმდებლო ბაზის განჭვრეტადობის და სტაბილურობის საკითხზე მომჩივნისთვის გაცემული კონკრეტული გარანტიების პირობებში. შედეგად, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი კანონიერად იღებდა პენსიას მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში. მოულოდნელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა დააწესა უფრო მკაცრი კრიტერიუმები, ფაქტობრივად გაუქმდა შეღავათები მისი მუდმივი შრომისუუნარო მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. სასამართლომ ასევე შეაფასა, იყო თუ არა მომ-

⁷ *JLS v. Spain*, No. 41917/98, 1999.

⁸ ტეტერინი რუსეთის წინააღმდეგ (*Teteriny v. Russia*), No. 11931/03, 30.6.05.

⁹ *Belane Nagy v. Hungary*, No. 53080/13, 2016.

ჩივნის საკუთრების უფლებაში ჩარევა პროპორციული. ეს მოიცავდა იმის შემოწმებას, არსებობდა თუ არა რაიმე გარდამავალი ზომები ან კომპენსაციის მექანიზმები ახალი კანონის ზემოქმედების შესამცირებლად. წინამდებარე საქმეში, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ფართო ზღვარი სოციალური შეღავათების რეგულირებისას, მათ ეს უნდა გააკეთონ ისე, რომ პატივი სცენ ინდივიდების ლეგიტიმურ მოლოდინებს და უზრუნველყონ პროპორციულობის დაცვა. შესაბამისად, დადგინდა, რომ მომჩივნის პენსიის შეწყვეტამ სათანადო გარანტიების გარეშე დაარღვია მისი საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში დარღვევა დადგინდა 9 ხმით 8-ის წინააღმდეგ. რეზონანსული გადაწყვეტილება დანარჩენი 8 მოსამართლის მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა, რაც მათ საერთო განსხვავებულ მოსაზრებაშიც გამოიკვეთა. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ უმრავლესობამ მომჩივანს უფლება მიანიჭა ისეთ მოთხოვნაზე, რაც ეროვნული სამართლით არ იყო მხარდაჭერილი. მის უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებული პენსია შედარებით ძველი კანონით იყო გაუქმებული, ხოლო ახალი კანონით მას არანაირი აღსრულებადი მოთხოვნა არ გააჩნდა. განსხვავებულ მოსაზრებაში დასკვნის სახით მიეთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებს შესაძლოა ჰქონოდა უარყოფითი გავლენა მომჩივანზე თუმცა, ეს არ უნდა გამხდარიყო ლეგიტიმურ მოლოდინთან მიმართებით, „დიდხანს არსებული და მყარად ჩამოყალიბებული მიდგომიდან“ გადახვევის მიზეზი.

სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკიდან მიზანშეწონილია განვიხილოთ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული ორი საქმე, რომელშიც მნიშვნელოვანი მსჯელობა გვხვდება ლეგიტიმური მოლოდინის ცნებისათვის მიმართებით.

საქმეში *Saghinadze and Others v. Georgia*,¹⁰ აფხაზეთიდან იძულებით დევნილ პირთა ოჯახს, 1996 წელს გამოეყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინები თბილისში. 2004 წელს, საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა ეს ბინები გადაეცა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის, რის შედეგადაც გამოსახლდნენ მომჩივნები ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე. ისინი ამტკიცებდნენ რომ გამოსახლება და მათი ბინების გადანაწილება კომპენსაციის ან ალტერნატიული საცხოვრებლის გარეშე არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით დაცულ საკუთრების უფლებას. კერძოდ, მომჩივნები აცხადებდნენ, რომ საცხოვრებლის გრძელვადიანი დაკავება და სახელმწიფოს წინასწარი

¹⁰ *Saghinadze and Others v. Georgia*, no. 18768/05, 2015.

გარანტიები მათ გამოყოფილ ბინებში ცხოვრების გაგრძელების ლეგიტიმურ მოლოდინს წარმოშობდა. სტრასბურგის სასამართლომ ამ საქმეში პირველ ყოვლისა შეაფასა, ჰქონდათ თუ არა მომჩივნებს „მფლობელობა“ ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მნიშვნელობით. სასამართლომ განიხილა მათი ყოფნის ხანგრძლივობა, მათი უფლებამოსილების ხასიათი და ხელისუფლების გარანტიები. სასამართლომ გამოიკვლია, ჰქონდათ თუ არა მომჩივნებს ლეგიტიმური მოლოდინი მათი მიერ საცხოვრებლის გრძელვადიანი დაკავებისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცემული გარანტიებიდან გამომდინარე. ამ მოლოდინის შექმნას ბინების გამოყოფამ და მათი ხანგრძლივი დროით დაკავებამ შეუწყო ხელი. სასამართლომ ასევე, შეაფასა იყო თუ არა ბინების გამოსახლება და გადანაწილება პროპორციული და სამართლიანი. აღნიშნული კი, მოიცავდა იმის შემოწმებას, შესთავაზეს თუ არა მომჩივნებს ალტერნატიული საცხოვრებელი ან კომპენსაცია. აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ წინამდებარე საქმეში დაადგინა საკუთრების უფლების დარღვევა.

გემოაღნიშნულ კონტექსტში, საქართველოსთვის პრეცედენტული მნიშვნელობის იყო აგრეთვე საქმე *Kiladze v. Georgia*.¹¹ კერძოდ, მომჩივნის თბილისში არსებული ქონება საბჭოთა ხელისუფლებამ 1947 წელს კომპენსაციის გარეშე ჩამოართვა. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მომჩივანმა მოითხოვა რესტიტუცია ან კომპენსაცია ექსპროპრირებული ქონების სანაცვლოდ. 1997 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ქონების დაბრუნებისა და კომპენსაციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა პერიოდის რეპრესიების მსხვერპლთა კომპენსაციას. თუმცა, ამ კანონის ამოქმედება გაჭიანურდა და 2005 წელს, ახალმა კანონმა მნიშვნელოვნად შეზღუდა კომპენსაციის მიღების უფლება. მომჩივნის მტკიცებით, მისი ექსპროპრირებული ქონებისთვის კომპენსაციის არგაცემა, მიუხედავად საკანონმდებლო ბაზისა, რომელიც თავდაპირველად ითვალისწინებდა კომპენსაციის გაცემას, არღვევდა მისი საკუთრების უფლებას. ამ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ლეგიტიმური მოლოდინი საკუთრების უფლების კონტექსტში გულისხმობს გონივრულ მოლოდინს, რომ ინდივიდი მიიღებს სარგებელს ან გააგრძელებს უფლებით სარგებლობას არსებული საკანონმდებლო დებულებების, ადმინისტრაციული პრაქტიკის ან საჯარო ხელისუფლების მიერ გაცემული კონკრეტული გარანტიების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში კი, ლეგიტიმურ მოლოდინს ქმნიდა 1997 წელს მიღებული კანონი. სასამართლოს შეფასებით,

¹¹ *Kiladze v. Georgia*, No. 7975/06, 2015.

თავდაპირველი კანონი იძლეოდა მკაფიო საფუძველს ამგვარი მოლოდინისთვის, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომი ცვლილებები ზღუდავდა უფლებამოსილებას. სასამართლომ ასევე შეაფასა, იყო თუ არა პროპორციული და სამართლიანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ზღუდავდა კომპენსაციის უფლებას. ეს მოიცავდა განმცხადებელზე გავლენის შეფასებას და უფრო ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ფართო ფარგლები კომპენსაციის სქემების მართვაში, მათ ეს ისე უნდა გააკეთონ, რომ პატივი სცენ ინდივიდების ლეგიტიმურ მოლოდინებს და უზრუნველყონ პროპორციულობის დაცვა. შემზღვეველი კრიტერიუმების რეტროაქტიული გამოყენება, მომჩივნის დადგენილი მოლოდინების გათვალისწინების გარეშე, ჩაითვალა არასამართლიანად. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკის დონეზეც, რადგან ცალსახად მოუწოდა წევრ ქვეყნებს საკომპენსაციო სქემებში საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელონ სამართლიანად, ადეკვატური გარდამავალი ზომების შემოღებითა და გარანტიების უზრუნველყოფით ლეგიტიმური მოლოდინების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად, შეიძლება გამოვყოთ ის ძირითადი სტანდარტები, რომლითაც სტრასბურგის სასამართლო ხელმძღვანელობს სადავო საქმეში საკუთრების უფლების კონტექსტში ლეგიტიმური მოლოდინის არსებობის შეფასებისას. კერძოდ, ლეგიტიმური მოლოდინის დოქტრინა ემსახურება კონკრეტულ კრიტიკულ ფუნქციებს:

- სამართლებრივ სიცხადესა და განჭვრეტადობას – სტრასბურგის სასამართლო ლეგიტიმური მოლოდინის დაცვით, ხელს უწყობს სამართლებრივი სიმუსტისა და განჭვრეტადობის პრინციპის დამკვიდრებას, რაც არსებითად მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდებისათვის, ასევე ბიზნესისათვის, იმისათვის, რომ თავდაჯერებულად შეძლონ შესაბამისი დაგეგმვა და ინვესტირება;
- სახელმწიფოს თვითნებური ქმედებებისგან დაცვას – ლეგიტიმური მოლოდინის ცნება იცავს სახელმწიფოს თვითნებური ან რეტროაქტიული ქმედებებისგან, შესაბამისად, განამტკიცებს სამართლის უზენაესობის პრინციპს, რათა ინდივიდებს ხელი არ შეეშალოს მოსალოდნელი სარგებლის ან უფლების ეფექტიანად განხორციელებაში;
- საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსს – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ლეგიტიმური მოლოდინის შესახებ აბალანსებს ინდივიდუალური

საკუთრების უფლების დაცვის აუცილებლობას სახელმწიფოს მიერ საჯარო ინტერესების მიზნების მისაღწევად. ეს ბალანსი უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა იყოს გამართლებული და პროპორციული.

ლეგიტიმური მოლოდინის გამომრიცხველი გარემოებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში განხილულია არაერთი საქმე, სადაც მომჩივნები მიუთითებდნენ საკუთრების უფლების კონტექსტში, ლეგიტიმური მოლოდინის საკითხზე. თუმცა, სასამართლომ იმსჯელა რა, ლეგიტიმური მოლოდინის დაცვის აუცილებლობაზე ასევე, განავითარა მსჯელობა იმ გამომრიცხველ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, მომჩივნის საჩივარი ამ ნაწილში შეიძლება მიჩნეულ იქნას წარუმატებლად.

კერძოდ, კანონიერი მოლოდინი არ წარმოიშვება ისეთ სიტუაციაში, როდესაც მომჩივანი ეყრდნობა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მოპასუხე მთავრობის წარმომადგენლებმა მომჩივნის რესტიტუციის უფლების სასარგებლოდ პოლიტიკური განცხადებები გააკეთეს (*Bata v. Czech Republic (dec.)*, § 77), ან როდესაც ჩანაწერი საკანონმდებლო აქტში მითითებას აკეთებს სამომავლო საკანონმდებლო აქტზე, რომელიც საბოლოოდ, არ ყოფილა მიღებული (*Zamoyski-Brisson v. Poland (dec.)*, § 78) ან მომჩივნის ფინანსური დახმარების მიღების მოთხოვნას, რაც ეფუძნებოდა რელევანტურ ეროვნულ კანონს, რომელიც ნათლად განსაზღვრავდა ფინანსური დახმარების მიღების უფლებას, საკმარისი გადაუდებელი სახსრების ხელმისაწვდომობის პირობით ისე, რომ არ ითვალისწინებდა რაიმე წესს ფინანსური რესურსის რაოდენობის გაცემაზე ისევე, როგორც საგანგებო ფონდის შეზღუდული ფინანსური რესურსის განაწილების შესახებ (*Traina Berto and Alfonsetti v. Italy (dec.)*, §§ 45-46).¹²

ლეგიტიმური მოლოდინის საკითხზე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა *Kopecký v. Slovakia*,¹³ რომელიც დიდმა პალატამ განიხილა და მასში აღნიშნული ცნების ირგვლივ განვითარებული მსჯელობა ხშირად არის მოხმობილი პრეცედენტული სამართლის სხვა საქმეებშიც.

¹² Guide on Article 1 of Protocol No.1 to the European Convention on Human Rights.

¹³ *Kopecký v. Slovakia*, No. 44912/98, 28.9.04.

მომჩივანი საკუთარ მოთხოვნას საკუთრების რესტიტუციის საკითხების მარეგულირებელ, 1991 წლის აქტზე აფუძნებდა, რომლის მიხედვითაც საკუთრების უფლების აღდგენა სასამართლოების ჩარევის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. საკუთრების მიმართ ინტერესი, რომელიც მომჩივანს ჰქონდა, მოთხოვნის სახით იყო ჩამოყალიბებული და შესაბამისად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში მიჩნეული ვერ იქნებოდა „არსებულ საკუთრებად.“ ამრიგად, დიდ პალატას უნდა შეეფასებინა, წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული მოთხოვნა „აქტივს.“ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია მომჩივანს სამართალწარმოებასთან მიმართებით, ჰქონდა თუ არა „ლეგიტიმური მოლოდინი“ საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლების ეფექტიანი მოპოვებისას. ევროპული სასამართლოს პალატის უმრავლესობის მოსაზრებით, ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ცხადყოფდა, რომ მომჩივანს შეეძლო მოეთხოვა გონივრული საფუძველებით, რომ იგი აკმაყოფილებდა მამის საკუთრების რესტიტუციისათვის საჭირო მოთხოვნებს. შესაბამისად, არსებობდა „ნამდვილი დავა.“ მომჩივანს ჰქონდა „ლეგიტიმური მოლოდინი“, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, რაც მის მოთხოვნას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში „საკუთრებად“ გადააქცევდა. თუმცა, პრეცედენტული სამართალი „ნამდვილი დავის“ ან „გონივრული მოთხოვნის“ არსებობას არ მიიჩნევს „ლეგიტიმური მოლოდინის“ განსაზღვრის კრიტერიუმად. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ვერ გაიზიარა პალატის უმრავლესობის აღნიშნული მოსაზრება. პირიქით, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ საკუთრების მიმართ ინტერესი, რომელიც მოთხოვნის სახით არის წარმოდგენილი, შეიძლება მიჩნეულ იყოს „აქტივად“ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ეროვნულ კანონმდებლობაში საკმარისი საფუძველი აქვს, მაგალითად, თუ ამ პოზიციის მხარდასაჭერად არსებობს ეროვნული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა.

მოცემულ საქმეში საკუთრების მიმართ არსებული მომჩივნის ინტერესი რომელიმე კონკრეტულ სამართლებრივ აქტზე დაფუძნების შედეგად არ დაზარალებულა. შესაბამისად, მას არ შეუძლია განაცხადოს, რომ „ლეგიტიმური მოლოდინი“ ჰქონდა. ევროპული სასამართლოს დიდი პალატის წინაშე იდგა საკითხი განეხილა, არსებობდა თუ არა საკმარისი სამართლებრივი საფუძველი მომჩივნის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რათა გამართლდეს მისი მოთხოვნის „აქტივად“ მიჩნევა. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოსთვის პრინციპული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა – არსებობდა თუ არა ეროვნულ კანონმდებლობაში საკმარისი საფუძველი, რათა მომჩივნის მოთხოვნა, კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიზნებისათვის, დაკვალიფიცირებულიყო როგორც „აქტივი.“ ამ თვალსაზრისით, ერთადერთ სადავო საკითხს წარმოადგენდა

– შეიძლება თუ არა მიჩნეული ყოფილიყო, რომ მომჩივანმა დააკმაყოფილა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნა, მიეთითებინა – „თუ სად იყო საკუთრება.“

მომჩივანი აცხადებდა, რომ განსხვავებით, ბრატისლავას რეგიონული სასამართლო-სა და უზენაესი სასამართლოს მოსაზრებისა, იმის მითითებით, თუ როდის და როგორ გადაეცა საკუთრება სახელმწიფოს, მან აღნიშნული მოთხოვნა შეასრულა, ხოლო ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა ვერ წარმოადგინეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ბედი ეწია შემდგომში მონეტებს. ეროვნულმა სასამართლოებმა გადაწყვეტილებებში აღნიშნეს, რომ 1991 წლის აქტი აწესებდა მოსარჩელის ვალდებულებას, მიეთითებინა თუ სად იყო სადავო საკუთრება 1991 წლის 1 აპრილს, როდესაც აქტი ძალაში შევიდა. რეგიონულმა სასამართლომ და უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არ წარმოადგენდა იმის საკმარის მტკიცებულებას, რომ 1958 წელს, მამამისისათვის ჩამორთმეული მონეტები 1991 წელს, კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს მფლობელობაში იყო. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ბრატისლავას რეგიონულმა სასამართლომ და უზენაესმა სასამართლომ მომჩივნის საქმე მიკერძოებულად განიხილა. შესაბამისად, არ არსებობდა რაიმე საფუძველი, რომ სტრასბურგის სასამართლოს განსხვავებული მოსაზრება ჰქონოდა და მიეჩნია, რომ მომჩივანმა შეასრულა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ რესტიტუციასთან დაკავშირებული მომჩივნის მოთხოვნა თავიდანვე პირობითი იყო და რომ საკითხი, აკმაყოფილებდა თუ არა იგი საკანონმდებლო მოთხოვნებს სამართალწარმოების შედეგად უნდა დადგენილიყო. ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ იგი არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლომ ვერ გაიზიარა ის არგუმენტი, რომ რესტიტუციული მოთხოვნის წარდგენისას, შეიძლებოდა საფუძვლიანად მიჩნეული ყოფილიყო, რომ მოთხოვნა „აქტივს“ წარმოადგენდა და კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დაცვის სფეროში ექცეოდა. ამდენად, დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ „ვერანაირი ლეგიტიმური მოლოდინი ვერ წარმოიშვება, როდესაც დავა ეხება ეროვნული სამართლის მართებულ ინტერპრეტაციასა და გამოყენებას და მომჩივნის პოზიცია უარყოფილია ეროვნული სასამართლოების მიერ.“¹⁴

თუმცა, რიგ შემთხვევებში, აქტივის მიღების „კანონიერი მოლოდინი“ შესაძლოა დაცული იყოს 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით. ანუ, როდესაც ქონებრივი ინტერესი მოთხოვნის არსს წარმოადგენს, პირი, რომელსაც გააჩნია მოცემული ინტერესი შესაძლოა

¹⁴ Kopecký v. Slovakia, No. 44912/98, 28.9.04, პარა. 50.

ჩაითვალოს „კანონიერი მოლოდინის“ მქონედ, თუ მოცემულ ინტერესს აქვს საკმარისი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში ან მაგალითად, როდესაც არსებობს ეროვნული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც ადასტურებს მის არსებობას. თუმცა, ვერანაირი „კანონიერი მოლოდინი“ ვერ იარსებებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც დავა ეხება ეროვნული კანონმდებლობის სწორ ინტერპრეტაციასა და გამოყენებას და მომჩივნის მოთხოვნა საბოლოოდ, არ კმაყოფილდება ეროვნული სასამართლოების მიერ (Kopecký, ციტირებული ზემოთ, § 50).¹⁵

ასევე, საინტერესოა სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკიდან საქმე, Anheuser-Busch Inc. v. Portugal,¹⁶ რომელიც ეხებოდა მომჩივნის ლეგიტიმურ მოლოდინს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ხელისუფლების ორგანოების მიერ თავდაპირველად განხორციელებული ადმინისტრაციული ღონისძიებებიდან გამომდინარე. ამ საქმეში, სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ ცალსახად აღნიშნა, რომ ქონების შექმნის ან ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების უბრალოდ იმედი მყარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მოლოდინს. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლეგიტიმური მოლოდინი უნდა იყოს დასაბუთებული სამართლებრივი დებულებებით, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით ან ზუსტი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით.

დასკვნა

„ლეგიტიმური მოლოდინის“ ცნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული საკუთრების უფლების მნიშვნელოვანი ასპექტია. სტრასბურგის სასამართლომ თავისი მდიდარი პრეცედენტული სამართლის მეშვეობით განსაზღვრა ის პირობები, რომლებიც საშუალებას აძლევს პირებს, იქონიონ გონივრული მოლოდინი გარკვეული შეღავათების მიღებისა თუ უფლებით სარგებლობისას. აღნიშნულით სასამართლო უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფო ქმედებები იყოს კანონიერი, არათვითნებური და წევრმა სახელმწიფოებმა პატივი სცენ ინდივიდების საკუთრების უფლებას. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გარკვეულწილად, ეროვნული ხელისუფლებებისა და სასამართლოებისათვის სახელმძღვანელოა, რომელიც ხელს უწყობს სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც საკუთრების უფლება მტკიცედ არის დაცული სათანადო გარანტიებით.

¹⁵ CENTRO EUROPA 7 S.R.L. AND DI STEFANO v. ITALY, no. 38433/09, 2012.

¹⁶ Anheuser-Busch Inc. v. Portugal, no. 73049/01, 2007.


DOCTRINE OF LEGITIMATE EXPECTATION IN PROPERTY RIGHTS UNDER THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS

AN ANALYSIS OF STRASBOURG COURT
JURISPRUDENCE

IRMA MAKHATADZE

*Georgian American University
School of Law, Social Sciences and Diplomacy
Ph.D. student*

This article provides an overview of the European Court of Human Rights jurisprudence concerning the concept of legitimate expectation within the property rights framework – a pivotal issue of considerable significance. The safeguarding of property rights stands as a cornerstone in modern democratic states, with legal and practical protections evolving over time amidst numerous domestic challenges. The European Convention on Human Rights is



central to these protections and is pivotal among international legal instruments. The Convention, alongside the jurisprudence developed by the Strasbourg Court, serves as a crucial guarantor of a comprehensive interpretation of property rights. Specifically, it underscores individuals' entitlement to enjoy their property rights, encompassing a broad understanding of the concept of legitimate expectation. Member states are thus encouraged to uphold these principles.

In light of the above, this article examines select precedents from the Strasbourg Court to offer readers a foundational insight into the Court's approach to legitimate expectation within the European context.

უკანონო ნადირობა

ხვირა ბეგიაშვილი

სამართლის დოქტორი,
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორი

შესავალი

ნადირობა ადამიანის უძველესი სამეწარმეო საქმიანობაა. ჯერ კიდევ, 2 მილიონი წლის წინათ, პალეოლითის ხანაში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი პითეკანტროპი, რომელსაც გამოუმუშავდა ორგანიზების, დაკვირვების და თანამშრომლობის უნარი, იყო კარგი მონადირეც.¹ ქვის ხანაში ჩამოყალიბდა პირველი გენდერული როლებიც: „მამაკაცი – მონადირე“ და „ქალი – დიასახლისი.“² ამ პერიოდის და შემდგომი ბრინჯაოს ხანის ადამიანების რჩენისთვის გადამწყვეტი როლი ჰქონდა ნადირობას, თევზაობასა და შემგროვებლობას. პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებასა და განვითარებაში ნადირობის გადამწყვეტი როლის ნათელი დასტურია, პირველყოფილი ხელოვნების ძეგლებში კერძოდ, გამოქვაბულების კედლებზე შემორჩე-

¹ პირველყოფილი ადამიანი, ინტერნეტ გამომცემლობა ჩვენი სამყარო, <https://marakisblog.wordpress.com/2015/02/22/> [20.08.2024].

² პირველყოფილი ადამიანების შესახებ, ინტერნეტ გამომცემლობა Genia.ge, 2013, <http://genia.ge/?p=43476> [20.08.2024].

ნილი მოხატულობები, სადაც ძირითადად, ნადირობის ცალკეული გამოსახულებები და სცენები წარმოდგენილი.³ დროის სვლასთან და ადამიანის განვითარებასთან ერთად, ვითარდებოდა ნადირობის ტექნიკა და სანადირო იარაღიც. ადრე თუ ადამიანი სანადიროდ ქვის იარაღებს, კეტს და კომბალს იყენებდა, მოგვიანებით გაჩნდა შუბი, შურდული და მშვილდ-ისარი. დენტის გამოგონების შემდეგ კი, გაჩნდა სანადირო იარაღი, რომელიც საუკუნეების მანძილზე დაიხვეწა და მიიღო თანამედროვე სახე. ადამიანმა ისწავლა მახეების მოწყობა, მოიშინაურა გარეული ცხოველები და ფრინველები, რამაც ხელი შეუწყო ნადირობის პროცესი უფრო შედეგიანი გამხდარიყო. მსოფლიოში ნადირობის განვითარებას თავისი ნეგატიური შედეგებიც მოყვა, არანორმირებულმა და უკონტროლო ნადირობამ გამოიწვია ბევრი ცხოველის გადაშენება, ხოლო ბევრიც გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ცხოველთა გადაშენების უმთავრესი მიზეზი ეკონომიკის განვითარება, ახალი სივრცეების ათვისება და გარემოს ხელოვნური გარდაქმნა გახდა, მაგრამ თავისი როლი უკანონო ნადირობამაც შეასრულა. ასე მაგალითად, XIX საუკუნეში მსოფლიოში მოისპო ცხოველთა 106 სახეობა, ხოლო XX საუკუნეში – 40. 1600-დან 1960 წლამდე, ძუძუმწოვრების 36 სახეობა გადაშენდა, ამასთან, 120 სახეობა აღმოჩნდა გადაშენების საფრთხის წინაშე.⁴ უკონტროლო ნადირობის შედეგად, გარემოზე მიყენებული კოლოსალური ზიანის ნათელი მაგალითია, XIX საუკუნეში, ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ბიზონთა მასობრივი განადგურება. აღნიშნულ ცხოველს მოიპოვებდნენ ტყავის გამო, არ არსებობდა რაიმე სახის შეზღუდვა მოპოვების ვადებთან და ოდენობებთან დაკავშირებით. ამერიკული ბიზონი ოდესღაც ჩრდილოეთ ამერიკაში 60 მილიონ სულს შეადგენდა, 1889 წლისთვის კი, მხოლოდ რამდენიმე ასეული ველური ბიზონი იყო დარჩენილი. დღეისათვის აშშ-ის მთავრობა არ ზოგავს ფინანსებს, რათა მოახდინონ ამერიკაში ბიზონის პოპულაციის აღდგენა.⁵

ამ მხრივ, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ადრეული საქართველოს ფაუნაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის „ვეფხისტყაოსანში“ გართმული ნადირობის სცენები და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებში გადმოცემული ნადირ ფრინველის მრავალფეროვნება და სიუხვე. ბოლო ათი საუკუნის მანძილზე, საქართველოში გადა-

³ მაჭარაშვილი ნ., ხელოვნება: მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2004, გვ. 80.

⁴ ურუშაძე თ., ლორია ვ., ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1999, გვ. 239-240.

⁵ U.S. Department of the Interior, Interior Department Announces Significant Action to Restore Bison Populations as Part of New Restoration and Resilience Framework, 03.03.23, <https://www.doi.gov/pressreleases/interior-department-announces-significant-action-restore-bison-populations-part-new>, [20.08.24].

შენდა ცხოველთა 9 სახეობა, კერძოდ, X საუკუნეში ლომი, XIII საუკუნეში კანჯარი და ავაზა, XIX საუკუნეში თახვი და ცხენირემა, XX საუკუნეში ვეფხვი.⁶ 1921 წლის 4 დეკემბერს, თბილისიდან 23 კილომეტრში მდებარე სოფელ ლელობთან, ოთხმა მონადირემ, საქართველოში გავრცელებული უკანასკნელი კასპიური ვეფხვი (*Pantera Tigris Virgata*) მოკლა, რომელიც ადგილობრივი მაცხოვრებლების კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე ნადირობდა და ზიანს აყენებდა გლეხებს.⁷ ამავე პერიოდში, საქართველოში კერძოდ, ბზიფის ხეობაში მოკლული იქნა უკანასკნელი კავკასიური დომბა, ხოლო თეთრმუცელა სელაპი (*Monachus monachus*) ბოლოს, 1982 წელს შენიშნეს.⁸ რაც შეეხება სხვა ცხოველებს, ისეთი როგორც არის ჯეირანი, იგივე ქურციკი (*Gazella subgutturosa*), ის გასული საუკუნის 50-იან წლებში გადაშენდა, მისი განადგურების მთავარი მიზეზი მესაქონლეობის განვითარება და ახალი საძოვრების ათვისება იქცა ამასთან, დიდი როლი შეასრულა უკონტროლო ნადირობამაც. თვითმხილველთა გადმოცემით, გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, შირაქის ველზე, ქურციკთა ასობით სულიანი ფარები დანავარდობდა. თითქმის გადაშენდა ზოლებიანი აფთარიც (*Hyaena hyaena*), რომელიც 1990-იანი წლების შემდეგ, არავის შეუნიშნავს. ზოლებიანი აფთარი, 1992 წლის დეკემბერში, პირადად მყავს ნანახი ალაზნის ველზე, საკმაოდ შორიდანაც კარგად შეინიშნებოდა მისი არაპროპორციული სხეული, რომელიც მოხატული იყო შავ-თეთრი ზოლებით, მას მოშავო ფერის ფაფარი გასდევდა მთელ ზურგზე, მათ შორის, კუდის მიდამოებშიც. ანალოგიურად, შეიძლება გამოიხატოს შეშფოთება სავათის გადაშენების საკითხზეც, ოდესღაც ამ უნიკალური ფრინველის მრავალრიცხოვანი გუნდები, უხვად სტუმრობდნენ შირაქის და ელდარის საძოვრებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რისი ნათელი დასტურიც არის გალაქტიონ ტაბიძის 1922 წლის უბის წიგნაკის ჩანაწერები, სადაც სავათზე ნადირობის სეზონის გახსნის თარიღად მითითებულია 1 სექტემბერი.⁹

ბოლო ათწლეულების მანძილზე, საქართველოც შეუერთდა მსოფლიოში წამოჭრილ დადებით ტენდენციას – გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვის და უკვე გადაშენებული სახეობების აღდგენის კუთხით. აღნიშნულის ნათელი დასტურია 2006 წლიდან ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე ქურციკის აღდგენითი სამუშაოების

⁶ ურუშაძე თ., ლორია ვ., ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1999, გვ. 240.

⁷ 1921 წელს თბილისიდან 23 კილომეტრში საქართველოში გავრცელებული უკანასკნელი კასპიური ვეფხვი მოკლეს, ინტერნეტ გამოცემლობა ქართული კვირა, თბ., 2020, <http://kartuli.kvira.ge/2020/10/03/1921>, [20.08.2024].

⁸ ჩიგოგიძე ხ., ცხოველები, რომლებიც საქართველოში გადაშენდნენ, გაზეთი კვირის პალიტრა, 14.03.16, <https://kvispalitra.ge/article/28846-ckhovelebi-romlebic-saqarthveloshi-gadashendnen/>, [20.08.24].

⁹ გალაქტიონ ტაბიძის უბის წიგნაკის ჩანაწერები, 1922, <https://www.galaktion.ge/?page=Diaries&id=5216>, [20.08.2024].

დაწყების პროცესი, თავდაპირველად თურქეთიდან შემოყვანილი იქნა რამდენიმე ერთეული ცხოველი, რომელიც წლების განმავლობაში გამრავლდა ველურ ბუნებაში და დღეისათვის მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულს შეადგენს.¹⁰

ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანი არის დანაშაულებრივი ქმედება უკანონო ნადირობის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მათ შორის, დისპოზიციის სავალდებულო შემადგენლის, გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ირგვლივ კვლევის წარმოება, უკანონო ნადირობასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული დარღვევის გამიჯვნა და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მონადირეთა რიცხვი დღითიდღე მატულობს, მნიშვნელოვანია მოხდეს მათი ცნობიერების ამაღლება, საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გაანალიზების კუთხით.

ნადირობის საშუალებები და წესები

თანამედროვე მსოფლიოში და საქართველოში ნადირობას აქვს თავის წესები, რომელთა დაცვა ყველა მონადირის უპირველესი მოვალეობაა. სწორი ნადირობა არის ცხოველთა სამყაროს შენარჩუნების ერთ-ერთი გარანტი. ნამდვილი მონადირე, ყოველთვის არის ბუნების უპირველესი მცველი. სამუშაოდ საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპის მიხედვით, მონადირე ხშირად ასოცირდება ნეგატიურ ფიგურად, რომელიც კლავს ველურ ბუნებაში მცხოვრებ დაუცველ ნადირ-ფრინველს. რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. მონადირემ ყველაზე კარგად იცის ნადირობის წესები და პირობები. ახლოს იცნობს სანადირო ობიექტების სახეობებს, შეუძლია ნებადართული და აკრძალული ნადირის თუ ფრინველის განსხვავება. მტკიცედ იცავს მონადირის ეთიკას და პატიოსნად ასრულებს სანადირო მინიმუმების მოთხოვნებს. ამიტომ საზოგადოებამ ერთმანეთისგან უნდა განასხვავოს მონადირე და ბრაკონიერი.

როგორც წესი, საქართველოში ნადირობის სეზონი იხსნება აგვისტოს მესამე ან მეოთხე შაბათს. მაგალითად, 2024 წლის ნადირობის სეზონი გაიხსნა 24 აგვისტოს.¹¹ ბოლო

¹⁰ ვაშენკო ბ., ქურციკის დაბრუნება, National Geographic – საქართველო, 2017, <https://nationalgeographic.ge/story/quircikis-dabruneba/> [20.08.24], საქართველოს დაცული ტერიტორიების ფართობი ქვეყნის ტერიტორიის 11.5%-ს შეადგენს, News Hub, <https://newshub.ge/news/sazogadoeba/sakartvelos-datsuli-teritoriebis-phartobi-kveknis-teritoris-115-s-sheadgens>, [20.08.24].

¹¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადება, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, 07.08.24, <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/22785> [21.08.24].

ათწლეულების განმავლობაში, საქართველოში ნადირობა ნებადართულია, მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს სამონადირეო მეურნეობების ტერიტორია, სადაც ინდივიდუალური ლიცენზიების საფუძველზე შესაძლებელია ისეთი გარეული ცხოველების მოპოვება, როგორც არის გარეული ღორი, შველი და სხვა. მონადირე გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისას, ვალდებულია თან იქონიოს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.¹² გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე მოსაკრებლის ოდენობა სეზონზე შეადგენს 10 ლარს.¹³ საქართველოში სანადირო იარაღის ტარება დასაშვებია მხოლოდ მათი საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ.¹⁴ რაც შეეხება იარაღის სახეობას, საქართველოში დაშვებულია მხოლოდ სანადირო გლუვგულიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან (თოფი), სანადირო ხრახნილგულიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან (კარაბინი ან შაშხანა), სანადირო კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან (ხრახნილგულიანი და გლუვგულიანი თოფი), სანადირო ცივი და ცივი სასროლი იარაღიდან და სანადირო პნევმატური იარაღიდან.¹⁵ უნდა აღინიშნოს, რომ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა ძირითადად, იწარმოება სანადირო გლუვგულიანი თოფის მეშვეობით. რაც შეეხება ცივ იარაღს, მისი გამოყენება ხორციელდება ადამიანის ფიზიკური ძალით და განკუთვნილია უშუალო შეხებით ობიექტის დასაზიანებლად.¹⁶ ასეთი იარაღები იყოფა დამრტყმელ (კომბალი, კისტენი, გურზი და სხვა), მჩხვლეთავ (დაშნა, რაპირა, სარისა, კინენი, ხიშტი, შუბი, სტილეთი და სხვა), მჩხვავ (საბრძოლო ნაჯახი, დარაბჩანი, შუბნაჯახი, ისარა და სხვა), აგრეთვე ისეთ იარაღად, რომელიც ერთდროულად ითავსებს რამდენიმე

¹² საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 27.12.2013, მუხ. 3, ნაწ. 1.

¹³ საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“, 29.12.2004, მუხ. 5, ნაწ. 6.

¹⁴ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“, 08.05.2003, მუხ. 12, ნაწ. 3.

¹⁵ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადება, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, 07.08.24, <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/22785>, [21.08.24].

¹⁶ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“, 08.05.2003, მუხ. 2, „ო“ ქვეპ.

ზემოჩამოთვლილ ნიშანს (მაგალითად, მჩხვლეთ-მჩეხავი ან მჩეხავ-მჩხვლეთი) და მათგან ერთ-ერთი მთავარია (მახვილი, ხანჯალი, ხმალი, იატაგანი და სხვა).¹⁷ რაც შეეხება ცივ სასროლ იარაღს, მისი მოქმედება ხორციელდება ადამიანის ფიზიკური ძალით ან მექანიკური მოწყობილობით და განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან დასაზიანებლად.¹⁸ ცივი სასროლი იარაღების კატეგორიას განეკუთვნება მშვილდი, არბალეთი, შურდული და სხვა. ამასთან, სანადირო იარაღის კლასიფიკაცია, საქართველოში გამყარებულია კანონით, სადაც მითითებულია თუ რა სახის იარაღით შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე ნადირობა.¹⁹

ნადირობის მიზნის მიხედვით, შესაძლებელია მისი კლასიფიკაცია მოვახდინოთ სარეწაო, სპორტულ, სელექციურ, თავდაცვით და სამეცნიერო ნადირობად. სარეწაო ნადირობა უძველესი ნადირობის სახეა, მისი მიზანია ბეწვის, ხორცისა და სხვა პროდუქციის მოპოვება როგორც პირადი, ასევე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საქართველოში ნადირობის ძირითადი მიზანი აღნიშნული სახეობისაა. სარეწაო ნადირობის მაგალითად შესაძლებელია ჩაითვალოს დასავლეთ საქართველოში იხვზე ნადირობა, როდესაც მონადირე გარდა პირადი საჭიროებისა, ახდენს ნამეტი ფრინველის გასხვისებას მოსახლეობაზე.

სპორტული ნადირობა, ძირითადად, ითვალისწინებს მონადირის ფიზიკურ მომზადებას, გამბედაობის, მოთმინების, მიზანში ზუსტი სროლის და სწრაფი ორიენტირების უნარის გამომუშავებას. სპორტული ნადირობა, ხელს უწყობს სამონადირეო ტურიზმის განვითარებას, როგორც ცალკე ქვეყანაში, აგრეთვე ქვეყნებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ სპორტული ნადირობის შედეგი, გარდა მონადირის ფიზიკური მონაცემების განვითარებისა, მაინც ინარჩუნებს სარეწაო დანიშნულებასაც. სპორტული ნადირობის მაგალითად შესაძლებელია ჩაითვალოს ნადირობა ჩიბუხაზე (Gallinago), რომელიც ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ და ამასთან, მომცრო ფრინველად ითვლება მსოფლიოში, რაც ართულებს მის მოპოვებას და დამოკიდებულია მონადირის სროლაში გაწაფულობაზე. სიტყვა სნაიპერი ბრიტანული წარმომავლობის არის და თავდაპირველად გამოიყენებოდა ჩიბუხაზე (ინგლისურად Snipe) ზუსტი მსროლელი მონადირის ტერმინად.²⁰

¹⁷ მეძმარიაშვილი ე., ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2017, გვ. 596.

¹⁸ ურიდია ს., მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, თბ., 2004, გვ. 483.

¹⁹ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“, 08.05.2003, მუხ. 7.

²⁰ სნაიპერი (ეტიმოლოგია), ვიკიპედია, 2005, <https://ka.wikipedia.org/wiki/სნაიპერი> [21.08.24].

სელექციური ნადირობა ნადირობის სპეციალური სახეა, რომელიც უკავშირდება უზომოდ მომრავლებული ნადირის თუ ფრინველის ამოღებას, აგრეთვე ნადირობის თვალსაზრისით, იშვიათი და ღირებული ცხოველის ან ფრინველის ამოღებას ე.წ. „ტროფი.“ სელექციური ნადირობის მაგალითად შესაძლებელია მოვიტანოთ, კურდღელზე ნადირობა ავსტრალიაში, როდესაც ეს მღრღნელი ისე მომრავლდა, რომ სერიოზულ ზიანს აყენებდა სოფლის მეურნეობას.

თავდაცვითი მიზნით ნადირობა საკმაოდ იშვიათი, მაგრამ ისტორიულად დადასტურებული ნადირობის სახეობაა. ნადირობის ეს სახეობა გულისხმობს კაციჭამია მტაცებლებზე ნადირობას. აღნიშნული ნადირობის ნათელი მაგალითია XIX საუკუნის მიწურულს, აფრიკაში, მდინარე ცავოზე სარკინიგზო ხიდის მშენებელ მუშებზე, ორი ხვადი ლომის რამდენიმეთვიანი თავდასხმები, რომლებმაც საბოლოოდ, ასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, ვიდრე ლომებს, რომლებსაც ადგილობრივებმა „მოჩვენება“ და „წყვდიადი“ დაარქვეს, არ მოინადირებდა ინგლისელი ინჟინერი და მონადირე ჯონ ჰენრი პატერსონი.

სამეცნიერო ნადირობა ტარდება სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის, რა დროსაც წარმოებს სანადირო ფაუნისა და ნადირის დაავადებების შესწავლა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმების შევსება, სამეცნიერო კოლექციების შედგენა და სხვა. აღნიშნული სახეობის ნადირობის მაგალითად შესაძლებელია მივიჩნიოთ ბოლო პერიოდში, მსოფლიოში გავრცელებული ისეთი ვირუსული დაავადებების კვლევის მიზნით ცხოველების მოპოვება, როგორც არის ფრინველის გრიპი, ღორის გრიპი, მაიმუნის ყვავილი და სხვა.

საქართველოში ნადირობა დაიშვება მხოლოდ ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე, როგორც არის სამონადირეო მეურნეობები, რაც შეეხება გადამფრენ ფრინველებს, მათზე ნადირობა ნებადართულია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე,²¹ კანონით განსაზღვრულია აგრეთვე, ტერიტორიული შეზღუდვები, რომელზეც დაწვრილებით კვლევის შემდგომ ნაწილში ვისაუბრებთ.

ნადირობისათვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების სახეობების ჩამონათვალი, ნადირობის ვადები და დღიური ლიმიტები, ნადირობის ადგილების მიხედვით, განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, სადაც სახელობით არის მოცემული ყველა ის ფრინველი და მათი მოპოვების ლიმიტი, აგრეთვე მათზე ნადირობის სეზონის ვადები, რომელთა მოპოვებაც შესაძლებელია საქართველოში.²²

²¹ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 27.12.2013, მუხ. 3, ნაწ. 3.

²² იხ.: იქვე, ბრძანების დანართი #1.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

უკანონო ნადირობის საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რა სახის ნადირობა არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, სად გადის ზღვარი ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 2013 წლის 14 მაისს შეიქმნა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლისა) განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შეღვსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.²³ აღნიშნული უწყების პირდაპირ მოვალეობაში შედის ქვეყნის ტერიტორიაზე მათ შორის, უკანონო ნადირობის ფაქტების გამოვლენა. აღნიშნული დეპარტამენტის ეფექტიან მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 2023 წელს, ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 12 772 ფაქტი. მათ შორის: 12 237 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რომლებზეც შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმები და გადაიგზავნა შესაბამის სასამართლოებში განსახილველად. 535 სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტი, რომლებიც გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის.²⁴

მაშ ასე, განვიხილოთ თუ რა სახის ქმედება ითვლება საქართველოში ნადირობის წესების დარღვევად, რომელიც იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას:

1. ნადირობისათვის დაშვებულ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისას, ნადირობის წესების დარღვევა.²⁵ აღნიშნული სახის სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი იქნება შემდეგ შემთხვევებში: ა) ნადირობისათვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების მოპოვება დღიურ ლიმიტზე მეტი ოდენობით. მაგალითად, მწყრის მოპოვების დღიური

²³ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №26 ბრძანებით დამტკიცებული, „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულება“, 2013, მუხ. 2, ნაწ. 1.

²⁴ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის წლიური ანგარიში, 2023, გვ. 220, <https://mepa.gov.ge/Ge/Reports> [23.08.24].

²⁵ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბ., 1984, მუხ. 86, ნაწ. 13.

ლიმიტი 1 მონადირეზე შეადგენს 20 ერთეულს,²⁶ შესაბამისად, ლიმიტზე მეტი ფროთოსნის მოპოვება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას; ბ) ნადირობისათვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების მოპოვება საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში, სახელმწიფო ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში, ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე, ასევე, სახელმწიფო ნაკრძალების გარშემო 500-მეტრიან და ეროვნული პარკების გარშემო 250-მეტრიან ზონებში; სამინისტროს სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მართვაში/სარგებლობაში არსებული საშენი მეურნეობების ფართობებზე.²⁷ მაგალითად, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში გარეული მტრედის მოპოვება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას; გ) ნადირობისათვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების მოპოვება დადგენილი ვადების დარღვევით.²⁸ მაგალითად, წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობის სეზონი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იხსნება 1 ნოემბერს და გრძელდება მომდევნო წლის 1 მარტამდე, გამონაკლისს წარმოადგენს ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორია, სადაც ნადირობა იხსნება 10 სექტემბერს და გრძელდება ამავე წლის 31 დეკემბრამდე.²⁹ შესაბამისად, ადმინისტრაციულ დარღვევად ჩაითვლება მაგალითად, 30 ოქტომბერს გარეული ბატის მონადირება კახეთის მხარეში ან პირიქით 1 იანვარს გარეული იხვის მონადირება წალკის წყალსაცავზე. აღნიშნული სახის დარღვევები გამოიწვევს დაჯარიმებას

²⁶ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 27.12.2013, ბრძანების დანართი #1, დანართის სექცია „სხვა ფრინველები“, პუნქტ. 3.

²⁷ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 27.12.2013, მუხ. 3, ნაწ. 7; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადება, გადამფრენი ფრინველებზე ნადირობის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, 07.08.24, მე-14 აბზაცი, <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/22785> [21.08.24].

²⁸ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 27.12.2013, მუხ. 3, ნაწ. 4.

²⁹ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 27.12.2013, ბრძანების დანართი #1, დანართის სექცია: „წყალმცურავი ფრინველები, რომლებზეც ნადირობა, მითითებულ ვადებში და დღიური ლიმიტებით, ნებადართულია საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებისა“ და „წყალმცურავი ფრინველები, რომლებზეც ნადირობა, მითითებულ ვადებში და დღიური ლიმიტებით, ნებადართულია, მხოლოდ ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.“

150 ლარის ოდენობით, მოპოვებული ობიექტის კონფისკაციით და სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ.³⁰ ხოლო ქმედება, იგივე ქმედებები ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას – 300 ლარის ოდენობით, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაციით და სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევით – 1 წლის ვადით.³¹

2. ნადირობის ობიექტებისთვის მიკუთვნებულ ცხოველთა სამყაროს ობიექტებზე ნადირობისას, ნადირობის წესის დარღვევა.³² პირველ ყოვლისა, გავერკვეთ, თუ რას წარმოადგენს ცხოველთა სამყარო – ყველა სახის გარეული ცხოველების ერთობლიობა, რომლებიც მუდმივად ან დროებით ბინადრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში.³³ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ნადირობის სეზონი იხსნება მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე და ნებადართულია სამონადირეო მეურნეობების გარეთ. საქართველოს ცხოველთა სამყარო სახელმწიფო საკუთრებაა. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირი ან ფარული ფორმით ხელყოფს ცხოველთა სამყაროზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას.³⁴ ამასთან, ცხოველთა სამყაროს ობიექტი, რომელიც ამოღებულია ბუნებრივი საბინადრო გარემოდან, გამრავლებულია ნახევრად თავისუფალ პირობებში ან ტყვეობაში ან შექნილია საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, შეიძლება იყოს კერძო საკუთრების ობიექტი.³⁵ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი აგრეთვე, განსაზღვრავს ცხოველთა სამყაროს იმ ობიექტთა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება გახდნენ კერძო საკუთრების ობიექტები.³⁶ ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ნადირობა.³⁷ სანადირო ობიექტების სახეობების სრული ჩამონათვალი მოცემულია სპეციალურ კანონქვემდებარე აქტში.³⁸ განსხვავებით გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისა, ამ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დად-

³⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბ., 1984, მუხ. 86, ნაწ. 13.

³¹ იხ.: იქვე, ნაწ. 14.

³² იხ.: იქვე, ნაწ. 15.

³³ საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, 1996, მუხ. 2, ნაწ. 1.

³⁴ იხ.: იქვე, მუხ. 6, ნაწ. 1.

³⁵ იხ.: იქვე, ნაწ. 3.

³⁶ იხ.: იქვე, ნაწ. 5.

³⁷ იხ.: იქვე, მუხ. 25, ნაწ. 1, „ა“ ქვეპ.

³⁸ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №18, „ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე, 2009.

გენილი წესით ნადირობა დაიშვება მხოლოდ სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ტერიტორიებზე – სამონადირეო მეურნეობებში. სამონადირეო მეურნეობების მოწყობა შესაძლებელია დაცული ტერიტორიების მხოლოდ შემდეგ კატეგორიებში: ალკვეთილში, დაცულ ლანდშაფტში და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე.³⁹ აღნიშნულ სახის სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი ექნება შემდეგ შემთხვევებში: ა) სანადირო ობიექტ(ებ)ის მოპოვებაზე ერთ პირზე გაცემული ლიცენზიის სხვა პირის მიერ გამოყენება; ბ) ლიცენზიის ვადების დარღვევით გამოყენება; გ) ლიცენზიით განსაზღვრული ცხოველთა ოდენობის გადამეტებით მონადირება. აღნიშნული სახის დარღვევები გამოიწვევს დაჯარიმებას – 300 ლარის ოდენობით, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ და სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევით – 1 წლის ვადით.⁴⁰ ხოლო იგივე ქმედებების განმეორებით ჩადენა, გამოიწვევს დაჯარიმებას – 600 ლარის ოდენობით, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაციით და სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევით – 2 წლის ვადით.⁴¹

3. ნადირობის წესების დარღვევა,⁴² აღნიშნულ სახის სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი ექნება შემდეგ შემთხვევებში: ა) ნადირობა სეზონის გახსნამდე ან სეზონის დასრულების შემდეგ, მაგალითად, 2024 წლის ნადირობის სეზონი, როგორც აღვნიშნეთ გაიხსნა 24 აგვისტოს და დაიხურება 2025 წლის 1 მარტს, შესაბამისად, 23 აგვისტოს (ან მანამდე პერიოდში) ან 2 მარტს (ან შემდგომ პერიოდში), თუ მონადირე მოიპოვებს თუნდაც დაშვებულ სანადირო ობიექტს; ბ) ნადირობა აკრძალულ ტერიტორიაზე, მაგალითად, დაშვებულ სანადირო ობიექტებზე ნადირობა, სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე, სამონადირეო მეურნეობის მიერ გაცემული ნებართვის არქონის შემთხვევაში; გ) ნადირობა აკრძალულ სანადირო ობიექტებზე, მაგალითად, ბოლო ორი წლის პერიოდში, სანადირო ობიექტების ნუსხიდან ამოღებული იქნა ჩვეულებრივი გვრიტის (*Streptopelia turtur*) სახეობა, ვინაიდან საგრძნობლად შემცირდა საქართველოში მისი რიცხოვნობა, ხოლო ნუსხას დაემატა საყელოიანი გვრიტი (*Streptopelia decaocto*), რომლის რაოდენობამ, საპირისპიროდ ბოლო წლებში მოიმატა. ჩვეულებრივი გვრიტის მონადირების შემთხვევაში, სახეზე გვექნება ნადირობის წესების დარღვევა; დ) ნადირობა მცენარეული

³⁹ საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, 1996, მუხ. 28, ნაწ. 4.

⁴⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბ., 1984, მუხ. 86, ნაწ. 15.

⁴¹ იხ.: იქვე, ნაწ. 16.

⁴² იხ.: იქვე, ნაწ. 17.

საფარის დაწვით,⁴³ მაგალითად, ნადირობის გაადვილების მიზნით, მცენარეული საფარისთვის ცეცხლის წაკიდება, რათა ნადირ ფრინველი იძულებით იქნას გამოდევნილი თავშესაფრიდან; ე) ცხოველების ბუნაგებიდან გამოდევნა მათი შებოლვით ან დატბორვით, აგრეთვე სოროების გათხრით.⁴⁴ აღნიშნული სახის დარღვევები გამოიწვევს დაჯარიმებას – 600 ლარის ოდენობით, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ და სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევით – 1 წლის ვადით.⁴⁵ ხოლო იგივე ქმედებების განმეორებით ჩადენა, გამოიწვევს დაჯარიმებას – 1200 ლარის ოდენობით, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაციით და სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევით – 2 წლის ვადით.⁴⁶

4. ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა⁴⁷ – აღნიშნული სახის სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი იქნება შემდეგ შემთხვევებში: ა) გარეულ ფრინველთა კვრცხის შეგროვება და გაყიდვა, გარდა ფრინველთა აღწარმოების მიზნით სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული შემთხვევებისა;⁴⁸ ბ) ცხოველთა ბუდეების, ბუნაგების, საცხოვრებელი ადგილების მოშლა ან განადგურება;⁴⁹ გ) გარეული ცხოველის ან/და ფრინველის ტყვეობაში აყვანა, სათანადო ნებართვის გარეშე. აღნიშნული სახის დარღვევები გამოიწვევს დაჯარიმებას – 900 ლარის ოდენობით, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ.⁵⁰

5. იმ იარაღით, საშუალებით ან მეთოდით ნადირობა, რომელიც ნადირობისას აკრძალულია.⁵¹ აღნიშნულ სახის სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი იქნება მაგალითად მაშინ, როდესაც მსხვილი ჩლიქოსნების მოპოვება წარმოებს მცირეკალიბრიანი სანა-

⁴³ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 27.12.2013, მუხ. 3, ნაწ.8, „ა“ ქვეპ.

⁴⁴ იხ.: იქვე „ბ“ ქვეპ.

⁴⁵ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბ., 1984, მუხ. 86, ნაწ. 17.

⁴⁶ იხ.: იქვე, ნაწ. 18.

⁴⁷ იხ.: იქვე, ნაწ. 19.

⁴⁸ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 27.12.2013, მუხ. 3, ნაწ.8, „ბ“ ქვეპ.

⁴⁹ იხ.: იქვე, „გ“ ქვეპ.

⁵⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბ., 1984, მუხ. 86, ნაწ. 19.

⁵¹ იხ.: იქვე, ნაწ. 20.

დროო იარაღითა და საფანტით, რომლის დიამეტრიც 5 მმ-ზე ნაკლებია.⁵² აღნიშნული სახის დარღვევები გამოიწვევს დაჯარიმებას – 1500 ლარის ოდენობით, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ და სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევით – 2 წლის ვადით.⁵³ ხოლო იგივე ქმედებების განმეორებით ჩადენა, გამოიწვევს დაჯარიმებას – 3000 ლარის ოდენობით, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაციით და სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევით – 3 წლის ვადით.⁵⁴

ჩვენს მიერ განხილული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევებში, დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის სახით სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის კონფისკაცია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნადირობის განმახორციელებელ პირზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ არ არის გაცემული „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.⁵⁵ ამასთან, კანონი კრძალავს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების, სხვა სანადირო იარაღის კონფისკაციას იმ პირის მიმართ, რომლისთვისაც ნადირობა არსებობის ძირითადი წყაროა.⁵⁶

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, უკანონო ნადირობის დანაშაულებრივი ქმედება გათვალისწინებული არის გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.⁵⁷ უკანონო ნადირობის მარეგულირებელმა მუხლმა, ამოქმედების დღიდან დღემდე, 3 ტექნიკური ხასიათის ცვლილება განიცადა. კერძოდ: 1. შეიცვალა მუხლის პირველი ნაწილის სანქცია, კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე

⁵² საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 27.12.2013, მუხ. 3, ნაწ. 8, „თ“ ქვეპ.

⁵³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბ., 1984, მუხ. 86, ნაწ. 20.

⁵⁴ იხ.: იქვე, ნაწ. 21.

⁵⁵ იხ.: იქვე, მუხ. 86, შენიშვნა, 1 პუნქტ.

⁵⁶ იხ.: იქვე, მუხ. 29, ნაწ. 2.

⁵⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, თავი XXXVI.

გაუქმდა სასჯელის სახით „ტუსალობის“ გამოყენება და ის ჩანაცვლდა 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით.⁵⁸ აღნიშნული ცვლილებით, გამკაცრდა ჩადენილი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახე და ზომა; 2.-მუხლის მეორე ნაწილში არსებული ჩანაწერი „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ნადირ-ფრინველი, შეიცვალა ჩანაწერით „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ცხოველთა სამყარო.⁵⁹ აღნიშნული ცვლილებით გაიზარდა ობიექტების ნუსხა, რაც შეტანილია „წითელ ნუსხაში“, ვინაიდან „ცხოველთა სამყაროს“ ცნება უფრო ფართო გაგების არის, ვიდრე „ნადირ-ფრინველი“; 3. მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიცია კვლავ შეიცვალა და დაუბრუნდა თავდაპირველ ვარიანტს.⁶⁰ შესაბამისად ტერმინი „ცხოველთა სამყარო,“ კვლავ შეიცვალა „ნადირ-ფრინველით.“

მუხლის მოქმედი რედაქცია შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილით გათვალისწინებულია „ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე, ანდა აკრძალულ ადგილას ან აკრძალულ დროს ან აკრძალული იარაღით ან საშუალებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.“ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება შინაარსით პრაქტიკულად, იდენტურია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დარღვევების, მათ განასხვავებს მუხლის დისპოზიციისთვის სავალდებულო „მნიშვნელოვანი ზიანი.“

ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელი წინაპირობა არის ზიანის ფაქტის დადასტურება და აღნიშნული ზიანის ოდენობის გამოთვლა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ამა თუ იმ თავის მიზნებისთვის, ზიანის ოდენობები რეგლამენტირებულია თავად მუხლის შენიშვნებში. მაგალითად, ეკონომიკური დანაშაულის თავისთვის მნიშვნელოვან ზიანად ითვლება, როდესაც ნივთის ღირებულება შეადგენს 150 ლარს ზემოთ ოდენობას, ხოლო დიდ ოდენობად – 10 000 ლარს ზემოთ ოდენობა.⁶¹ ფულის გათეთრებისთვის – დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი ოცდაათი ათასი ლარიდან ორმოცდაათ ათას ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – შემოსავალი ორმოცდაათი ათასი ლარის ზევით.⁶² გადასახადისთვის თავის არიდებისთვის – დიდ ოდე-

⁵⁸ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, #2937, 28.04.2006, მუხ. 169.

⁵⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“, #5201-III, 11.08.2011წ., მუხ. 10.

⁶⁰ საქართველოს კანონი, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, #472-რს, 25.03.2013, მუხ. 1, ნაწ. 2.

⁶¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 177, შენიშვნა.

⁶² იხ.: იქვე, მუხ. 194, შენიშვნა.

ნობად ითვლება, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება ასი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად, როდესაც თანხა აღემატება ას ორმოცდაათი ათას ლარს.⁶³ ანალოგიური საკანონმდებლო დათქმა გარემოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავს არა აქვს. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, თავის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად.⁶⁴

ამასთან, სსკ-ის 301-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა პირს, თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნის მიღებიდან, 45 კალენდარული დღის ვადაში იგი გადაიხდიდა დაკისრებულ თანხას ან ამავე ვადაში, მასთან დაიდებოდა გარემოსთვის მიყენებული ზიანის თაობაზე შეთანხმება.⁶⁵ კანონის აღნიშნული ჩანაწერი გაუქმებული იქნა 2013 წელს.⁶⁶ შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსი მოცემული მუხლისთვის არ განმარტავდა, თუ რა ოდენობა ჩაითვლებოდა მნიშვნელოვან ზიანად. თუნდაც ერთი მწყერის ან კურდღლის უნებართვოდ მოპოვება რა თქმა უნდა, გამოიწვევს გარკვეულ ზიანს, მაგრამ როგორ უნდა დავადგინოთ და გავმიჯნოთ, აღნიშნული ზიანი არის თუ არა მნიშვნელოვანი, ანუ წარმოადგენს თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს და არის თუ არა უმნიშვნელო, ანუ წარმოადგენს თუ არა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად, დანაშაულის შემადგენლობისთვის და შესაბამისად, პროკურორისთვის პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებებაში მიცემის დადგენილების გამოსატანად, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებას წარმოადგენს ზიანის განმსაზღვრელი/დამადასტურებელი დოკუმენტი. მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალმდებელს, ისევე როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებათა დასაშვებობის და დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლობის დასაბუთების მოვალეობა.⁶⁷ ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რა დოკუმენტზე დაყრდნობით ხორციელდებოდა და ხორციელდება დღეს, საქართველოში უკანონო ნადირობის შედეგად გამოწვეული

⁶³ იხ.: იქვე, მუხ. 218, შენიშვნა.

⁶⁴ იხ.: იქვე, მუხ. 291, შენიშვნა, ნაწ. 1 (2013 წლის 15 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

⁶⁵ იხ.: იქვე, ნაწ. 2 (2013 წლის 15 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

⁶⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2013, #472-რს, 25.03.2013, მუხ. 1, ნაწ. 1.

⁶⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 5, ნაწ. 2; მუხ. 33, ნაწ.1; მუხ. 72, ნაწ. 3.

ზიანის დაანგარიშება. აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი წლების მანძილზე არაერთხელ შეიცვალა.⁶⁸ მოქმედი ნორმატიული აქტით განისაზღვრა გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა და მნიშვნელობა. ზიანის მნიშვნელობას განსაზღვრავს ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სახეობა. ამასთან, აღნიშნული ქმედება, რაც გამოიხატება ნადირ-ფრინველის უკანონო მოპოვებაში, შედეგად გარემოს უნდა აყენებდეს ზიანს 2000 ლარის ოდენობით ან მეტს.⁶⁹ ზიანის ოდენობის განსაზღვრისთვის მნიშვნელობა აქვს უკანონოდ მოპოვებული ნადირ-ფრინველის სახეობას და ოდენობას.⁷⁰ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე ზიანის თანხა ხუთმაგდება.⁷¹ თავად „წითელი ნუსხა“ წარმოედგენს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების ჩამონათვალს.⁷² ასე მაგალითად, ნიამორის (*Capra aegagrus Linnaeus*) მოპოვების შემთხვევაში, 1 სულზე ზიანის თანხა შეადგენს 10 000 ლარს,⁷³ მაგრამ ნიამორი ამავდროულად შეტანილია „წითელ ნუსხაში“,⁷⁴ შესაბამისად მისი მოპოვების შემთხვევაში, 1 სულზე ზიანის თანხა განისაზღვრება უკვე 50 000 ლარით. უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშების შედეგად ზიანის ოდენობა თუ აღმოჩნდება 2000 ლარზე ნაკლები, ასეთ შემთხვევაში, პირს დაეკისრება მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლის საგამომძიებო ქვემდებარეობას.⁷⁵ გარემოზე მიყენებული ზიანის გაანგარიშება სცდება გამომძიებლის სპეციალური

⁶⁸ მაგალითად: 2002-2006 წლებში მოქმედებდა „უკანონო ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №99, 2006-2011 წლებში – „გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №538, 2011-2014 წლებში – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №2, ხოლო 2014 წლიდან დღემდე – ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54.

⁶⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54, ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ, 2014, მუხ. 8, ნაწ. 3.

⁷⁰ იხ.: იქვე, ნაწ. 1 და დანართი 7.

⁷¹ იხ.: იქვე, ნაწ. 2.

⁷² საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“, 2003, მუხ. 1, ნაწ. 1, „ა“ ქვეპ.

⁷³ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება #3 „სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო და ტერიტორიული საგამომძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“, 2019, დანართი, პუნქტი #1.

⁷⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №190, საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ, 20.02.2014, საქართველოს „წითელი ნუსხა“, ცხოველები, სახეობა #32.

⁷⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999წ., მუხ. 301, ნაწ. 1, სანქცია.

ცოდნის ფარგლებს. უკანონო ნადირობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, სათანადო გაანგარიშებას აკეთებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. ზიანის გაანგარიშების წერილობითი დოკუმენტი, მტკიცებულების სახით ერთვის სისხლის სამართლის საქმეს და წარმოადგენს კონკრეტული საქმისთვის მნიშვნელოვან აქტს, რომლის მიხედვით დასტურდება ზიანის ოდენობა და რომ ეს ზიანი არის მნიშვნელოვანი.

გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი რა თქმა უნდა, არ ცვლის ქმედების სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას, მაგრამ როგორც წესი, სასამართლოს მიერ ხდება მისი გათვალისწინება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების დროს.

რაც შეეხება სასჯელის ზომებს, აღნიშნული ქმედების ჩადენა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით, ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით, ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით – სამ წლამდე ან უამისოდ.⁷⁶

მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია „ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალში ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე, სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია, ანდა მექანიკური სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებით ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირ-ფრინველზე, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში.“⁷⁷ როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნაწილის დისპოზიციისთვის „მნიშვნელოვანი ზიანი“ სავალდებულო ნიშანს არ წარმოადგენს.

კანონმდებელმა განსაკუთრებული დაცვის ობიექტებად გამოაცხადა ის ნადირ-ფრინველი, რომელიც ბინადრობს სახელმწიფო ნაკრძალში ან სხვა დაცულ ტერიტორიებზე. სახელმწიფო ნაკრძალი – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების I კატეგორიას – მკაცრი ბუნებრივი რეზერვატი (Strict Nature Reserve/Wilderness Area).⁷⁸ შესაბამისად, სახელმწიფო ნაკრძალი საქართველოს დაცული ტერიტორიების იერარქიაში პირველ ადგილს იკავებს, თავისი მნიშვნელობით შემდეგ მოდის: ეროვნული პარკი – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო

⁷⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54, ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ, 2014, დანართი #7, სახეობა #380.

⁷⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 301, ნაწ. 2.

⁷⁸ საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, 1996, მუხ. 1, „ტ“ ქვეპ.

კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების II კატეგორიას – ეროვნული პარკი (National Park),⁷⁹ ბუნების ძეგლი – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების III კატეგორიას – ბუნების ძეგლი (Natural Monument),⁸⁰ აღკვეთილი – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების IV კატეგორიას – ჰაბიტატების/სახეობების მართვის ტერიტორია (Habitat/Species Management Area),⁸¹ დაცული ლანდშაფტი – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების V კატეგორიას – დაცული ლანდშაფტი (Protected Landscape)⁸² და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების VI კატეგორიას – რესურსების მართვის დაცული ტერიტორია (Managed Resource Protected Area).⁸³ აღნიშნულ დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია, ნადირობის ნებისმიერი შემთხვევა, მაშინაც კი, როდესაც არ არის მოპოვებული „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ნადირ-ფრინველი, მიუხედავად მათი მოპოვების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობისა, ითვლება დანაშაულად.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ „საქართველოს წითელ ნუსხაზე“, დამატებით შეიძლება ითქვას, რომ „წითელ ნუსხაში“, შეტანილია საქართველოში მობინადრე 33 ძუძუმწოვრის და 35 ფრინველის სახეობა – ნებისმიერი მათგანის, თუნდაც 1 ეგზემპლარის მოპოვება, წარმოადგენს დანაშაულს.

რაც შეეხება დისპოზიციის სხვა შემადგენელ ნაწილებს, როგორც არის: „ანდა მექანიკური სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებით... ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირ-ფრინველზე, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში“ – არსი რა თქმა უნდა, გასაგებია. ამასთან, დავაზუსტებთ ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობას: მასობრივი საშუალებებით ცხოველთა განადგურებაში მოიაზრება: ცხოველთა მასობრივი მოპოვების საშუალებებით – ყოველგვარი კუსტარული ან ქარხნული წესით დამზადებული ბადეებით (გარდა დამჭერი მტაცებელი ფრინველების ნებადართული მოპოვების შემთხვევებისა), ხაფანგებით, მარყუქებით, აგრეთვე ორმოებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაშენების

⁷⁹ იხ.: იქვე, „მ“ ქვეპ.
⁸⁰ იხ.: იქვე, „ე“ ქვეპ.
⁸¹ იხ.: იქვე, „ბ“ ქვეპ.
⁸² იხ.: იქვე, „ზ“ ქვეპ.
⁸³ იხ.: იქვე, „ს“ ქვეპ.

საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველების გარემოდან ამოღება ხორციელდება ტყვეობაში გამრავლების მიზნით; ცხოველების მოპოვება ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ან ხორციელდება გარეულ ცხოველთა რეგულირების წესის შესახებ დებულებით დადგენილი ქმედებები), სარეგვავებით (სარეჯგველების), ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა, საწამლავით, სანადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორებით, ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით, თოფებისა და სხვა თვითმსროლელი იარაღების დაგუშავება.⁸⁴ ამ შემთხვევაში, მაგალითად შესაძლებელია მოვიტანოთ, საქართველოში ყველაზე გავრცელებული ბრაკონიერობის ხერხი, ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა, რაც ხშირად, კეთილსინდისიერ მონადირეებში, სამართლიან პროტესტს იწვევს; ნადირობა მექანიკური სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებით: ნადირობა და/ან ცხოველთა მოპოვება (დაჭერა) თვითმფრინავიდან, ვერტმფრენიდან, ავტომობილიდან, მოტოციკლეტიდან, კატარღებიდან, ძრავიანი ნავებიდან და სხვა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან, მათ შორის, ღამით განათებული ფარებისა და პროექტორების მეშვეობით, ცხოველთა დევნა სატრანსპორტო საშუალებებით, წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა ძრავაგამოურთველი მოტორიანი ნავებიდან და კატერებიდან (მოპოვება დევნით), ასევე ნადირობა ღამის ცეცხლის დანთებით;⁸⁵ ნადირობა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირ-ფრინველზე, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში: სტიქიური უბედურებების (წყალდიდობა, ხანძარი, დიდი თოვლი და სხვა) დროს დაუძღვრებული ცხოველების მოპოვება, აგრეთვე მათზე ნადირობა წყალში გადასვლისას ან სხვა დაბრკოლებების გადალახვისას, მათ შორის, სტიქიური უბედურებისაგან თავის დაღწევის დროს.⁸⁶

რაც შეეხება სასჯელის ზომებს, აღნიშნული ქმედების ჩადენა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით, ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით – სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით – სამ წლამდე.⁸⁷

⁸⁴ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №95, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 27.12.2013, მუხ. 3, ნაწ. 8, „დ“ ქვეპ.

⁸⁵ იხ.: იქვე, „ე“ ქვეპ.

⁸⁶ იხ.: იქვე, „ვ“ ქვეპ.

⁸⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 301, ნაწ. 2, სანქცია.

უკანონო ნადირობა შესაძლებელია ჩაიდინოს ნებისმიერმა პირმა, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი და არის შერაცხადი.⁸⁸

დასკვნა

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულებრივი ქმედება უკანონო ნადირობის შემადგენლობის პირველი ნაწილის დისპოზიციისთვის, აუცილებელი გარემოებაა ზიანის დაანგარიშება, ხორციელდება მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ზიანის დაანგარიშებას ახდენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილი პირი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აგრეთვე, საგამოძიებო ორგანოების მიმართვის შემთხვევაში. გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განსაზღვრულია 2000 ლარით ან მეტი თანხით. შესაბამისად, თუ ზიანის ოდენობა შეადგენს მხოლოდ 1999 ლარს ან ნაკლებს, ასეთ შემთხვევაში, პირის მიმართ არ იწყება ან/და წყდება სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, აღნიშნულ პირს დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი. სისხლის სამართლის კოდექსი განსხვავებით, სხვა კატეგორიის დანაშაულებზე დაწესებული დათქმებისა, უკანონო ნადირობის ფაქტზე ზიანის კონკრეტულ ოდენობას არ აწესებს, რაც ხშირად ქმნის გაურკვეველობას საკითხით დაინტერესებულ პირთა წრეში. მიგვაჩნია, რომ გაურკვეველობის თავიდან აცილების მიზნით, გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავისათვის ან/და კონკრეტული მუხლებისთვის, სისხლის სამართლის კოდექსში ნათლად მოხდეს ზიანის ოდენობის რეგლამენტაცია.

გარდა აღნიშნულისა, უკანონო ნადირობის ფაქტებთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, მიზანშეწონილია ნადირობის სეზონის გახსნის განცხადება შეიცავდეს ინფორმაციას, უკანონო ნადირობა რა შემთხვევებში არის დარღვევა და რა კონკრეტულ შემთხვევებში დანაშაული. საქართველოში მონადირეთა უმეტესობა არ არის იურისტი და მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, შესაძლებელია სახელმძღვანელო ნორმებში გაუთვითცნობიერებლობით, გახდეს ადმინისტრაციული დამრღვევი ანდა დანაშაულის ჩამდენი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მონადირე სანადირო იარაღის შექმნის და რეგისტრაციის დროს გადის ტესტირებას, მაინც არასაკმარისად მიგვაჩნია, რადგან მონადირეს ბრაკონიერის ცდუნებისგან ერთი ნაბიჯი აშორებს. შესაბამისად, საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების დამატებითი და მიზნობრივი განმარტება ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს დანაშაულის და ადმინისტრაციულ დარღვევათა პრევენციას.

⁸⁸ ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., მუმლაძე დ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2005, გვ. 37.

ILLEGAL HUNTING

KHVICHA BEGIASHVILI

Ph.D. of Law

State Security Service

Training center instructor

This article aims to provide a comprehensive understanding of the criminal act outlined in Article 301 of the Criminal Code of Georgia, particularly in relation to illegal hunting. It discusses the necessary components for the composition of illegal hunting, the amount of damage to the environment, the procedure for calculating it, and the significance of the damage. The article also explores the line between criminal and administrative responsibility, the potential harm caused by illegal hunting, and its implications for investigations, prosecutions, and courts.

This article, a novel contribution to the field, identifies and explores the subject of illegal hunting, a topic that has received little attention in textbooks or commentaries on the private part of the Criminal Code. The concept of harm to the environment, as distinct from damage assigned to other crimes, is examined in detail. The size of this harm determines the basis for administrative or criminal liability in a particular case, highlighting the practical significance of this scientific study.

The purpose of the scientific paper is to distinguish hunting from illegal hunting, clarify the issue of damage a necessary component for the composition of Article 301 of the Civil Code and create a correct representation of the problematic issues raised around it, including which cases of illegal hunting entail administrative and criminal liability.

დავის განხილვის თავისებურებები სადაზღვევო ურთიერთობებში

სამართლებრივი ანალიზი
და სამართაშორისო პრაქტიკა

ნინო ნიავაძე

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის,
სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი,
სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო მუდამხედველობის
სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი*

შესავალი

სადაზღვევო ურთიერთობები საქართველოში წელს, მაგრამ დინამიკურად ვითარდება. სამოქალაქო ბრუნვის ზრდასთან ერთად, იზრდება მოთხოვნა დაზღვევაზეც, როგორც ფინანსური დაცვის უალტერნატივო მექანიზმზე. საქართველოში ერთობ ხელშესახებია დაზღვევის მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობა, მისი ფინანსური განათლების დონე და ასევე, გასათვალისწინებელია სადაზღვევო ბაზარზე არსებული მდორე პროცესები – დაზღვევის დაბალი კულტურა, მომხმარებლის ნდობის მოპოვების დაბალი ტემპის გათვალისწინებით.

ზოგადად, სადაზღვევო ბაზრის სრულყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნების ეკონომიკური წინსვლაა ასევე, სადაზღვევო საქმიანობის დროს მიღებული გამოცდილება და აქედან გამომდინარე, დაზღვევის საჭი-

როების გაცნობიერება საზოგადოების მიერ. საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებმა აქტიურად წამოწია წინ სადაზღვევო სისტემის რეფორმის საჭიროება. დაზღვევის სწორი ფორმირება კი, მოითხოვს მის სრულყოფასა და დახვეწას. დღის წესრიგში დგას დაზღვევის სფეროს ევროპულ, საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საკითხი, რათა მივიღოთ განვითარებული დაზღვევის სექტორი.

დაზღვევის მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია მისი, როგორც ფინანსური ინსტიტუტის მომხმარებლის სპეციალური და განსაკუთრებულად მაღალი სტანდარტით დაცვის საჭიროება.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ სფეროში მოქმედი იმ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული დებულებების სრულყოფა, რომლებიც არეგულირებს დაზღვევის სექტორსა და დაზღვევის მომხმარებელს შორის ურთიერთობებს და დავის არსებობის შემთხვევაში, მისი გადაწყვეტის ეფექტიან გზებსა და საშუალებებს.

1. დაზღვევის მომხმარებელი, მარეგულირებელი ნორმები

სადაზღვევო ბაზარი წარმოადგენს რეგულირებად ბაზარს. კერძოდ, სადაზღვევო საქმიანობასა და სადაზღვევო ურთიერთიერთობებში მიმდინარე პროცესები კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით, ექვემდებარება რეგულირებას. ამ შემთხვევაში რეგულირების წყაროა სახელმწიფო – სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სახით, რომელიც „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოადგენს დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ საზედამხედველო, დამოუკიდებელ ორგანოს.¹ აუცილებელია ითქვას, რომ ზედამხედველობის მოცულობა და ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია უშუალოდ სადაზღვევო სექტორის განვითარების დონესთან და მისი, სწორედ სახელმწიფო დონეზე რეგულირება უნდა შედიოდეს ეროვნული ეკონომიკის რეპროდუქციის პროცესში. აღსანიშნავია, რომ მდგრადი ეკონომიკური ზრდის პირობებში, შესაძლებელია სადაზღვევო ბაზრის ტრანსფორმაციის დაწყება, მომხმარებლის უფლებების დაცვის თანადი სისტემის შექმნა, სადაზღვევო პროდუქტების მრავალფეროვნება და სტიმულირება.

¹ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 19, პუნქტი 1, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 21-22, 31.05.1997, №690-III.

ნიშანდობლივია, რომ დაზღვევის სფეროს მომხმარებლის დეფინიციას კანონმდებელი განამტკიცებს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტით. იგი მოიცავს: ა) ფიზიკურ პირს, რომელსაც განზრახული აქვს სადაზღვევო მომსახურების მიღება; ბ) ფიზიკურ პირი, რომელიც დებს დაზღვევის ხელშეკრულებას; გ) დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დამზღვევს, დაზღვეულს, მოსარგებლეს, მესამე პირს.

საჯარო რეგულირების ჭრილში, დაზღვევის მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ფუნქცია, ამავე კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას მომხმარებლის უფლებები. აღნიშნული კანონი ადგენს სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს და შესაბამისი დანაწესებით უზრუნველყოფს ზედამხედველობა გაუწიოს სადაზღვევო ორგანიზაციების და დაზღვევის შუამავლების ვალდებულებების შესრულებას, რისთვისაც იგი უფლებამოსილია გამოსცეს სამართლებრივი აქტები, განახორციელოს სათანადო ღონისძიებები, გასცეს წერილობითი მითითებები, დააწესოს დამატებითი მოთხოვნები და შესაბამისი შეზღუდვები. ასევე მნიშვნელოვანია, განვიხილოთ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის ბრძანება №18-ით დამტკიცებული „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქცია.“² ეს ინსტრუქცია არეგულირებს სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ დაზღვევის მომხმარებლისათვის სადაზღვევო მომსახურების გაწევის დროს სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და დროული ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდების საკითხებს და ემსახურება სადაზღვევო სექტორის სამომხმარებლო ბაზარზე მომხმარებლის უფლებების დაცვას.

ინსტრუქციაში ასევე ნათქვამია, რომ მისი მიღების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ სადაზღვევო საქმიანობისას კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპების დაცვა, მათი მხრიდან არამდგრადი და რეპუტაციული რისკის შემცველი ბიზნესმოდელების გამოყენების რისკის შემცირება, რაც ემსახურება კეთილსინდისიერი და ჯანსაღი კონკურენციისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფას. მითითებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ადგენს სადაზღვევო ორგანიზაციის ვალდებულებას, ჰქონდეს და დაიცვას მომხმარებელთა უფ-

² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3630728?publication=7>

ლებების დაცვის შიდა პოლიტიკა, რომელიც თავის მხრივ, უნდა ასახავდეს მზღვეველის მიერ გამოკვეთილ პრიორიტეტებსა და მეთოდოლოგიას, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ შემუშავებულია სტრატეგია/სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო დონეზე იმგვარი ცვლილებების გატარებას, რაც საშუალოვადიან პერსპექტივაში ეფექტიანად უზრუნველყოფს დაზღვევის მომხმარებლისთვის ახალი სტანდარტებით მომსახურების პროცესს. მითითებული სტანდარტები უზრუნველყოფს სადაზღვევო ორგანიზაციების არა მხოლოდ ფინანსურ და მათი გადახდისუნარიანობის კონტროლს, არამედ მომხმარებელთან ურთიერთობისა და მათთვის მომსახურების გაწევის ხარისხის კონტროლს და ამ მხრივ, კეთილსინდისიერების მექანიზმების ამუშავებას. სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ ბაზარზე ქცევის სტანდარტის დამკვიდრების მოცემულობა გარკვეული თვალსაზრისით, უკვე განმტკიცებულია საკანონმდებლო დანაწესებით. კერძოდ, საჯარო რეგულირების მხრივ, ნიშანდობლივია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6¹ პუნქტი, რომელიც ადგენს რომ „მზღვეველი ვალდებულია იხელმძღვანელოს კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპებით და სადაზღვევო საქმიანობა განახორციელოს ამ პრინციპების დაცვით.“³ თავის მხრივ, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო საქმიანობის კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპების დაცვით განხორციელებას.⁴

უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი ჰარმონიზაცია ევროპული გაერთიანების შექმნის და მისი შემდგომი ისტორიული განვითარება-გაფართოების მთავარ ინსტრუმენტად იქცა. ამიტომაც სახელმწიფოთა კანონების დაახლოება და კონვერგენცია ევროპული კავშირისათვის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი მექანიზმია.⁵

ასოცირების შეთანხმების XXIX დანართის, რომელიც მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკას შეეხება, თანახმად: „მომხმარებელთა დაცვის შესახებ დისტანციურ კონტ-

³ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9, პუნქტი 6¹, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 21-22, 31.05.1997, №690-III.

⁴ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21, პუნქტი ყ), საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 21-22, 31.05.1997, №690-III.

⁵ სამართლებრივი დაახლოება, სახელმძღვანელო პრინციპები, საჯარო მოხელის სამაგიდო ბროშურა, 2017, გვ. 7.

რაქტებთან დაკავშირებით,“ 1997 წლის 20 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/7/EC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში. ამჟამად, ეს დირექტივა ძალადაკარგულია და ჩანაცვლებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/83 დირექტივით, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ.“ საქართველოს მიერ იმ აქტის გამოყენება, რომელიც ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეში აღარ მოქმედებს, სამართლებრივი ხარვეზი იქნებოდა. საქართველომ უნდა იხელმძღვანელოს ევროკავშირის მოქმედი კანონებით, რაც ნიშნავს, რომ დაახლოება უნდა მოხდეს იმ სტანდარტებთან, რომლებსაც კანონიერი ძალა აქვს ევროკავშირის შიდა ბაზრისათვის.⁶ შესაბამისად, მომხმარებლის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სამსახური აქტიურად ხელმძღვანელობს „დაზღვევის ფუძემდებლური პრინციპებით“ (ICP – Insurance Core Principles) დადგენილი ნორმებით.

ზემოხსენებული დოკუმენტის თანახმად, სადაზღვევო სექტორის განვითარების ხარისხი დაკავშირებულია სადაზღვევო ორგანიზაციის ბიზნეს საქმიანობასთან, ქვეყნის იურისდიქციასთან, ტრადიციებთან, კულტურასა და სამართლებრივ რეჟიმთან. მომხმარებელთა მიმართ კეთილსინდისიერი მოპყრობის მიღწევისათვის მიზანშეწონილია ICP-ის რეგულაციების დანერგვა და გათვალისწინება. სწორედ ამ სტანდარტებზე დაყრდნობით შეიქმნა 2017 წლის 03 აპრილის „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება №18. აღნიშნული ნორმატიული აქტით უფრო სრული და გამჭვირვალე გახდა ინფორმაცია სადაზღვევო პირობების შესახებ. მზღვეველებს სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე დაევალებათ ერთგვაროვანი საინფორმაციო ფურცლისა და ხელშეკრულების დადების ეტაპზე ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების შემცველი თავსართის მომხმარებლისათვის მიწოდება. მომხმარებელი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია დაზღვევის შუამავლის სადაზღვევო ორგანიზაციასთან კავშირისა და მისი ანაზღაურების ოდენობის შესახებ. ასევე, გამარტივდა საინფორმაციო ფურცელთან და დაზღვევის პირობებთან წვდომა და მზღვეველის მიმართ წარდგენილი პრეტენზიის განხილვის პროცედურაზე ხელმისაწვდომობა.

⁶ სამართლებრივი დაახლოება, სახელმძღვანელო პრინციპები, საჯარო მოხელის სამაგიდო ბროშურა, 2017, გვ. 19.

2. სადაზღვევო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის განხილვის ალტერნატიული მექანიზმები

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით. ამ მხრივ, სამსახური შეიმუშავებს და გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომხმარებლის უფლებების დაცვისკენ. იგი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სადაზღვევო ორგანიზაციასა და შუამავალს (აგენტი, ბროკერი) და ამოწმებს მათ მიერ საკანონმდებლო და ნორმატიული ვალდებულებების შესრულებას მათი საქმიანობის ყველა ეტაპზე.

საქართველოში, მიმდინარედ დადგენილი საკანონმდებლო წესრიგის თანახმად, დაზღვევის მომხმარებელი სადაზღვევო პროდუქტთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი უკმაყოფილების შესახებ, უფლებამოსილია პირველ ყოვლისა, მიმართოს სადაზღვევო ორგანიზაციას, რომელიც განიხილავს პრეტენზიას მის ვებგვერდზე განთავსებული პროცედურის მიხედვით. თვალსაჩინოდ შეგვიძლია მოვიტანოთ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი 19 სადაზღვევო ორგანიზაციიდან რამდენიმე ორგანიზაციის ვებგვერდის მისამართი: სს „თიბისი დაზღვევა“, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, სს „გრინ დაზღვევა საქართველო“.⁷

როგორც უკვე აღინიშნა, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს მომხმარებლის განცხადებებს სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ საზედამხედველო ნორმების დაცვის შემოწმების ტრილში.⁸ ნიშანდობლივია ითქვას, რომ სამსახური არ წარმოადგენს დავების განმხილველ ორგანოს მომხმარებელსა და სადაზღვევო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ვინაიდან მზღვეველის ქმედება ემყარება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს, სამსახურის მიერ განხილული განცხადებები ადმინისტრაციული წესით არ არის გადაწყვეტილი და არ წარმოადგენს სადაზღვევო ორგანიზაციისთვის იმპერატიულად, სავალდებულო შესასრულებელს.

⁷ <https://tbcinsurance.ge/ge/contact>, <https://aldagi.ge/ka/momkhmarebeta-pretenziebi>, <https://greenig.ge/ka/claims>

⁸ <https://www.insurance.gov.ge/ka/Members>

მომხმარებლის განცხადებაზე რეაგირების პროცესში სამსახური უზრუნველყოფს კომუნიკაციას მოდავე მხარეებს შორის პრობლემის გარკვევისა და მხარეების მიერ მისი მოგვარების მიზნით. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამსახური გასცემს რეკომენდაციას, რომლის მიზანიც ეროვნულ და საერთაშორისო სადაზღვევო პრაქტიკაში არსებული პრინციპების დანერგვასა და ასახვაში მდგომარეობს.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ სამსახური, კანონით განსაზღვრული შინაარსის მიხედვით, თანაბრად იცავს სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილეების ინტერესებს, რითაც ის საბოლოოდ, სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობას უზრუნველყოფს.

საგულისხმოა, რომ მომხმარებლის დაცვა დაზღვევის სფეროში უპირველესად, გულისხმობს სადაზღვევო ორგანიზაციების ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფას, როგორც მზღვეველის მიერ დამზღვევის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების გარანტირებას. ამ მიმართულებით სამსახური არაერთ ღონისძიებას ატარებს და ეყრდნობა როგორც კანონს, ისე კანონის საფუძველზე გამოცემულ სხვადასხვა შინაარსისა და მიზნის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს. მომხმარებლის დაცვის მიმართულებით, სამსახური სწავლობს შემოსულ განცხადებებს და მათ უკეთებს როგორც შინაარსობრივ, ისე სტატისტიკურ ანალიზს. ასეთი ანალიზის საფუძველზე, სამსახურში მუშავდება სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის მოდელური წესები, ე.წ. „გაიდლაინები.“ აღნიშნული გაიდლაინები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის (მათ შორის, სამოქალაქო კოდექსის) მიზნებს, კეთილსინდისიერი სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჭიროა შევხებით საერთაშორისო დოკუმენტის – დაზღვევის ფუძემდებლურ პრინციპებში (Insurance Core Principles, International Association of Insurance Supervisors/IAIS, შემდგომ – ICP) გათვალისწინებულ მიდგომას მომხმარებლის დაცვასთან დაკავშირებით. ICP წარმოადგენს მსოფლიოში აღიარებულ და უნიფიცირებულ სახელძღვანელოს დაზღვევის ზედამხედველთათვის. ICP-ის მიხედვით, მომხმარებლის დაცვა დაზღვევის სფეროში გულისხმობს ზედამხედველის მიერ შემდეგი მიმართულებებით მუშაობას:

- დაზღვევის პროდუქტების მიმწოდებელი სუბიექტების ლიცენზირება (ICP: 4.0.1; 18.1.7; 18.7.1);
- მზღვეველის კეთილსინდისიერი პრაქტიკის კონტროლი, full-scale on-site inspection (ICP: 9.8.7);

- მომხმარებლის ინფორმირება დაზღვევის პროდუქტების მიმწოდებლების მიერ, როგორც მზღვეველის, ისე დაზღვევის შუამავლის მხრიდან (ICP: 18.0.18; 19.5.7; 19.13.3).

სადაზღვევო დავებთან დაკავშირებით, ICP შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ ზედამხედველმა უნდა მოითხოვოს და აკონტროლოს მზღვეველისა და შუამავლის მიერ სადაზღვევო დავების გადასაწყვეტად დროული და სამართლიანი მექანიზმების გამოყენება (ICP: 19.10). კერძოდ, მითითებაა დავების განმხილველ დამოუკიდებელ რგოლზე – Independent Dispute Resolution /IDR, რომელსაც შეიძლება წარმოადგენდეს მედიატორი ან ომბუდსმენი (ICP:19.10.7).

სამსახური, მომხმარებლის უფლებების დაცვის დროს, გარდა ადგილობრივი კანონმდებლობისა, ასევე ეყრდნობა ისეთ უნიფიცირებულ დოკუმენტს, როგორცაა დაზღვევის ხელშეკრულების ევროპული სტანდარტები (Principles of European Insurance Contract Law/PECL). აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა სწორედ მომხმარებლის დაცვაა.⁹

საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობებში წარმოშობილი დავის განხილვის ალტერნატიული მექანიზმი შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს დაზღვევის მედიაციის სახით. კერძოდ, სადაზღვევო ურთიერთობებში მომხმარებლის დაცულობისა და კომფორტულობის ასამაღლებლად, დაზღვევის ყველა სახეობაში დაზღვეულსა და სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის წარმოშობილი დავების/უთანხმოების არასასამართლო გზით, მხარეთა მორიგების მიზნით ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია“ და სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის დაიდო შეთანხმება – „დაზღვევის მედიაციის“ შესახებ.¹⁰ დაზღვევის მედიაციაში მიმართვა მომხმარებლისათვის უფასოა, რაც დამატებით კომფორტს ქმნის თუმცა, მედიაცია არ მსჯელობს პროცესუალურ ნორმებზე დაყრდნობით და მხარეთა შორის წამოჭრილ სადავო საკითხებზე არ იღებს გადაწყვეტილებას. მან მხოლოდ შუამავლის/მომრიგებლის როლი შეიძლება შეასრულოს მხარეებს შორის. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ დავის გადაწყვეტის ამ მექანიზმით სარგებლობა დადებით ეფექტს იძლევა მომხმარებლისთვის, რამეთუ ის მეტად სიღრმისეულად არკვევს თავისი უფლების სწორად რეალიზაციის საკითხს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ დღის წესრიგში დგას საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობებში წარმოშობილი დავების გადაჭრის

⁹ <http://www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201004/20100430ATT73919/20100430ATT73919EN.pdf>, გვ. 9.

¹⁰ <http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=228&lang=geo>

მეტად მოქნილი მექანიზმის, დაზღვევის ომბუდსმენის შემოღების საჭიროება. დაზღვევის ომბუდსმენის არსებობა დამატებით, განტვირთავს საერთო სასამართლოთა სისტემას, მეტად სპეციფიკური სადაზღვევო დავებისგან და დროის მოკლე მონაკვეთში იქნება გადაწყვეტილი დაზღვევის მომხმარებლის სადავო საკითხები სპეციალური ცოდნით აღჭურვილი – დაზღვევის მცოდნე მოსამართლის მხრიდან. საქართველომ აღნიშნული მაგალითი შესაძლოა გადმოიღოს გერმანიის მოდელიდან,¹¹ რომელიც დღემდე ეფექტიანად ფუნქციონირებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

დასკვნა

„G20 – ფინანსური ინსტიტუტების მომხმარებლის დაცვის მაღალი დონის პრინციპების“ თანახმად, მომხმარებლის ნდობა ფინანსურ მომსახურებასთან მიმართებით, ხელს უწყობს ფინანსური საქმიანობის სტაბილურობას, ბაზრის ზრდასა და მის ეფექტიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში. მომხმარებლის დაცვისათვის აუცილებელია, ზედამხედველობის ორგანოებს ჰქონდეთ შესაბამისი უფლებამოსილებები და ასევე, რესურსი განახორციელონ ის საჯარო მისია, რომელიც გულისხმობს მომხმარებლის უფლებების დაცვას და უზრუნველყოფს მათ მიმართ სამართლიანი მოპყრობის აღსრულებას. მითითებული მიზნის შესრულება შესაძლებელია სადაზღვევო ორგანიზაციების მხრიდან შემუშავებული შესაბამისი წესების, მომხმარებლის უფლებების დაცვისკენ მიმართული რეაგირების სწორი მექანიზმებისა და პოლიტიკის შემუშავებითა და რეალიზებით. მზღვეველის მიერ შემუშავებული პოლიტიკის ნებისმიერი მოდელი აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს შესაბამის სექტორულ და საერთაშორისო სპეციფიკასა და მოწყვლადი ჯგუფების განსაკუთრებულ საჭიროებებს, იგი უნდა იყოს ეფექტიანი და პროპორციული მომხმარებლის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება საზედამხედველო ორგანოს როლს მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილი ზედამხედველობა, რომელიც პირდაპირ იქნება პასუხისმგებელი მომხმარებლის უფლებების დაცვაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომხმარებლის უფლებების დაცვის ტრილში, დაზღვევის ზედამხედველს უნდა ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი, მკაფიოდ

¹¹ <https://www.versicherungsombudsmann.de/welcome/>

განსაზღვრული პასუხისმგებლობები და მიზანშეწონილია, მომხმარებლის უფლებების დაცვის მანდატით, თანამშრომლობდეს სხვა საზედამხედველო და ფინანსურ სექტორულ საკითხებზე პასუხისმგებელ ორგანოებთან და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან.

როგორც უკვე აღინიშნა, დაზღვევის ფუძემდებლური პრინციპების (ICP – Insurance Core Principles) მე-19 თავი სწორედ მომხმარებლის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტებს ქმნის. მასში მოცემულია ის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს სადაზღვევო ორგანიზაციამ საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე.

ნიშანდობლივია, რომ ზედამხედველის მიერ ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით დაწესებული მოთხოვნები ხელს უწყობს სადაზღვევო ორგანიზაციას, დაიცვას მომხმარებლები და ხელი შეუწყოს მათ მიმართ სამართლიან მოპყრობას, აამაღლოს მომხმარებლის ნდობა სადაზღვევო სექტორთან მიმართებით, მინიმუმამდე დაიყვანოს მზღვეველებისა და შუამავლების მხრიდან ისეთი ბიზნეს მოდელების შემუშავება, რომლებიც შემდგომში საფრთხეს შეუქმნის სექტორულ რეპუტაციას.

ერთი მხრივ, ზედამხედველმა საჭიროა გაასაჯაროოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მხარს უჭერს მომხმარებლის სამართლიან მოპყრობას. კერძოდ, მან უნდა გამოაქვეყნოს მომხმარებლის დაცვის კუთხით შემუშავებული დაცვის მექანიზმები, ხოლო მეორე მხრივ, მოსთხოვოს სადაზღვევო ორგანიზაციებს მომხმარებლის უფლებებთან, ბიზნეს საქმიანობასთან და მათ ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მონაცემების გასაჯაროება. აღნიშნული უზრუნველყოფს დაზღვევის სფეროს, როგორც რეგულირებადი სექტორის ფუნდამენტურ წესრიგს, რომელიც მიმართული იქნება მომხმარებლის უფლებების დაცვის სათანადოდ რეალიზებისა და ბაზრის გაფართოებისაკენ.

PECULIARITIES OF DISPUTE RESOLUTION IN INSURANCE RELATIONS

LEGAL ANALYSIS AND INTERNATIONAL PRACTICE

NINO NIAVADZE

Georgian American University

Ph.D. student at the Law, Social Sciences and Diplomacy School

LEPL Insurance State Supervision Service of Georgia

Head of the Legal Department

This article concerns the peculiarities of dispute resolution in insurance relations and consists of an introduction and two chapters. In conclusion, a general outline and ways of solving the issues raised in the article are proposed.

The first chapter deals with insurance customers and insurance regulatory norms. It presents the essence of public and private regulation and its scope. In this regard, two main approaches are proposed: about the insurer's obligation to be guided by the principles of good faith, care, and prudence and to carry out insurance activities in compliance with these principles. And, in turn, the authority of the State Insurance Supervision Service of Georgia within its competence to supervise the implementation of insurance activities by the insurer following the principles of good faith, care, and prudence.

The second chapter discusses the alternative dispute resolution mechanisms arising from the insurance relationship.

There is a detailed discussion about the critical role of the State Insurance Supervision Service of Georgia in consumer rights protection. The service develops and issues bylaws and recommendations to protect consumer rights in insurance contracts. According to the current legislation in Georgia, an alternative means of protection of the consumer's rights is proposed to the insurance consumer directly by the insurer regarding any dissatisfaction with the insurance product. Also, the chapter covers insurance mediation in Georgia, which is a means of non-judicial resolution of disputes between insurance customers and insurers. In the second chapter, in addition to the protection mechanism recognized by the national legislation, the standard of protection according to the international documents for the protection of consumer rights is also reviewed.

In conclusion, I would like to point out that this article summarizes the case of a private legal dispute between the parties during insurance relations and, based on this relation, the scope of consumer rights protection and alternative means of rights realization. Ways and means of solving the existing gaps are also suggested.

არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის თავისებურებანი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

ნინო თაქთაქიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

თანამედროვე, განვითარებული მსოფლიო კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ სახელმწიფო იჩენს ჰუმანიზმის მაღალ ხარისხს, რადგან არასრულწლოვანი, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სოციალური თვალსაზრისით, ჩამოყალიბებულ პიროვნებას არ წარმოადგენს და მის ქმედებაში იმპულსურობით განპირობებული ქცევის ხარისხი ბევრად მაღალია, ვიდრე სრულწლოვან ბრალდებულში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მათ შორის, საქართველოშიც მიმდინარეობს არასრულწ-

ლოვანთა შესახებ არსებული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია. სახელმწიფოები ცდილობენ კანონები მოარგონ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. სწორედ ამ მიზნით, შემოღებულ იქნა არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები – განრიდება და მედიაცია. თუმცა, ზოგ შემთხვევაში მაინც აუცილებელი ხდება არასრულწლოვანის მიმართ გამოყენებულ იქნას აღკვეთის ღონისძიება.

საკითხის აქტუალობა: სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების სხვადასხვა სახეს იცნობს. თუმცა, წინამდებარე სტატია განიხილავს ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიების სახეს – პატიმრობას.

პატიმრობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული და მაშინაც დიდი სიფრთხილით. დაუშვებელია არასრულწლოვნის დაპატიმრება, თუ შესაბამისი კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა, უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით არის შესაძლებელი.

კვლევა აქტუალურია აღკვეთის ღონისძიების სიმძიმის გამო, მით უმეტეს, რომ საკითხი არასრულწლოვანს, მის საუკეთესო ინტერესებს ეხება. ამასთან, არასრულწლოვანთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება სასამართლოსა და პროკურატურისთვის დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას, გასათვალისწინებელია მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, პროცესის მწარმოებელმა პირმა არასრულწლოვნის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს.

კვლევის საგანი: წინამდებარე კვლევის საგანია ქართული სისხლის სამართლის ინსტიტუტები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით.

კვლევის მიზანი: კვლევა მიზნად ისახავს იურიდიული, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს, რის საფუძველზეც აიხსნება არასრულწლოვანი ბრალდებულის დაპატიმრების თავისებურებანი. ამასთან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესწავლილი იქნება პრაქტიკაში არსებული პრობლემები და მოძიებული იქნება მათი გადაჭრის გზები.

1. არასრულწლოვანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

არასრულწლოვანთა დანაშაული, როგორც ტერმინი ჩვეულებრივ, გამოიყენება აკადემიურ ლიტერატურაში იმ ახალგაზრდის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა მისი ზუსტი განმარტება შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივი იურისდიქციის მიხედვით. ზოგადად, „არასრულწლოვანი“ გულისხმობს ინდივიდს, რომელმაც მიაღწია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ასაკს, მაგრამ არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, როდესაც ადამიანი კანონიერად ითვლება სრულწლოვანად. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი საერთაშორისო დონეზე მერყეობს 6-დან 18 წლამდე. საქართველოში კი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მინიმალურ ასაკად განსაზღვრულია 14 წელი.¹

ქართული მიდგომა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან ზოგადად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან მიმართებით, თანხვედრაშია სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკასთან და საერთაშორისო დონეზე არსებულ მიდგომებთან. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად ხშირად, სხვადასხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობით განსაზღვრულია 14 წელი. მაგალითად, ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსით, არც ერთი პირი, რომელიც 14 წელზე უმცროსია იმ დროს, როდესაც ის ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ამ დანაშაულისთვის. ეს ასაკობრივი ზღვარი ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზეც.² ბელორუსიის სისხლის სამართლის კოდექსი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად 16 წელს განიხილავს.³ ბულგარეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით კი, 14 წლამდე ასაკის პირებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ თუმცა, ისინი შეიძლება დაექვემდებარონ იძულებითი ხასიათის საგანმანათლებლო ღონისძიებას. ამასთან, 14-დან 18 წლამდე პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დაეკისროს, თუ მას შეეძლო ქმედების ბუნებისა და მნიშვნელობის გაგება და საკუთარი ქმედებების მართვა.⁴ საფრანგეთის კანონმდებლობით კი, 18 წლამდე

¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 12/06/2015, საქართველოს პარლამენტი, მუხლი 3.

² CRIMINAL CODE OF THE REPUBLIC OF ALBANIA, 1995. Article 12, https://www.warnathgroup.com/wp-content/uploads/2017/11/Albania_CC_1995_am2015_en.pdf

³ CRIMINAL CODE OF THE REPUBLIC OF BELARUS, 1977. Article 27, <https://cislegislation.com/document.fwx?rgn=1977>

⁴ CRIMINAL CODE OF BULGARIA, article 31, <https://www.globalwps.org/data/BGR/files/Criminal%20Code.pdf>

პირები, რომლებსაც შეუძლიათ გაიგონ, თუ რას აკეთებენ – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ დანაშაულებზე, სადაც ისინი დამნაშავედ ცნეს და შეიძლება დაექვემდებარონ ზედამხედველობისა და იძულებითი ხასიათის საგანმანათლებლო ზომებს. ამასთან, 13-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს შეიძლება მიესაჯოთ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახე, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 16-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება დაექვემდებარონ სრულწლოვანთა სასჯელს.⁵

არასრულწლოვანი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაცვის განსაკუთრებული სუბიექტია, სწორედ ამიტომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიღებულ იქნა არასრულწლოვანის უფლებებზე და საჭიროებებზე მორგებული კანონები. საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ძალაში შევიდა 2015 წელს. კოდექსმა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, ასევე არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მიმართ, მოპყრობის განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი შექმნა.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს აქვს უფლება: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ან კანონიერ წარმომადგენელთან ერთად მიიღოს მონაწილეობა; მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი მოსაზრებები ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს. სასამართლო ვალდებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე პრიორიტეტულად განიხილოს.

1.2. არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული სასჯელის სახეები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი სასჯელის რამდენიმე სახეს აწესებს. კერძოდ, კოდექსის ნნ-ე მუხლში ჩამოთვლილია სასჯელის შემდეგი სახეები: ა) ჯარიმა; ბ) შინაპატიმრობა; გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; ე) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.⁶ აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის მიხედვით, გაფართოვდა სასჯელთა

⁵ French Penal Code, ARTICLE 122-8, https://www.equalrightstrust.org/ertdocumentbank/french_penal_code_33.pdf

⁶ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 12/06/2015, საქართველოს პარლამენტი, მუხლი 66.

სახეები, რაც მისასაღმებელია, რადგან პროკურატურასა და სასამართლოს სასჯელის დანიშვნისას ლავირების მეტი საშუალება ექნებათ, რაც ქმნის მოლოდინს, რომ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა სულ უფრო იშვიათად იქნება გამოყენებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ.

სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა 2015 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.⁷ შინაპატიმრობა გულისხმობს არასრულწლოვნისთვის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. შინაპატიმრობის პერიოდში არასრულწლოვანის მიმართ ხორციელდება ელექტრონული ზედამხედველობა, სპეციალური ელექტრონული ხელსაწყოების საშუალებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას პრობაციის ეროვნული სააგენტო იღებს. თავისუფლების აღკვეთის შემდეგ, შინაპატიმრობა სასჯელის ყველაზე მკაცრი სახეა, რადგან იგი თავისი ბუნებით მაინც თავისუფლების აღკვეთას უკავშირდება, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის ალტერნატივად გამოიყენება.

შინაპატიმრობა, სასჯელის სახედ ხშირად გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც შინაპატიმრობის სამ ფორმას განასხვავებენ: ა) მსუბუქი ფორმა – არასრულწლოვანი ვალდებულია წინასწარ განსაზღვრული დროის მონაკვეთში სახლში იმყოფებოდეს. ამასთან, ზოგ შემთხვევაში იგი ვალდებულია იაროს თერაპიულ კურსზე ან გადაიხადოს ჯარიმა. ბ) ნაკლებად მძიმე ფორმა – არასრულწლოვანი ვალდებულია მუდმივად იყოს სახლში, გამონაკლისია სკოლაში ან სამსახურში ყოფნის დრო თუმცა, ამ შემთხვევაში აუცილებელია გეგმის წინასწარ შედგენა. გ) მძიმე ფორმა – ამ დროს არასრულწლოვანს სახლის დატოვების უფლება არა აქვს. ასეთ მსჯავრდებულს არ შეუძლია არც სახლიდან გასვლა, არც მუშაობა და არც სტუმრების მიღება.⁸ საქართველოში გავრცელებულია მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე ფორმა, კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ „არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.“⁹

შესაბამისად, არასრულწლოვან მსჯავრდებულს განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლება აქვს დატოვოს სახლი, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში მოქმედებს შინაპატიმრობის

⁷ მახარობლიძე თ., სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომც. მერიდიანი, 2017, თბ., გვ. 55.

⁸ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 136.

⁹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 12/06/2015, საქართველოს პარლამენტი, მუხლი 69.

მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე ფორმა. ეს ფაქტი მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან შინაპატიმრობის მძიმე ფორმის შემთხვევაში, არასრულწლოვანს შესაძლოა შეექმნას მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მომავალში ძალიან გაჭირდეს მისი საზოგადოებასთან რეინტეგრაცია. თუმცა, მაინც არის ერთი პრობლემა, როგორც აღინიშნა შინაპატიმრობისას, არასრულწლოვანი ატარებს სპეციალურ ელექტრონულ სამაჯურს, რომელიც ყველასთვის ხილვადია, სწორედ ამის გამო შესაძლოა გახდეს იგი ფარული დისკრიმინაციის მსხვერპლი (უარი უთხრან სამსახურში აყვანაზე და ა. შ.) და მისი უფლება დროის განსაზღვრულ პერიოდში გავიდეს სახლიდან, განუხორციელებელი დარჩეს. **პრობლემის მოსაგვარებლად შესაძლოა შეიცვალოს ელექტრონული მოწყობილობის ფორმა ან სახელმწიფოს ზედამხედველობით განხორციელდეს პროგრამები, სადაც შინაპატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებულების დასაქმება მოხდება.**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 67-ე მუხლი განსაზღვრავს ძირითადი და დამატებითი სასჯელების გამოყენების თავისებურებას არასრულწლოვნის მიმართ. კერძოდ, არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მხოლოდ ძირითად სასჯელად დაენიშნოს. ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა კი, შეიძლება დაენიშნოს, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. თუ არასრულწლოვნის მიმართ ძირითად სასჯელად გამოყენებულია ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, მის მიმართ დამატებითი სასჯელის გამოყენებას აღარ ვემხრობით, რადგან დაუშვებელია არასრულწლოვნის მიმართ განსაკუთრებული სიმკაცრე.

კვლევისათვის ძალიან საინტერესოა პრაქტიკაში არსებული ვითარების განალიზებაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემებით, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვან ბრალდებულთა მხოლოდ 15 %-ს შეეფარდა, 75 %-ის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნა პირობითი მსჯავრი, 10 %-ის შემთხვევაში კი, შინაპატიმრობა.¹⁰ როგორც ჩანს, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება არასრულწლოვანთა მიმართ, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. თუმცა, არასრულწლოვანთა დანაშაული, მაინც ძალიან დიდ პრობლემად რჩება, პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა კი, ის არის, რომ არასრულწლოვანი/ბავშვი უნდა იყოს ყველა მოქალაქის, ოჯახის და სახელმწიფოს მთავარი ზრუნვის ობიექტი.¹¹

¹⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

¹¹ ივანიძე მ., არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, წიგნში არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომც. მერიდიანი, თბ., 2017, გვ. 14.

მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და უკვე ბრალდებულ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არასრულწლოვანის სასჯელის მიზნებად დასახელებულია „არასრულწლოვნის რე-სოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.“¹² სისხლის სამართლის კოდექსში ამ მიზნებს ემატება სამართლიანობის აღდგენა.¹³ სამართლიანობის აღდგენა მეტად პირობითი ცნებაა, თუმცა ძირითადად, სამართლიანობის აღდგენა გაიგივებულია სამაგიეროს მიზღვასთან. სამაგიეროს მიზღვა დაუშვებელია სასჯელის მიზანი იყოს, მით უმეტეს, არასრულწლოვნის შემთხვევაში. მიუხედავად აღნიშნულისა, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნის განხორციელება თავისთავად წარმოშობს სამართლიანობის განცდას.

ამკ-ში დასახელებული სასჯელის მიზნების განხორციელება შესაძლებელია, როგორც სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის გზით (რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია), ისე დანაშაულის ჩადენამდე და მის შემდეგაც (ახალი დანაშაულის თავიდან აცილება). ძირითად პრობლემად სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს განხილული, რადგან სწორედ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება აგვარიდებს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნის განხორციელებას.

ნებისმიერ შემთხვევაში, სასჯელის შეფარდების მიზანი რეინტეგრაცია უნდა იყოს, ამასთან, სასჯელი უნდა იყოს კონსტრუქციული და არა სადამსჯელო ხასიათის.¹⁴ სასჯელის შეფარდებისას, სასამართლომ ჯეროვნად უნდა შეისწავლოს თითოეული არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნება, მისი ფსიქოემოციური მდგომარეობა, ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და მხოლოდ ამის შემდეგ შეუფარდოს სასჯელის კონკრეტული სახე. „სასჯელის შეფარდებისას, მეტად მნიშვნელოვანია, თუ რა სისტემით ხდება სასჯელის შეფარდება და რა კრიტერიუმები მიიღება მხედველობაში სასჯელის შეფარდების დროს, აგრეთვე, რა ეტაპებს მოიცავს სანქციის შეფარდება.“¹⁵ არასწორად შერჩეულმა სასჯელის სახემ შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს.

¹² ამკ, 2015, მუხლი 65.

¹³ სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999, საქართველოს პარლამენტი, მუხლი 39.

¹⁴ ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 100.

¹⁵ ცქიტეშვილი თ., სასჯელის შეფარდების საკითხისთვის, საიუბილეო კრებული გურამ ნაჭყებია – 75, თბ., 2016, გვ. 122.

1.3. არასრულწლოვანი ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის პრობლემები

არასრულწლოვნისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება ერთ-ერთი ყველაზე რთული და საფრთხილო საკითხია. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ, სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის გამოყენების საკითხის შემოწმება როგორც აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, ისე წინასასამართლო სხდომაზე და შემდგომ სასამართლო პროცესის განმავლობაში, განხილულ უნდა იქნას იმ პრინციპის დაცვით, რომ ის უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ღონისძიებას და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტს. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, წინასწარი პატიმრობის ვადა უნდა იყოს, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში. გარდა საქართველოს კანონმდებლობისა, ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC),¹⁶ ასევე „არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ (პეკინის წესების)¹⁷ მე-13.2 წესი ხაზს უსვამს წინასწარი პატიმრობის, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომის გამოყენებას, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.

თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, არასრულწლოვანი ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა, ის ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.¹⁸ ამასთან, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, მხარეს დაყენებული აქვს თუ არა შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ, მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას. არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. წინასწარი პატიმრობის ვადასთან დაკავშირებით, საინტერესოა საერთაშორისო კანონმდებლობაც, რომელთა გაანალიზებისას ვრწმუნდებით,

¹⁶ კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი).

¹⁷ გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები), მიღებულია გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/33 რეზოლუციით.

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009, საქართველოს პარლამენტი.

რომ ბრალდებულის მიმართ გარანტირებული სამართლიანი და სწრაფი სასამართლო პროცესის უფლება კანონის უზენაესობის პრინციპის ქვაკუთხედეა. საერთაშორისო დონეზე სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) 50-ე მუხლით, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის¹⁹ (ECHR) მე-6 და მე-7 მუხლებით, ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის საფუძვლების აფრიკული ქარტიის²⁰ (ACRWC) მე-17 მუხლით. ამასთან, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 (ბავშვის უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში (CRC/c/gc/10, პარ.84, 2007) კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან ბრალდებულებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ სამართალდარღვევის ჩადენიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გასული უნდა იყოს, რაც შეიძლება მცირე დრო. ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) მე-40 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფს აქვს საკითხის დაუყონებლივ განხილვის უფლება.

არასრულწლოვნის წინასწარი პატიმრობა საფუძვლად არ უდევს დანაშაულის ჩადენის ეჭვის არსებობას. დანაშაულებრივ ქმედებასთან რაიმე კავშირის გარეშე შეიძლება აღმზრდელობითი ზედამხედველობა არასრულწლოვანზე გამართლებული და ზოგჯერ აუცილებელიც იყოს. აღმზრდელობითი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, პატიმრობა მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული დროში.

როდესაც არასრულწლოვანი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში აუცილებელია, რომ ის მოთავსდეს სრულწლოვნებისგან განცალკევებით. განცალკევება ახალგაზრდებს თავიდან ააცილებს სრულწლოვან, გამოცდილ კრიმინალებთან ერთად ყოფნას, სადაც არსებობს არა მხოლოდ „საზოგადოების არასწორ ელემენტებთან“ ურთიერთობის, არამედ ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლად ქცევის საშიშროება.²¹ მეორე მხრივ, შესაძლებელია არასრულწლოვანი გოგონასთვის სიკეთის მომტანიც იყოს დედის ასაკის მქონე პატიმართან ერთ საკანში ყოფნა, რომელმაც შესაძლოა მასზე იბრუნოს. ეს პრინციპი გარკვეული მოქნილობით უნდა იქნას გამოყენებული.²²

¹⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

²⁰ AFRICAN CHARTER ON THE RIGHTS AND WELFARE OF THE CHILD, ეთიოპია – 1990 წლის ივლისი, ძალაში შევიდა 1999 წლის 29 ნოემბერს, https://au.int/sites/default/files/treaties/36804-treaty-african_charter_on_rights_welfare_of_the_child.pdf

²¹ Jessica Mitford, Prison business, Moscow, 1988, CT-4.

²² ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 464-466.

1.4. ვადიანი თავისუფლების აღკვეთის პრობლემები და გამოსავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, „არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.“²³ აუცილებელია, რომ მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატებოდეს მისი თავისუფლების ინტერესს.

არასრულწლოვანის მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც არასრულწლოვანის მიმართ უკვე გატარდა სხვა ყველა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები, თუმცა უშედეგოდ და არასრულწლოვანი კვლავ აგრძელებს დანაშაულის ჩადენას. თუ არსებობს ალბათობა, რომ არასრულწლოვანი ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გარეშეც გამოსწორდეს, ეს აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული არასრულწლოვანის სასარგებლოდ, ვინაიდან ციხემ შეიძლება გამოუსწორებელი დალი დაასვას არასრულწლოვანს.²⁴

როგორც აღინიშნა, ამკ-ის 73-ე მუხლი განსაზღვრავს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის პირობებს. საინტერესოა აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის, ბოლო წინადადება: „მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.“ პრაქტიკაში ეს წინადადება შესაძლოა სხვადასხვაგვარად იყოს გაგებული. წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. მაგრამ, ნასამართლობის გაქარწყლების შემდეგ, მან კვლავ ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. ამ წინადადების სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, არასრულწლოვანის მიმართ უპირობოდ სასჯელის სახედ გამოყენებულ უნდა იქნას ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ნასამართლევი? შესაძლოა, ორამზრუნველად აღმოიფხვრას, წინადადების ცვლილებით ანუ „მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი,“ შეიცვალოს წინადადებით „წარსულში არსებობს დანაშაულის ჩადენის ფაქტი.“

ამკ-ის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, ამასთან,

²³ ამკ, 2015, მუხლი 73.

²⁴ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბ., ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 151.

თავდაპირველად დანიშნული ვადა მცირდება 1/3-ით. 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შემთხვევაში, დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა მცირდება 1/4-ით.²⁵ ამ ასაკზე საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს. აღნიშნული ნორმა მოქმედებს ყველა არასრულწლოვანზე და ყველა დანაშაულის მიმართ. მაგალითად, 14 წლის არასრულწლოვანმა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა. აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებს 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას. რადგან 16 წლამდე არასრულწლოვანს არ შეიძლება შეეფარდოს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით, სასამართლო ჯერ დანიშნავს კანონით გათვალისწინებულ სასჯელს ანუ 16 წელს, შემდეგ, შეამცირებს 1/3-ით და თავისუფლების აღკვეთის ვადად განსაზღვრავს 11 წელსა და 8 თვეს. მაგრამ, როგორც აღინიშნა თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვანს არ შეიძლება დაენიშნოს 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა, სასამართლო ვალდებულია აღნიშნული სასჯელი შეამციროს 10 წლამდე. არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის დანიშნული სასჯელი, სავალდებულო შემსუბუქებას ექვემდებარება საფრანგეთშიც.²⁶ გერმანიაში ბავშვის (14-დან 18 წლამდე) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შესაძლებელია 6 თვიდან 5 წლამდე ვადით, ხოლო მოზარდისა (18-დან 21 წლამდე) 10 წლამდე ვადით.²⁷ თუმცა, ზოგადი წესი უშვებს გამონაკლისს. კერძოდ, განზრახი მკვლელობისთვის არასრულწლოვნის პატიმრობის ვადა შეიძლება განისაზღვროს 15 წლამდე. შვეიცარიაში სასჯელის დიფერენცირება ხორციელდება, როგორც ასაკობრივი კრიტერიუმით, ისე სოციალური სტატუსით და ჯანმრთელობის მდგომარეობით. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ერთ ასაკობრივ ჯგუფში სამ ტიპს. ესენია: 7-დან 15 წლამდე, 15-დან 18 წლამდე და 18-დან 25 წლამდე არასრულწლოვან დამნაშავეზე გავლენის სხვადასხვა ფორმები.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სასამართლოს უფლება აქვს შეისწავლოს არასრულწლოვნის ინდივიდუალური ანგარიში და ამის შემდეგ დანიშნოს კანონით გათვალისწინებულ ბღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა.

²⁵ მახარობლიძე თ., სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომც. მერიდიანი, თბ., 2017, გვ. 67.

²⁶ Артеменко Н.В., Особенности ответственности и наказания несовершеннолетних в уголовном праве Франции; Учёные записки ДЮИ, Ростов-на-Дону, 2008, С. 24-35.

²⁷ Dunkel F., Les orientations actuelles de politique criminelle // Juenes delinquantes et jeunes en danger en milieu ouvert: Utopie ou realite? Toulouse, 1994, S. 41-78.

დასკვნა


არასრულწლოვან ბრალდებულთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი საკითხების განხილვა დიდი სიფრთხილით უნდა განხორციელდეს. პირველი, იმიტომ რომ არასრულწლოვნის პიროვნებასთან დაკავშირებული თვისებები განპირობებულია მისი ფსიქოფიზიკური განვითარების ასაკით, მძიმე დანაშაულის ჩადენის დროსაც კი, ის ზოგჯერ სრულად ვერ აცნობიერებს თავისი ქმედებების მნიშვნელობასა და შედეგებს. ამიტომ, სასჯელის დანიშვნისას, რეკომენდებულია ცხოვრების და აღზრდის პირობების, ფსიქიკური განვითარების დონისა და არასრულწლოვნის პიროვნების სხვა მახასიათებლების გათვალისწინება.

არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის გამოყენება ხდება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების, პიროვნების თავისუფლების, მისი ხელშეუხებლობის დროებით გარკვეული ვადით შეზღუდვა და ეს შეზღუდვა, როგორც დროებითი აუცილებლობა მკაცრად არის რეგლამენტირებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, საერთაშორისო აქტებით და სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლების დაცვის სასამართლოს სახელმძღვანელო პრეცედენტებით.

ვფიქრობთ, არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდება ითვალისწინებს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენას. რაც შეეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულს, ამ კატეგორიის საქმეებზე პატიმრობა არ შეიძლება გამოყენებული იყოს.

იმისთვის, რომ მინიმუმირებული იყოს არასრულწლოვნის პატიმრობის დროს მოსალოდნელი სამართლებრივი შეცდომები, სასურველია, აღდგეს აღკვეთის ღონისძიების ისეთი სახეების გამოყენების პრაქტიკა, როგორიცაა შინაპატიმრობა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა. თუ საკანონმდებლო წესით გადაწყდება შინაპატიმრობისა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას.

არასრულწლოვანი ბრალდებულის მართლმსაჯულებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, პატიმრობის კოდექსისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას.



PECULIARITIES OF IMPRISONMENT OF A MINOR DEFENDANT IN THE GEORGIAN CRIMINAL JUSTICE PROCESS

NINO TAKTAKISHVILI

Ph.D. Student of Law

at the Caucasus International University

The modern, developed world pays special attention to minors in conflict with the law. The state shows a high degree of humanism towards a minor who is in conflict with the law because the minor is not a formed person, both psychologically and socially, and the degree of impulsiveness in his actions is much higher than that of an adult defendant. In various countries of the world, including Georgia, the existing legislation on minors is being liberalized. States try to tailor laws to the best interests of the minor. For this purpose, alternative mechanisms of juvenile criminal prosecution – diversion and mediation – were introduced. However, in some cases, it becomes necessary to use a preventive measure against a minor.

Relevance of the issue: Criminal legislation recognizes different types of prevention measures. However, this article discusses the most severe type of deterrent measure: imprisonment.

Imprisonment should be used only in extreme cases and, even then, with great care. It is not allowed to arrest a minor if a lighter preventive measure can achieve the goal defined by the relevant law.

The research is relevant due to the severity of the prevention measure, especially since the issue concerns the minor's best interests. In addition, making a decision regarding a minor is associated with great difficulties for the court and the prosecutor's office. When making a decision regarding a minor, his/her individual characteristics shall be taken into account with utmost empathy and consideration: age, level of development, living, upbringing and development conditions, education, health status, family situation, and other circumstances that provide an opportunity to assess the features of the minor's character and behavior and determine his needs. At any stage of the juvenile justice process, the person conducting the process must pay special attention to the juvenile.

Subject of the study: The present study examines Georgian criminal law institutions, both from a theoretical and practical point of view.

The purpose of the research: This study is of significant importance as it aims to analyze legal, psychological, and philosophical scientific literature, based on which the peculiarities of the arrest of a minor defendant are explained. In addition, the mentioned issues and problems in practice will be studied, and ways to solve them will be sought.

ჩხრეკის ჩატარების თავისებურებანი და საკანონმდებლო სრულყოფის საკითხისათვის

მალხაზ ლომსაძე

სამართლის დოქტორი,

სამცხე-ჯავახეთის და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორი

ჩხრეკის ზოგადი მიმოხილვა. ჩხრეკა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საგამოძიებო მოქმედებაა. „ჩხრეკა ატარებს იძულების ღონისძიების ბუნებას, რადგან მათი ჩატარებით იზღუდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, დაცული და გარანტირებული საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებით.“¹ ამასთან, „ეს არის იძულების ყველაზე სერიოზული ღონისძიება, რომელიც ნებადართულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლით და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით.“²

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მერვე მუხლი პირდაპირ მოიცავს

¹ ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2016, გვ. 21.

² ტრეფსელი შ., სარა ჯ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად, თბ., 2010, გვ. 452.

პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობისა და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.³ ზემოაღნიშნული აგრეთვე განმტკიცებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლით, რომლის მიხედვით: „არავინ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას.“⁴

პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რადგან იგი ერთი მხრივ, გულისხმობს „ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება“,⁵ ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს „ნეგატიურ დამცავ უფლებას, რაც ნიშნავს, რომ ის განამტკიცებს ინდივიდის ნეგატიურ მდგომარეობას (status negatives) სახელმწიფოს მიმართ, რაც ამ უკანასკნელს ავალდებულებს „თავი შორს დაიჭიროს“ ინდივიდისგან, არ ჩაერიოს ადამიანის ცხოვრების და საქმიანობის სფეროში.“⁶

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები კი, განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის მე-15 მუხლის შესაბამისად, „ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ

³ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>, [10.02.2020].

⁴ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>, [10.02.2020].

⁵ უსენაშვილი ჯ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერტიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას, უურ. სამართალი, #2, 2012, გვ. 85.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №454 „ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2008 წლის 19 დეკემბერი II(1) გვ. 3, <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments>

ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას, უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს, 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს, 24 საათისა.⁴⁷

„საქართველოს კონსტიტუციით დაცული არის ყველას უფლება, რომ პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას და მის საცხოვრებელს. საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა უშუალოდ შედის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში და დაცულია ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით, ამავე დროს კანონის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას, მეორე მხრივ, დასაშვებია გარკვეული შეზღუდვები და პირის პირად ცხოვრებაში ჩარევა (მათ შორის, პირის საცხოვრებელი სახლის (ადგილის) ჩხრეკა).“⁴⁸

ჩხრეკის მიზანი და საფუძველი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XV თავი მოიცავს ჩხრეკასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

საქართველოს სსკ-ის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, ამოღება ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი,⁴⁹ ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე, ძებნილისა და გვამის აღმოსაჩენად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, ჩხრეკა ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი კი, განმარტებულია საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლით, კერძოდ: ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის

⁷ საქართველოს კონსტიტუცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>, მუხლი 15. [10.02.2020].

⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წ.-ის 17 დეკემბერი განჩინება 1გ/1277-14 გვ. 3, <http://library.court.ge/judgements/83282014-12-19.pdf>

⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 119, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> [20.03.2020].

საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაეცკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, სახეზე უნდა გვექონდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

მოსამართლის განჩინება ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ „არ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ ოპერატიულ/არასაპროცესო ინფორმაციას. სახეზე უნდა იყოს მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაცია, როგორცაა მაგალითად, გამოკითხვის ოქმი, რომლის სანდოობა პროკურორის მიერ სათანადოდ იქნება დასაბუთებული და რაც დაადასტურებს ჩხრეკის ჩატარების საჭიროება.“⁴⁰ ამასთან, აღსანიშნავია, რომ განჩინების მისაღებად წარდგენილი მტკიცებულებების საკმარისობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე ინდივიდუალურად. „ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რაც შეიძლება არ იყოს საკმარისი რომელიმე სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია საკმარისი აღმოჩნდეს დასაბუთებული ვარაუდის არსებობისთვის, რაც თავის მხრივ, საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის სტანდარტს წარმოადგენს.“⁴¹

თუმცა, „დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობა ცალსახად არ ნიშნავს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების, მათ შორის, ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემისათვის საკმარისი საფუძველის არსებობას, ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობის სპეციალური მუხლი აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის აწესებს დამატებით მოთხოვნებს.“⁴² კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 119-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა.

მაგალითად, გამომძიებელი აწარმოებს X სისხლის სამართლის საქმეს, „ა“-ს კუთვნილი მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ამასთან,

⁴⁰ ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2017, გვ. 440.

⁴¹ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბ., 2017, გვ. 157.

⁴² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 თებერვლის განჩინება 1გ/132, გვ. 3, <http://library.court.ge/judgements/45982015-02-17.pdf>

ბრალდებულმა გამოკითხვის ოქმში ზუსტად მიუთითა ლომბარდი, რომელშიც ჩააბარა ფარულად დაუფლებული მობილური ტელეფონი. ცხადია, გამომძიებელმა ამ შემთხვევაში უნდა ჩაატაროს ამოღება და არა ჩხრეკა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ნივთის ძებნის არანაირი საჭიროება არ იკვეთება.

მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი, გამომძიებელმა დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის X საქმეზე, „ა“-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რამეთუ ოპერატიული ინფორმაციით დასტურდებოდა, რომ „ა“ (პირი, კონკრეტული მონაცემებით) BMW მარკის (სახელმწიფო ნომერი XX-000-XX) ავტომანქანით გადაადგილდებოდა ქალაქი ბორჯომიდან ქალაქი ხაშურის მიმართულებით და თან უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალება. სახეზე ნამდვილად გვაქვს გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის ჩატარების საფუძველი, რადგან „ა“-მ შესაძლოა გაანადგუროს, გადამალოს ან/და გაასაღოს სავარაუდო ნარკოტიკული საშუალება.

ამასთან, აღსანიშნავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტება ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ „...ჩხრეკის ჩატარება შედარებით განსხვავებულ სტანდარტს უწესებს შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს და გულისხმობს არა მარტო იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომ ამოსაღები ობიექტი იმყოფება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან, არამედ იმის მითითებასაც, რომ მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა, რაც გამყარებული უნდა იყოს შუამდგომლობაზე თანდართული დოკუმენტებით. ამოღებისაგან განსხვავებით, ჩხრეკა უფრო მეტად ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ამიტომ, მოსამართლე ერთნაირი საზომით ვერ მიუდგება ჩხრეკისა და ამოღების შუამდგომლობათა გადაწყვეტას.“¹³

ასევე, შეიძლება არსებობდეს სამი სახის სამართლებრივი საფუძველი ჩხრეკის ჩატარებისათვის:

- ა) მოსამართლის მიერ წინასწარ გაცემული განჩინება ჩხრეკის ჩატარების შესახებ.
- ბ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გამომძიებლის დადგენილება (120-ე მუხლის 1-ლი ნაწ.).
- გ) ე. წ. „გადაუდებელი აუცილებლობის“ ე. წ. „გადაუდებელი აუცილებლობა.“

¹³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 11 თებერვლის განჩინება 1გ/139, გვ. 4, <http://library.court.ge/judgements/29402015-02-16.pdf>

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ჩხრეკა/ამოღება სასამართლოს განჩინებით. არსებობს ჩხრეკის წარმოებაზე სასამართლო კონტროლის ორი ფორმა:

- ა) წინასწარი ანუ სანებართვო სასამართლო კონტროლი, როდესაც ჩხრეკა ხდება ჩხრეკის წარმოების შესახებ სასამართლოს მიერ წინასწარ გაცემული განჩინების საფუძველზე.
- ბ) შემდგომი ანუ შემოწმებითი სასამართლო კონტროლი, როდესაც ჩხრეკა ხდება მოსამართლის მიერ წინასწარ გაცემული განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, ხოლო შემდგომ, კანონით დადგენილი წესითა და პროცედურებით ჩხრეკის კანონიერების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

საქართველოს სსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არაუგვიანეს, 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს შუამდგომლობის დამყენებელი მხარის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში, შუამდგომლობის განხილვისას, გამოიყენება ამ კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული წესი. თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად.¹⁴ ვინაიდან ჩხრეკა-ამოღება ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას – მისი ჩატარებისათვის ნებართვის გასაცემად, პროკურორმა უნდა მიმართოს შუამდგომლობით სასამართლოს.

ჩხრეკის შუამდგომლობის შედგენისას, პროკურორმა სავალდებულოა, მიუთითოს შემდეგი მონაცემები:

- მითითება თუ რომელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ითხოვს პროკურორი;
- შუამდგომლობის წარმდგენი პირის სახელი და გვარი, უშუალო თანამდებობა;

¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 112, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034/20.03.2023>.

- შუამდგომლობის შედგენის თარიღი;
 - შუამდგომლობის შედგენის ადგილი;
 - რა საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება (კვალიფიკაცია);
 - საქმის ფაქტობრივი გარემოებები;
 - რა საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა ჩხრეკის/ამოღების მოთხოვნის ჩატარებამდე (არსებობის შემთხვევაში);
 - კონკრეტულად, სად და ვისთან არის ჩხრეკა/ამოღება ჩასატარებელი;
 - რატომ არის ჩხრეკა/ამოღება ჩასატარებელი, ანუ უნდა დასაბუთდეს საქმესთან კავშირი და ძებნის საჭიროება. ამოღების შემთხვევაში, უნდა მიეთითოს კონკრეტული ადგილსამყოფელი;
 - საგამოძიებო ორგანოს მითითება, რომელმაც უნდა ჩაატაროს ჩხრეკა/ამოღება;
 - საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა;
 - პროკურორის ხელმოწერა.
- შუამდგომლობას კი, უნდა დაურთოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.

წინასწარი (სანებართვო) სასამართლო კონტროლის განხორციელებისას, ანუ ჩხრეკის წარმოების შესახებ განჩინების გაცემამდე, სასამართლომ უნდა შეაფასოს არსებობს თუ არა ჩხრეკის/ამოღების ჩატარების (შესაბამისი განჩინების გაცემის): ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები.¹⁵

ფორმალური საფუძველი გულისხმობს იმ საკითხების შემოწმებას, რაც აუცილებელია შუამდგომლობის განხილვის დასაწყებად, მაგალითად: განსჯად სასამართლოშია თუ არა შეტანილი შუამდგომლობა; წარმოადგინა თუ არა შუამდგომლობის ავტორმა სასამართლოში მისი მოთხოვნის განსახილველად და გადასაწყვეტად საჭირო მასალები; აკმაყოფილებს თუ არა შუამდგომლობა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (საქართველოს სსსკ-ის 93-ე მუხლი). ფაქტობრივი საფუძველი კი, გულისხმობს წარდგენილი მტკიცებულებები იძლევა თუ არა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ საძებნი/ამოსაღები საგანი ინახება ამ კონკრეტულ პირთან (ან შენობაში), რომლის მიმართაც არის განჩინების გამოცემა მოთხოვნილი და ამისთვის საჭიროა ძებნა (ჩხრეკის შემთხვევაში) ან ძებნა არ არის საჭირო (ამოღების შემთხვევაში).¹⁶

¹⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის განჩინება №1გ/1197, გვ. 3, <http://library.court.ge/judgements/5232016-07-20.pdf>

¹⁶ ჯორბენაძე ო., წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები, ნაწილი პირველი, 2016, გვ. 45-46.

სასამართლო შუამდგომლობის განხილვის შედეგად იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ან გასცემს განჩინებას ან უარს ამბობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე.

სასამართლო მიღებულ განჩინებაში უნდა მიუთითოს შემდეგი მონაცემები:

- განჩინების შედგენის თარიღი;
- განჩინების შედგენის ადგილი;
- მოსამართლის სახელი და გვარი;
- პირი, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა;
- ის უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც ნებადართულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მას ფლობს (თუ მისი ვინაობა ცნობილია);
- ჩხრეკის დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები;
- ფიზიკური პირი, რომლის პირადი ჩხრეკაც უნდა ჩატარდეს;
- განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, იმის ზუსტი მითითებით, თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება ის;
- წინააღმდეგობის გაწევისას, იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება;
- განჩინების მოქმედების ვადა;
- პირი ან ორგანი, რომელმაც უნდა შეასრულოს განჩინება;
- მოსამართლის ხელმოწერა.

ხოლო, იმ შემთხვევაში თუ სასამართლო არ აკმაყოფილებს შუამდგომლობას, განჩინებაში უნდა დაასაბუთოს საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად განჩინების გაცემაზე უარის თქმის მიზეზი.

საყურადღებო ფაქტია, როდესაც სასამართლო გასცემს განჩინებას ჩხრეკის ჩატარების თაობაზე და ამ დროს ჩხრეკა ჩატარდება საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევით. ასეთ შემთხვევაში ჩხრეკისა თუ ამოღების ოქმის დასაშვებობის საკითხი უნდა გადაწყდეს წინასასამართლო სხდომაზე საერთო წესით.

ჩხრეკა გადაუდებელი აუცილებლობით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩხრეკას სჭირდება წინასწარი სასამართლო კონტროლი თუმცა, არსებობს გამონაკლისი ამ ზოგადი განაწესიდან, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩხრეკა ტარდება გამოძიებლის დადგენილების საფუძველზე.

დადგენილებაში აუცილებლად უნდა აისახოს:

- დადგენილების გამომტანი პირის ვინაობა და თანამდებობა;
- დადგენილების გამომტანის ადგილი;
- დადგენილების გამომტანის თარიღი;
- მოკლე ფაბულა დაწყებული გამოძიების შესახებ;
- გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლები;
- დადგენილების გამომტანი პირის ხელმოწერა.

„გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა კი, არ გამორიცხავს სასამართლო ზედამხედველობის აუცილებლობას, არამედ მას მხოლოდ დროში გადაანაცვლებს.“¹⁷ ასეთ შემთხვევაში, სასამართლო კონტროლი შემოწმებითი ხასიათისაა. საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, „ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად) ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ან გამოძიების ადგილის მიხედვით, მოსამართლეს პროკურორმა უნდა აცნობოს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან, 24 საათის განმავლობაში და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. მოსამართლე მასალების შესვლიდან არაუგვიანეს, 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლება-მოსილია შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს სასამართლო გადაწ-

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1625,640 II, პ. 34, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3263731?publication=0>

ყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას. მოსამართლე უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა. ამ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვისას, გამოიყენება ამ კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული წესი.¹⁸

ამასთან, მასალების განხილვის შემდეგ, სასამართლოს გამოაქვს განჩინება: ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ ან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

საგამოძიებო ორგანოები ყოველთვის უნდა ცდილობდნენ მიიღონ წინასწარი ნებართვა – განჩინება განსჯადი სასამართლოსაგან. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში (როგორცაა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა), როცა გაჭიანურებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჩხრეკის შედეგს. მაგალითად, მტკიცებულებების განადგურების სახით, შეიძლება ჩატარდეს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება განჩინების გარეშე, დადგენილების საფუძველზე. თუმცა, „გაჭიანურება, როგორც საფრთხე ვერ დასაბუთდება იმ აბსტრაქტული მითითებებით, რომ ჩვეულებრივ, მოსამართლე განჩინებას ვერ გასცემს გარკვეულ დრომდე ან გარკვეული დროის მონაკვეთში, ვინაიდან, სასამართლოები ვალდებული არიან, თუნდაც მორიგეობის დაწესების გზით, უზრუნველყონ მაგისტრატი მოსამართლის ხელმისაწვდომობა.“¹⁹

გადაუდებელი აუცილებლობის დროს, გამოძიებელს გარკვეულ მოქმედებათა განხორციელება უწევს ექსტრემალურ პირობებში თუმცა, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირის საპროცესო უფლებები იყოს სათანადოდ დაცული. საინტერესოა ისეთი ვითარება, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა. არსებული საპროცესო რეგულაციით, როდესაც საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, იძახებენ თარჯიმანს.²⁰ ბრალდებულს უფლება აქვს დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსა-

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 112, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> [20.03.2020].

¹⁹ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, გვ. 239.

²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 53, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> [20.03.2023].

ხურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა.²¹ მითითებული საპროცესო ნორმების დარღვევა მიიჩნევა არსებით დარღვევად, რაც იწვევს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობას და მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობას.

გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, თარჯიმნის მონაწილეობის უზრუნველყოფა ხშირად, დაკავშირებულია არაგონივრულ ძალისხმევასთან და ამ დროს ეს გარემოება რა თქმა უნდა, ვერ გახდება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დამაბრკოლებელი გარემოება. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით ეხება ისეთ გადაუდებელ აუცილებლობას, როდესაც ხდება დანაშაულზე წასწრება ან როცა თვითმხილველები პირდაპირ უთითებენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს სავარაუდო დამნაშავეზე, რაც მოითხოვს დაუყოვნებელ რეაგირებას, პირის განიარაღებას, დანაშაულით მოპოვებული საგნის პირადი ჩხრეკით ამოღებას და ა. შ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გამოძიებელი თუ სათანადო უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია მყისიერი რეაგირება მოახდინოს დამნაშავის გამოსააშკარავებლად, მის დასაკავებლად და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებლისთვის თარჯიმნის მოწვევის ვალდებულების დაკისრება მოკლებულია როგორც პროცესუალური ნორმების მოთხოვნებს, ისე გონივრული მოქმედების ჩარჩოს. თუმცა, საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდეგ, უნდა უზრუნველყოს თარჯიმნის მოწვევა და საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირს გააცნოს საგამოძიებო მოქმედების ოქმი.

გემოაღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება გააკეთა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ, კერძოდ „საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარება არ ნიშნავს პროცესის მონაწილეთათვის კანონით მინიჭებული ცალკეული უფლებებით სარგებლობის უფლების წართმევას, თუ არსებობს ამ უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ/პირმა უნდა განსაზღვროს, რამდენად არის შესაძლებელი საგამოძიებო მოქმედებაში სავალდებულოდ მონაწილე პროცესუალური პირის, ამ შემთხვევაში, თარჯიმნის მონაწილეობა და მისი მომსახურებით პროცესის სხვა მონაწილეთა უზრუნველყოფა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ გადაუდებელ აუცილებლობას,

²¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> [20.03.2023].

როდესაც ფიზიკურად შეუძლებელია საგამოძიებო მოქმედებაში თარჯიმნის ჩართვა და მისი მოწვევა ყოველგვარ გონივრულ ძალისხმევას სცილდებოდეს ან პირიქით, თუნდაც გადაუდებელი აუცილებლობით ანუ მოსამართლის განჩინების გარეშე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს, არსებობდეს თარჯიმნის ჩართვის შესაძლებლობა და ეს არ იყოს დაკავშირებული არაგონივრულ ძალისხმევასთან.⁴²²

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ი. დ.-ს პირადი ჩხრეკა ცნო უკანონოდ, ხოლო ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები – დაუშვებელ მტკიცებულებად.

საქმის გარემოებების მიხედვით, შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-11 განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, თ. შ.-ს კუთვნილი ავტომანქანიდან ფულადი თანხის და საბუთების ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, თბილისში, წ.-ს ქუჩის NX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასამართლო განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩატარდა ი. დ.-ს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისგან ამოღებულ იქნა სავარაუდოდ მოპარული პლასტიკური ბარათი. იქიდან გამომდინარე, რომ გამოძიებლისთვის წინასწარ საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ცნობილი იყო, რომ ბრალდებულს ჰქონდა არაქართული გვარი, მას ჰქონდა გონივრული ვადა გაერკვია, პირმა იცოდა თუ არა სამართალწარმოების ენა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მაინც ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება. საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას, ცნობილი გახდა, რომ ი. დ.-მ სათანადოდ არ იცოდა ქართული ენა თუმცა, არც აღნიშნულის შემდეგ, მოხდა თარჯიმნის მოწვევა, თუნდაც ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმის ი. დ.-ისთვის გაცნობის მიზნით.

„პროცესის მწარმოებელი პირის თუ ორგანოს მოვალეობაა მაქსიმალურად დაიცვას პროცესის მონაწილეთა კანონიერი უფლებები, რაშიც იგულისხმება ისეთი მნიშვნელოვანი საპროცესო უფლებების რეალიზება, როგორცაა უფლებების განმარტება და საპროცესო დოკუმენტების მისთვის გასაგებ ენაზე გაცნობა უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს, როცა მას აქვს შენიშვნებისა და განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა.“⁴²³

²² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 მარტის განჩინება 1გ/404, გვ. 5, <http://library.court.ge/judgements/58432017-03-23.pdf>

²³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 მარტის განჩინება 1გ/404, გვ. 5, <http://library.court.ge/judgements/58432017-03-23.pdf>

ჩხრეკის ე. წ. „გადაუდებელი აუცილებლობის“ ე. წ. „გადაუდებელი აუცილებლობა“ – არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ჩხრეკის ჩასატარებლად სახეზე არ არის არც სასამართლოს განჩინება და არც გამომძიებლის დადგენილება. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის განმარტება, „პოლიციის თანამშრომელი შეიძლება თავად შეესწროს დანაშაულის ფაქტს ან წაავიდეს გამოძახებაზე (შეტყობინებაზე) ისე, რომ არ იცოდეს იმ პირთა ვინაობა ვისი გაჩხრეკაც შეიძლება აუცილებელი გახდეს, ვერც ერთ ასეთ შემთხვევაში ვერ იარსებებს გამომძიებლის დადგენილება, რადგანაც პოლიციისთვის (საგამომძიებო ორგანოსათვის) უცნობია სავარაუდოდ გასაჩხრეკი ან შესაძლო დასაკავებელი პირის (პირების) ვინაობა, შესაბამისად ვერც დადგენილება ვერ იქნება გამოტანილი. დანაშაულზე წასწრებისას ან გამოძახებისას შემთხვევის ადგილზე მისვლისას, შეიძლება აუცილებელი იყოს პირის განიარაღება და გამომძიებელი ამ დროს ვერ დაიწყებს პირის ვინაობის დადგენას და დადგენილების შედგენას, მან დაუყოვნებლივ უნდა განიარაღოს პირი, რაც უთანაბრდება პირად ჩხრეკას, რადგანაც იარაღის ამოსაღებად ჩატარებული პირადი ჩხრეკა მთავრდება იარაღის ამოღებით – პირის განიარაღებით. ეს არის სწორედ გადაუდებელი აუცილებლობის ე. წ. გადაუდებელი აუცილებლობა, როდესაც არსებობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, გამომძიებლისათვის (პოლიციელისათვის) უცნობია გასაჩხრეკი პირის ვინაობა და ასეთ შემთხვევებში, დასაშვებია პირადი ჩხრეკა (პირის განიარაღება) მოსამართლის განჩინების ან გამომძიებლის დადგენილების გარეშე. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს საქართველოს სსსკ-ის 119-ე, 120-ე, 121-ე და 112-ე მუხლების ერთობლივი განმარტება და ამ მუხლების ნორმატიული შინაარსი.²⁴

ამ მხრივ, საგულისხმოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, რომელითაც სასამართლომ დაამკვიდრა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში არის შესაძლებელი ჩხრეკის ჩატარება დადგენილების/განჩინების გარეშე. კერძოდ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ი. ლ-ს საცხოვრებელ ბინასა და ლ. ვ-ს საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის, ასევე ი. ლ-ს პირადი ჩხრეკის დაწყებამდე, გამომძიებელს არ წარუდგენია დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკის ჩატარების თაობაზე. [...] მსგავს ვითარებაში შესაძლოა, ვერ მოესწროს აღნიშნული დადგენილების დროულად გამოტანა და ამის გარეშეც ჩატარდეს ჩხრეკა, მაგრამ ასეთი რამ დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ, გამონაკლის

²⁴ იქვე.

შემთხვევაში, როდესაც არსებობს ისეთი უკიდურესი ვითარება, რის გამოც ჩხრეკის თუნდაც, მცირე ხნით დაყოვნებამ შესაძლოა, მართლაც გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგი – დანაშაულის კვალის წაშლის, მტკიცებულების განადგურების, დაკარგვის ან გადაძალვის სახით და ა. შ. თუმცა, მსგავს შემთხვევაშიც აუცილებელია, დაცულ იქნას საპროცესო კანონის მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო პირადი ჩხრეკის, ასევე, ბინასა თუ სხვა კერძო მფლობელობაში თუნდაც, მისი მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ შესაბამისი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე.²⁵

თანამესაკუთრის/თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკა. საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად.“²⁶ ერთი შეხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგამოძიებო მოქმედება – ჩხრეკა ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, შესაბამისად, გამომძიებელმა უნდა ჩაატაროს სასამართლო განჩინების საფუძველზე.

აღნიშნული ჩანაწერი ერთი შეხედვით გვეუბნება, რომ თუ მფლობელის თანხმობით ხდება ჩხრეკის ჩატარება, ეს არ ზღუდავს მის უფლებებს და თუ არ ზღუდავს – საჭიროც არ არის რაიმე სახის სამართლებრივი რეგულირება. შესაბამისად, გამომძიებელს არც ჩხრეკის ჩასატარებლად არ უნდა დასჭირდეს სასამართლოს განჩინება. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ჩხრეკას მიუხედავად იმისა გამომძიებელს აქვს თუ არა თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა, აუცილებლობას წამოადგენს წინასწარი (სანებართვო) განჩინება ან შემდგომი (შემოწმებითი) განჩინება, რომელიც დააკანონებდა ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებას. იურიდიულ ლიტერატურაში ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, არაერთგვაროვანი

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის განჩინება №605აპ-15, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 112, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> [20.03.2020].

დამოკიდებულება არსებობს, პირველი ინსტანციის სასამართლოს პრაქტიკაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო ორაზროვანი.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, „თანხმობის შემთხვევაში სავალდებულო აღარ არის მოსამართლისთვის მიმართვა ჩხრეკის კანონიერების შემოწმების მიზნით, წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე. ჩხრეკის კანონიერება შემოწმდება საერთო წესით წინასასამართლო სხდომაზე ან საქმის არსებითად განხილვისას სასამართლოში.“²⁷ რაც ნიშნავს, რომ თანხმობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერებას შეამოწმებს არა მაგისტრატი მოსამართლე გამოძიების ეტაპზე, არამედ წინასასამართლო სხდომაზე საერთო წესით მოხდება მისი, როგორც შესაძლო მტკიცებულების დასაშვებობის განხილვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაქტიკაში აღნიშნულთან დაკავშირებით, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა და პირველი ინსტანციის სასამართლოებს ურთიერთგამომრიცხავი განჩინებები გამოჰქონდათ. მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის 2016 წლის 10 ივლისის განჩინება.

საქმის გარემოებების მიხედვით, საქართველოს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე 2016 წლის 10 ივლისს 03:40 წუთიდან 04:35 წუთამდე ქ. თ.-ში ჯ.-ს ქუჩა N XX -ის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა ავტომანქანა „აუდი“ სახ. ნომრით – XXX –XXX-ის ჩხრეკა და ჩხრეკის შედეგად წინა მარცხენა სავარძლის მარცხენა გვერდით განთავსებულ პლასტმასის ზედაპირიდან ამოღებულ იქნა ორი ცალი მოცისფრო-მოთეთრო სამკუთხედის ფორმის აბები. ამასთან, ბრალდების მხარეს წარდგენილი ჰქონდა ავტომანქანა „აუდის“ სახ. ნომრით – XXX–XXX, მესაკუთრის თანხმობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ. საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად გაიზიარა იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება, უარი თქვა შუამდგომლობის განხილვაზე იმ საფუძველით, რომ ჩხრეკა ჩატარებული იყო კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით, რაც მოსამართლის აზრით, გამორიცხავდა ჩხრეკის კანონიერების შემოწმებას წინასასამართლო გამოძიებისას.

²⁷ ჯორბენაძე ო., წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები (პირველი გამოცემა), თბ., 2017, გვ. 47.

ზემოაღნიშნულ განჩინებასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლომ დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა, მაშინ როდესაც უარი თქვა პროკურორის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის განხილვაზე, რამეთუ საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის მეექვსე ნაწილის შესაბამისად, მოსამართლეს უნდა მიეღო ერთ-ერთი გადაწყვეტილება, კერძოდ: ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ ან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმებისას, სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების მიღების უფლებას არ აძლევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოთ მითითებული მუხლი. ამ ორის გარდა, სხვა გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდა, მათ შორის, არ გააჩნდა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შესამოწმებლად პროკურორის შუამდგომლობის განხილვაზე უარის თქმის უფლებამოსილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ გააკეთა განმარტება ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, რომ ყველა შემთხვევაში ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებას სჭირდება სასამართლო განჩინება. „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის ბოლო წინადადება განმარტებულ უნდა იქნას, არა ცალკე აღებული, არამედ ნორმის სისტემატიკური განმარტების ხერხით, ამავე მუხლის მე-5 ნაწილთან მიმართებაში და საქართველოს სსსკ-ის 120-ე მუხლთან მიმართებაშიც. ამდაგვარი განმარტების გზით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების განხილვა სავალდებულოა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი საერთო წესით და მოსამართლე ვალდებულია მიიღოს საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება.²⁸

საგულისხმოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება – „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერი, რომ თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების

²⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის განჩინება 1გ/1197, გვ. 7-8, <http://library.court.ge/judgements/5232016-07-20.pdf>

ანუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, არ ეხება სასამართლოს დისკრეციას – შეამოწმოს ან არ შეამოწმოს ჩატარებული ჩხრეკის (პირადი ჩხრეკის) და ამოღების კანონიერება, ვინაიდან ამის შესახებ არაფერს ამბობს ჩხრეკის მარეგულირებელი სპეციალური მუხლები (მუხ. 119-124). პირიქით, როგორც აღინიშნა, სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-ნაწილი ისეა ფორმულირებული, რომ სასამართლომ ყველა შემთხვევაში უნდა შეამოწმოს მოქალაქეთა ზემოთ ჩამოთვლილი კანონიერი უფლებების შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების კანონიერება და ცნოს იგი კანონიერად ან უკანონოდ თანმდევი შედეგებით. ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევა, რასაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს, ეხება საგამოძიებო მოქმედებას – დათვალიერება. კერძოდ, საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება სასამართლოს განჩინებით. სასამართლოს განჩინება არ არის აუცილებელი, როდესაც მხარე დათვალიერებას ატარებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ან მესაკუთრე (მფლობელი) წერილობით გამოხატავს თანხმობას.²⁹

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე, იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 19 მაისს გამოტანილ გამამართლებელ განაჩენში, სადაც სხვა მტკიცებულებების კანონიერებასთან ერთად, საუბარია მესაკუთრის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერებაზე. უზენაესმა სასამართლომ კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პროკურორს უარი ეთქვა მესაკუთრის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობის შუამდგომლობის განხილვაზე იმ მოტივით, რომ ამგვარი ჩხრეკა კანონიერების შემოწმებას არ საჭიროებს.³⁰

გარკვეულწილად, ვეთანხმებით სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას და არ ვიზიარებთ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რამეთუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 თავის ანალიზიდან გამომდინარე, თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკას აუცილებლად სჭიდება სასამართლო განჩინება. თუმცა ამ მხრივ, კანონმდებლობა მაინც არ არის სრულყოფილი და საჭიროებს

²⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის განჩინება 1გ/1193, გვ. 4, <http://library.court.ge/judgements/12872016-07-19.pdf>

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება №609აპ-15, პ. 6 (სამოტივაციო ნაწილი), <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

ცვლილებებს. კერძოდ, თანხმობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებას \square ამოღება, რომელიც კანონმდებლობისა და უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, აუცილებლად სჭირდება გამოძიების ეტაპზე წინასწარი თუ შემდგომი სასამართლო კონტროლი, ემსახურება თუ არა იმ მიზანს, რისთვისაც დადგენილია საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე თუ შემდეგ? აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ, ქვემოთ მითითებული გარემოებების გამო.

კერძოდ, ერთი მხრივ, აღვნიშნავთ, რომ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ყველაზე ხშირად და არსებითად ილახება ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, როგორცაა ჩხრეკა ან/და ამოღება. ასეთ დროს, „პიროვნებისა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა გარანტირებულია იმით, რომ დაწესებულია აუცილებლობა, წინასწარ იქნას მიღებული სასამართლოს თანხმობა ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარებაზე, ან ამ საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩატარების შემთხვევაში, შემდგომ შეამოწმოს სასამართლომ ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერება.“³¹ სასამართლო კონტროლიც სწორედ იმ მიზანს ისახავს, რომ არაგონივრულად არ შეიზღუდოს პირის კერძო საკუთრება, მფლობელობა ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: გამომძიებელი იძიებს სისხლის სამართლის X საქმეს, „ა“-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიებით დადგინდა, რომ X გარდაცვლილი იპოვეს Y ქალაქში მდებარე Z პარკში, X-ის გვამი გამოძიების მიერ გადასვენებულ იქნა Y ქალაქში მდებარე პროზექტურაში, შემდგომი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, რამეთუ დადგინდეს მისი გარდაცვალების მიზეზი. ამავე დროს გამოძიებას ესაჭიროება გარდაცვლილ X-ის ტანსაცმელი, ასევე შემდგომი ექსპერტიზების დანიშვნის მიზნით. მაგალითად, იმის დასადგენად, აღენიშნება თუ არა ტანსაცმელს ძალადობის კვალი. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, გამომძიებელი სასამართლო სამედიცინო ექსპერტისგან ამოღების წესით იღებს ტანსაცმელს სასამართლო განჩინების საფუძველზე ან გადაუდებელი აუცილებლობით,

³¹ ჯორბენაძე ო., წინასამართლო გამოძიებისას და წინასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები (პირველი გამოცემა), თბ., 2016, გვ. 45.

დადგენილების საფუძველზე, რასაც შემდგომ სასამართლო აკანონებს. უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამოღებას სჭიდება წინასწარი ან შემდგომი სასამართლო კონტროლი. სასამართლო კონტროლის მიზანი კი, როგორც აღვნიშნეთ არის პირის კერძო საკუთრება, მფლობელობა ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ამ კონკრეტული მაგალითიდან შეუძლებელია ითქვას, რომ გარდაცვლილის ტანსაცმლის ამოღებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტის კერძო საკუთრება, მფლობელობა ან პირადი ცხოვრება რაიმე სახით იზღუდება. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში პროკურორთა და გამომძიებელთა სამსახურებრივი რესურსები არაგონივრულად, არარაციონალურად იხარჯება.

მოვიტანოთ კიდევ სხვა მაგალითი: გამომძიებელი აწარმოებს X სისხლის სამართლის საქმეს, „ა“-ს კუთვნილი მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამომძიებლის დაწყებისთანავე „ა“ ნებაყოფლობით გამოცხადდა საგამომძიებო ორგანოში, რამეთუ მისივე ინტერესებში შედის დანაშაულის გახსნა, განაცხადა, რომ თან აქვს მობილური ტელეფონის ყუთი და მობილური ტელეფონის შესაბამისი დოკუმენტაცია. ცხადია ზემოაღნიშნული ნივთები მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მნიშვნელოვან გარემოებას წამოადგენს და გამომძიებელმა აუცილებლად უნდა ამოიღოს ისინი. ამ შემთხვევაში გამომძიებელმა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე უნდა ამოიღოს ნივთები თუმცა, თუ ეს საფუძველი არ არის სახეზე, პროკურორმა უნდა მიმართოს მაგისტრატ სასამართლოს და მოითხოვოს საგამომძიებო მოქმედება ამოღების ჩატარებაზე ნებართვის გაცემა, რაც თავის მხრივ, საჭიროებს შესაბამის დროის რესურსს.

მაგრამ საინტერესოა, როცა პირის, „ა“-ს ინტერესებში შედის ზემოაღნიშნული საგამომძიებო მოქმედების განხორციელება, რა მიზანს ემსახურება გამომძიებლის ეტაპზევე მაგისტრატი მოსამართლის მიერ ამ საგამომძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმება? მაშინ, როდესაც წინასასამართლო ეტაპზე საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ისედაც ხდება მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა.


ზოგადად, მსგავს შემთხვევებში, სასამართლო კონტროლის მიზანია, რომ არაგონივრულად არ შეიზღუდოს პირის კერძო საკუთრება, მფლობელობა ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაც იცნობს ტერმინს – „პირს, რომელთანაც ტარდება ჩხრეკა“ (სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-2

ნაწილი). სწორედ ამ პირის (ფიზიკურის და იურიდიულის) უფლებები და ინტერესები უნდა იყოს დაცული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას და მასზე უნდა განხორციელდეს მკაცრი სასამართლო კონტროლი. შესაბამისად, რთულად სათქმელია ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში „ა“-ს კერძო საკუთრება, მობილური ტელეფონის ყუთი და მობილური ტელეფონის შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც მან ნებაყოფლობით წარადგინა საგამოძიებო ორგანოში, არაგონივრულად შეზღუდულიყო. კერძო საკუთრების შესაძლო არაგონივრულ შეზღუდვაზე საუბარი კი, გვექნებოდა ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი არ არის თანახმა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე.

„დოქტრინალური ტიპის ინსტანციას, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ქვეყანაში ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა, რაც მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მსგავს საკითხებზე სამართლებრივად განსხვავებული შედეგი არ დადგეს, ვინაიდან ეს უპირველეს ყოვლისა, გავლენას მოახდენს საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი ნდობაზე.“³² საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტი არის საერთო სასამართლოებისთვის სახელმძღვანელო სტანდარტი, შესაბამისად, 2016 წლის 19 მაისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელზეც ბემოთ უკვე ვისაუბრეთ, სავალდებულოა ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითებში გარდაცვლილი ადამიანის ტანსაცმლის და ასევე, პირის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი ნივთების ამოღებაზე წინასწარი ან შემდგომი სასამართლო კონტროლი, რაც მიგვაჩნია, რომ სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას ხელს უშლის.

შესაბამისად, როგორც ვხედავთ, ამ მიმართულებით, ჩვენი საკანონმდებლო ბაზა კიდევ დასახვეწია. კერძოდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ არ ვეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ თანხმობით ჩატარებულ ჩხრეკა/ამოღებას არ სჭირდება სასამართლო კონტროლი გამოძიების ეტაპზე, რამეთუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 თავი ისეა ჩამოყალიბებული, რომ მსგავსი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევა.

³² მესხიშვილი ქ., ერთიანი განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის არსებობის მიზანშეწონილობა სასამართლო სისტემაში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, 2012, 2(33) გვ. 17.



PECULIARITIES OF CONDUCTING A SEARCH FOR THE ISSUE OF LEGISLATIVE PERFECTION

MALKHAZ LOMSADZE

Ph.D. of Law,

Professor at Samtskhe-Javakheti and Gori State University

The most common investigative action is a search. This work is noteworthy because it may limit property, possession, and privacy, which by its very nature requires a cautious approach. The state tries to fight crime and, at the same time, tries to protect fundamental human rights reinforced by national legislation and international norms.

No country's legislation is without flaws, and our country's criminal procedural legislation is no exception.

We find some gaps in Georgia's criminal procedural legislation and court practice. This paper includes the procedural characterization of the search, the theoretical and practical analysis of the problems in this direction, and the relevant recommendations.

Scientific research works, court decisions, and others were used to complete this paper.

We hope that our recommendations will contribute to improving this institution and will have a positive impact on the activities of investigative bodies.

This paper is a valuable resource for those interested in understanding and addressing this issue.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, როგორც მომედიბული საფრთხის წყაროზე საკუთრების უფლების შექმნის თავისებურებანი

თამარ ძერდიყოშვილი

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი*

შესავალი

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლება განსაკუთრებით, საკუთრების უფლება უზრუნველყოფს მთელი საზოგადოებისა და მის ცალკეულ მოქალაქეთა ღირსეულ ცხოვრებას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას. ამიტომ, საკუთრება და საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის იყო და დღესაც რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფენომენად, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების არსებობისა და განვითარების აუცილებელ წინაპირობას. აქედან გამომდინარე, დემოკრატიულ, სამართლებრივ თუ სოციალურ სახელმწიფოთა სიძლი-

ერე ეფუძნება სწორედ საკუთრების უფლების პატივისცემას. შესაბამისად, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, იგი დაკავშირებულია საკუთრებასთან, რომლის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა საზოგადოებრივი ურთიერთობების ფუნდამენტური საფუძველია. საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, მუდმივია, რომელიც მოიცავს:

- ა) ადამიანების დამოკიდებულებას გარკვეულ ნივთებთან, როგორც საკუთრების ობიექტებთან;
- ბ) ადამიანებს შორის ურთიერთობას მოცემულ ნივთებთან დაკავშირებით (ნივთების მითვისებასთან და მათი განსაზღვრულ სუბიექტებთან ყოფნის თვალსაზრისით).

ასეთი ქონებრივი ურთიერთობების არსებობა შეუძლებელია საკუთრების უფლების კაფიოდ განსაზღვრის გარეშე, რასაც სწორედ სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლებრივი ინსტიტუტებისა და შესაბამისი ნორმებისა თუ კანონმდებლობის საშუალებით. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით, საკუთრების უფლება წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების გარკვეულ სისტემას, რომელიც ადგენს საკუთრების უფლებას სამომხმარებლო საგნებსა თუ წარმოების სხვადასხვა საშუალებებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ძირითად საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში – სსკ), რომელიც აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.¹

საკუთრების ცნება, როგორც სამართლებრივი კატეგორია, მოიცავს სამ ძირითად ელემენტს, კერძოდ: ფლობას, მოხმარებასა და განკარგვას. ქონებრივი უფლებები განისაზღვრება ნორმათა ერთობლიობით, რომელიც არეგულირებს მესაკუთრის მიერ ქონების ფლობის, გამოყენებისა თუ განკარგვის დროს წარმოქმნილ ურთიერთობებს, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული საკუთრების უფლებასთან, რომელიც ადგენს ქონების უფლებაში მესამე პირთა შესაძლო ჩარევის პრევენციისა და აღმოფხვრის მექანიზმებს.

საკუთრების უფლება, მიუხედავად აბსოლუტური ბუნებისა, არ გულისხმობს მესაკუთრის შეუზღუდავ უფლებამოსილებათა სპექტრს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინ-

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27.06.24, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=131> [19.08.24].

ტერესს იწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების, როგორც მოძრავი ნივთის შექმნასთან, მასზე საკუთრების უფლების წარმოშობასა თუ ამ უფლების სხვა პირისთვის გადაცემასთან დაკავშირებული თავისებურებები და აღნიშნული პროცესის სამართლებრივი ასპექტები.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების შექმნის მიმართ პირთა განსაკუთრებული ინტერესი და ამ პროცესში წარმოჭრილ პრობლემურ საკითხთა მრავალფეროვნება. ავტოსატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს, რომელზეც სრული კონტროლის განხორციელება ობიექტურად შეუძლებელია. პრაქტიკაში ჯერ კიდევ, სახეზეა მთელი რიგი საკითხები, რომელიც გადაუჭრელ ამოცანად რჩება. მაგალითად, არსებობს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის, ისე მისი გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის განსაზღვრის ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემა ერთი შეხედვით ფართოდ გამოკვლეულ სამართლებრივ ასპექტს წარმოადგენს, წარმოიშობა არაერთი პრობლემა თუ უზუსტობა, რაც ართულებს საკითხის მოწესრიგებას.

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების უძრავ ნივთად მიჩნევასთან დაკავშირებული იურიდიული ფიქციის მნიშვნელობა

საკითხის განხილვას რომის სამართლით დავიწყებთ, რომლის მიხედვითაც, მოძრავ და უძრავ ნივთებად კლასიფიკაციას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც ორივე სახის ნივთი ერთი და იმავე სამართლებრივი რეგლამენტაციის ქვეშ ექცეოდა. უძრავ ნივთებს განეკუთვნებოდა არა მხოლოდ მიწის ნაკვეთი (praedia, fundi) და მისი წიაღი, არამედ მიწის ზედაპირზე სხვისი ან მესაკუთრის მიერ შექმნილი ნებისმიერი სიკეთე. ამ ნივთებზე ვრცელდებოდა პრინციპი მიწის ზედაპირზე შექმნილი „superficies solo cedit“-ის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მიწის ნაკვეთზე მდებარე ნაგებობა სამართლებრივად დაკავშირებულია მოცემული მიწის ნაკვეთის სამართლებრივ ბედთან, რაც უზრუნველყოფს ნაკვეთისა და ნაგებობის სამართლებრივ ერთიანობას.²

სსკ-ის 148-ე მუხლი ადგენს, რომ ნივთი შესაძლოა იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი. ეს უკანასკნელი გულისხმობს მიწის ნაკვეთს, სივრცობრივად გამოყოფილ, საკადასტრო წესით ამომილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ზედაპირს. საგულისხმოა, რომ

² Staudinger-Jickli/Stieper, Kommentar zum BGB Neubearbeitung 2004, §94 Rn. 2.

სამოქალაქო კოდექსში არსებულ მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია განსხვავებულად ვრცელდება მოძრავი და უძრავი ნივთების შემთხვევაში. კერძოდ, მოძრავი ნივთის შემთხვევაში, მისი ფაქტობრივი მფლობელი ითვლება მესაკუთრედ, ხოლო უძრავ ნივთზე საკუთრების მდგომარეობა დგინდება საჯარო რეესტრის ჩანაწერების შესაბამისად. სამართალში გაბატონებული პოზიციისა და არსებული პრაქტიკის მიხედვით, მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად ან გადასაცემად საკმარისია მისი ფაქტობრივი გადაცემა მყიდველის მფლობელობაში. მსგავსი ბლანკეტური მიდგომა არ უნდა იქნას მიჩნეული იმპერატიულად, ვინაიდან ცალკეულ შემთხვევაში ფაქტობრივი გადაცემა არ წარმოადგენს საკუთრების წარმოშობის აუცილებელ წინაპირობას.² მაგალითის სახით შეიძლება მოტანილ იქნას ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელზე საკუთრების შეძენასაც ძალიან ბევრი საერთო აქვს უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენასთან. ორივე შემთხვევაში მოითხოვება რეგისტრაციის ფაქტის არსებობა და სწორედ ეს პროცესუალური მხარე ახდენს ავტოსატრანსპორტო საშუალების უძრავ ნივთად მიჩნევის იურიდიული ფიქციის მკაფიო დეკლარირებას, ვინაიდან ეს ორი სამართლებრივი პროცესი პრაქტიკულად, ერთგვაროვანი პროცედურაა. კერძოდ, საკუთრებაში გადასაცემა ნივთის რეგისტრაციისას აუცილებელია მხარეთა თანხმობა და უძრავი ნივთის უნიკალური საკადასტრო კოდიტა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სერიული ნომრით რეგისტრირება მესაკუთრის სახელზე.

აღნიშნული გარემოება განაპირობებს ავტოსატრანსპორტო საშუალებასა და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საერთო ნიშნების იდენტიფიცირებას. ზოგადად, სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა მოძრავი ნივთების ამომწურავ, ზუსტ დეფინიციას და მოძრავი და უძრავი ნივთების გამიჯვნის ძირითად კრიტერიუმს მათი გადაადგილების უნარით საზღვრავს.

აღსანიშნავია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ივლისის №2ბ/5318-15 გადაწყვეტილება,³ რომლის მიხედვითაც, კანონმდებლის რეალურ მიზანს, უძრავ ნივთებთან მიმართებაში უფლებათა საჯაროობის უზრუნველყოფა და მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმოადგენდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, უძრავ ნივთებზე გარიგების დადებისთვის, ამ გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის სავალდებულო პირობის მიუხედავად,

² კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 203-205.

³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ივლისის №2ბ/5318-15 გადაწყვეტილება.

მისი არარსებობა არ ნიშნავს ხელშეკრულებისთვის ავტომატურად იურიდიული ძალის დაკარგვას. იგი მოქმედებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის, მაგრამ ძალა ვერ ექნება მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუ რა თქმა უნდა, მათთვის ცნობილი არ არის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში, დავა მიმდინარეობდა უშუალოდ ხელშემკვრელ მხარეებს შორის, სწორედ, ამიტომ სადავო ხელშეკრულებები, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებული არ იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით, არ ბოჭავდა მოსარჩელეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის წარმოდგენის თვალსაზრისით. აღნიშნული პოზიცია გათვალისწინებულ იქნა სასამართლოს მიერ არაერთ დავასთან დაკავშირებით.⁴

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოში ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის პროცედურა ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნის მიღწევას, ხოლო მეორე მხრივ, ახდენს უფლებრივად ნაკლოვანი მოძრავი ნივთის შექმნის პრევენციას, რაც შედეგად უზრუნველყოფს ქონებრივი ზიანის თავიდან აცილებას. რეგისტრაციის ვალდებულება შემქმნის უზრუნველყოფს ქონების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობით და უმარტივეს საკუთარი უფლებების დაცვის პროცესს.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საკუთრების შექმნის წინაპირობები

2.1. ნამდვილი უფლების საფუძველზე ნივთის გადაცემა, როგორც საკუთრების შექმნის აუცილებელი წინაპირობა

მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის დგინდება ე. წ. შუალედური მოდელი – ტრადიციისა და კაუზალური სისტემის სასარგებლოდ. მოძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის მომენტად ითვლება შეთანხმება, გადაცემა ან რეგისტრაცია. ხოლო მათზე უფლების წარმოშობის მომენტი განისაზღვრება იქედან გამომდინარე, თუ რა იურიდიული მოცემულობის საფუძველზეა საკუთრების უფლება წარმოშობილი.⁵

სამოქალაქო კოდექსში არსებული საკუთრების პრეზუმფციის ცნება ვრცელდება მართლოდენ მოძრავ ნივთებთან მიმართებაში და მისი ფაქტობრივი მფლობელი ითვლება

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-343-326-2013.

⁵ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 115-117.

მესაკუთრედ. სამართლის ზოგადი დათქმებისა და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შესაძენად ან გადასაცემად საკმარისია მისი ფაქტობრივი გადაცემა მყიდველის მფლობელობაში. მსგავსი ბლანკეტური მიდგომის გავრცელება ნივთების გათვალისწინების გარეშე, არ უნდა იქნას მიჩნეული მიზანშეწონილად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებულ შემზღუდვას არ ადგენს ფლობის ნაწილში, თუმცა ამ მხრივ, რიგი ქვეყნები ადგენენ განსხვავებულ მიდგომას.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს დამატებითი რეგულაციები, რომლებიც უნდა შესრულდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენის ან იჯარით მიღებამდე. მაგალითად, იაპონიაში მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვისა და შეზღუდული სივრცის გამო, პერსპექტიულმა მფლობელმა ჯერ უნდა წარმოადგინოს ადგილის მტკიცებულება მოცემული მანქანის გასაჩერებლად (პარკინგის მტკიცებულება).⁶ ფილიპინებსა და ინდოეთში ასევე, არსებობს მოთხოვნა პარკირების დამადასტურებელ მოწმობაზე.⁷

სინგაპურში არსებობს დამატებითი მოთხოვნები უფლებამოსილების სერტიფიკატის სახით, რომელიც საშუალებას აძლევს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს მხოლოდ 10 დღის განმავლობაში ფლობდეს მას. სინგაპურში სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა ჯერ უნდა წარმოადგინონ ადგილის მტკიცებულება, რომ განსახილველ ავტოსატრანსპორტო საშუალებას გააჩერებს, სატრანსპორტო საშუალების პარკირების დადგენილი სქემის მიხედვით.

იაპონიაში პარკირების მტკიცებულების რეგულაციამ მაღალ გადასახადებთან ერთად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასების მიხედვით განვითარება გამოიწვია, რომელიც ცნობილია როგორც kei cars (kei jidōsha). ეს მცირე ზომის მანქანები, შეზღუდული ზომებით (3.40x1.48x2.00 მ) სიგრძე, სიგანე და სიმაღლე) და ძრავის მოცულობა (660 cc ან 0.66 ლ) – პოპულარულია აქციზის გადასახადის შეღავათების გამო (3% 5%-ის ნაცვლად ჩვეულებრივი მანქანებისთვის), წონის გადასახადი (30%-ით იაფი) და დაზღვევის ღირებულება ასევე, 10%-ზე ნაკლებია და წლიური საგზაო გადასახადი, გამოითვლება ძრავის ზომის შესაბამისად.

⁶ [https://ajet.net/downloads/forms-info/Japan%20Living%20Guide%20\(CLAIR\).pdf](https://ajet.net/downloads/forms-info/Japan%20Living%20Guide%20(CLAIR).pdf) [15.08.2024].

⁷ Senator Gatchalian wants Proof-of-Parking Space Act fast-tracked, <https://www.topgear.com.ph/news/motoring-news/2019-proof-of-parking-space-a4354-20190805> [15.08.2024].

შეერთებულ შტატებში, ავტომობილის საკუთრება დამოკიდებულია საკუთრების უფლების მოწმობაზე. ამერიკაში, თითოეული შტატის საავტომობილო მანქანების დეპარტამენტი ან საავტომობილო მანქანების რეესტრი გასცემს ასეთ დოკუმენტებს, როდესაც მანქანა რეგისტრირებულია. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება პირდაპირ მფლობელობაში ავტომობილის გადაცემას. მესაკუთრის პასუხისმგებლობის ხვედრითი წილი საკმაოდ დიდია, სულ მცირე სამართლებრივ გადაცდომაზეც კი, შტატის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ნიშნავენ სასამართლო პროცესს, მესაკუთრესთან და არა ფაქტობრივ მფლობელთან. მესაკუთრე ვალდებულია ახსნას სამართალდარღვევა, თუმცა, თითქმის ყველა შემთხვევა მოიცავს ჯარიმას. მაგალითისთვის აშშ-ის რეგულაციებით, სავალდებულოა ავტომობილის დაზღვევა, რომლის დამადასტურებელი საბუთის არარსებობის შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანო უფლებამოსილია ჩანიშნოს სასამართლო პროცესი.

უდავოა ის ფაქტი, რომ მხოლოდ ნამდვილი ნების გამოვლენა იწვევს სამართლებრივ შედეგს, რაც თავის თავში მოიცავს ნების შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ნამდვილია ნების გამოვლენა, თუ დაცულია მისი გამოხატვის სამართლებრივი წინაპირობები: მატერიალური თუ ფორმალური. მატერიალურ წინაპირობებს განეკუთვნება ნების გამომვლენი პირის გონებრივი შესაძლებლობები (ასაკი, ჯანმრთელობა), ხოლო ფორმალურს – ნების გამოვლენის კანონით დადგენილი ფორმის დაცვა (ნების გამოვლენა წერილობით, ზეპირად, ნოტარიუსის მონაწილეობით, კანონის შესაბამისად და ა.შ.).⁸

ქართველი ცივილისტი, მეცნიერი და სამოქალაქო სამართლის დარგში ასობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ლადო ჭანტურია, თავის ერთ-ერთ ნაშრომში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სამართლებრივი შედეგის მისაღწევად, ხანდახან აუცილებლობას წარმოადგენს მესამე პირების ნების გამოვლენაც. მაგალითად, უძრავი ნივთის შეძენა მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ნამდვილად, თუ შემძენი საჯარო რეესტრში იქნება დარეგისტრირებული. ამ თვალსაზრისით, რეესტრში რეგისტრაცია არის რეალაქტი.⁹ გემოხსენებული დათქმა პირდაპირ მიუთითებს საჯარო რეესტრის როლზე უძრავ ნივთზე საკუთრების მოსაპოვებლად. იდენტურად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი აკისრია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ მომსახურების სააგენტოს, ავტოსატრანს-

⁸ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 292.

⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია ლ., ბოლო დამუშავება. 24 დეკემბერი, 2017 წელი. www.civilcode.ge [15.08.2024].

პორტო საშუალებებზე საკუთრების მოპოვების ნაწილში. თუმცა, მიუხედავად არსებული პროცედურის უდიდესი და არსებითად მნიშვნელოვანი საჭიროებისა, კანონმდებელი მიგვიითებს მხოლოდ ნამდვილ ნებასა და მფლობელობის გადაცემის ნაწილზე, რაც საბოლოოდ ქმნის ბუნდოვანებას და აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ არაერთგზის იქნა აღნიშნული, სასამართლო ხელისუფლებას უწევს ნორმის განმარტება, რასაც სასამართლო პრაქტიკიდან არაერთი საქმეც ადასტურებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასამართლო ხაზს უსვამს „ნამდვილობის უფლებას“ და მის საფუძველზე ავტომობილის გადაცემის აუცილებლობის მნიშვნელობას.

2.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის პრაქტიკული დანიშნულება და როლი

სანივთო უფლებებზე არსებული შეზღუდვების აუცილებლობა პრაქტიკული გამოცდილებითაა ნაკარნახევი, რამდენადაც საკუთრების შეუზღუდავმა გამოყენებამ შესაძლოა საზოგადოებაში ქაოსი გამოიწვიოს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების შეძენის წესი რეგლამენტირებულია სპეციალური კანონით, კერძოდ, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლით. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას იძენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. აღნიშნული საკანონმდებლო დებულების სიტყვასიტყვითი განმარტებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების შეძენის სავალდებულო ელემენტს წარმოადგენს მომსახურების სააგენტოში საკუთრების რეგისტრაციის ფაქტის არსებობა, თუმცა, ამ ნორმის განმარტება სასამართლო პრაქტიკაში ხდება არა სიტყვასიტყვით, არამედ სისტემურად. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია წარმოადგენს არა სამოქალაქო სამართლებრივ აქტს,¹⁰ არამედ ემსახურება საავტომობილო-სატრანსპორტო სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების საჯარო სამართლებრივ მოწესრიგებას.¹¹ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სცდება კერძო სამართ-

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-241-572-07, 17.10.2007.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-658-658-2018, 30.07.2018.

ლის სფეროს და მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის სფეროს.¹² სასამართლოს მსგავსი განმარტებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების წარმოშობის მიმართ არ ვრცელდება „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. ზოგადად, ნივთის შეძენის მიმართ სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სწორედ შემძენის ინტერესების დაცვა წარმოადგენს.

სსკ-ით არ დგინდება სატრანსპორტო საშუალების შეძენის მიმართ სპეციალური წესი. ამდენად, მის მიმართ დგინდება ზოგადი მოთხოვნები.¹³ ზოგადი წესის მიხედვით, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების წარმოშობისთვის აუცილებელია ნამდვილობის უფლების საფუძველზე ნივთის გადაცემის შემთხვევა.¹⁴

ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების წარმოშობის აუცილებელი წინაპირობის განსაზღვრა მნიშვნელოვან სამართლებრივი შედეგებს უკავშირდება, მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრას.

საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი საკითხის რეგლამენტაცია არსებითი მნიშვნელობის მატარებელია ნორმის განჭვრეტადობის მიზნებიდან გამომდინარე. ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგლამენტაციის არსებობა, ნორმის ადრესატს არ აძლევს საკუთარი ქმედების ნორმის შესაბამისად წარმართვის შესაძლებლობას. ამდენად, ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის, მხარეთა ინტერესების დაცვისა და სამოქალაქო ბრუნვის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია განხორციელებულ იქნას ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილში და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს:

„1. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი, გარდა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების წარმოშობის შემთხვევისა. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლება წარმოშობილად მიიჩნევა

¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1184-1129-2013, 26.11.2015.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-241-572-07, 17.10.2007.

¹⁴ შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბ., 2014, 173; ზარანდია თ., სანივთო სამართალი, თბ., 2019, 320; ასათიანი თ., მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013, 43-52, 44-45.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.“

ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული მოქმედებები პირდაპირაა დაკავშირებული რეესტრში რეგისტრაციის საჭიროებასთან. მაგალითად, საჯარიმო ავტოსადგომიდან ავტომობილის გამოყვანა შეუძლია მხოლოდ მესაკუთრეს/მფლობელს. სწორედ არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებული უფლება ხელსაყრელია უფლების შემძენისათვის.

3. ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი

ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას ხშირია, ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი, რომელიც არცთუ ისე იშვიათად ფატალური შედეგით სრულდება. მსოფლიო სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ყოველდღიურად, 3700 ადამიანი სწორედ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად იღუპება. მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 40 000 ადამიანი გარდაიცვალა ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად, ხოლო 2,1 მილიონი ადამიანი კი, სასწრაფო დახმარების განყოფილებაში მოხვდა.¹⁵

საგულისხმოა, რომ ამ თვალსაზრისით, სტატისტიკური მონაცემები საქართველოშიც საგანგაშოდ გამოიყურება, რასაც ქვეყანაში ბოლო ოთხი წლის მანძილზე მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთა მონაცემებიც ადასტურებს, კერძოდ:

2020 წელი – დაშავებულთა რაოდენობა – 6640, ხოლო გარდაცვლილი – 450;

2021 წელი – დაშავებული – 7705, ხოლო გარდაცვლილი – 449;

2022 წელი – დაშავებული – 7517, ხოლო გარდაცვლილი – 430;

2023 წელი – დაშავებული – 7310, ხოლო გარდაცვლილი – 442;

2024 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით – დაშავებული – 1495, ხოლო გარდაცვლილი – 93.¹⁶

¹⁵ Road traffic accidental injuries and deaths: A neglected global health issue, Article (Published online 2023 May 2. doi: 10.1002/hsr2.1240)

¹⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პორტალი, საჯარო ინფორმაცია-მონაცემები ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ (<https://info.police.ge/page?id=105>).

ამდენად, ავტოსატრანსპორტო საშუალების, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ სენსიტიურია და განსაკუთრებულ ყურადღებასა და მიდგომას საჭიროებს (მასზე სრული კონტროლის განხორციელების ობიექტურად შეუძლებლობიდან გამომდინარე), მით უფრო, მისი დროებით სარგებლობაში გადაცემისას, ხელშეკრულების დადების დროს, რაც მთელი რიგი სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებას მოითხოვს. სსკ-ის 999-ე მუხლით დგინდება ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობის დადგენა.

„მომეტებული საფრთხის წყაროს“ ცნებით მოცულია სამი ასპექტი – საქმიანობა, ნივთები და საგანის თვისებები, რაც ერთობლიობაში ქმნის მომეტებულ საფრთხეს.¹⁷ ეჭვგარეშეა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება მართლაც წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს, თუმცა უნდა ითქვას, რომ სათანადო წესების დაცვით (საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ნორმები იქნება ეს თუ ტექდათვალიერება და ა. შ.), შესაძლოა აღნიშნული საფრთხე შემცირდეს და მინიმუმამდე დაყვანილ იქნას.

სსკ-ის 999-ე მუხლი განსაზღვრავს გარემოებებს, რომელთა არსებობის დროსაც ხდება ნივთის მფლობელისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. ანუ, როდესაც ზიანი გამოწვეულია იმ მახასიათებლებით, რომელთა მიზეზითაც იგი საფრთხის წყაროს წარმოადგენს.¹⁸ თუმცა, არის გარემოებები, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ ხდება. სსკ-ის 999-ე მუხლით ასევე, განსაზღვრულია ის შემთხვევები, როდესაც მფლობელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ გარემოებას წარმოადგენს „დაუძლეველი ძალა“, რომელიც გულისხმობს, რომ მიუხედავად მართვის წესების დაცვისა, ზიანის თავიდან აცილება შეუძლებელია.¹⁹ თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულ სამართალში მკაფიოდ და ზუსტად ვერ ხდება იმ საფუძვლების განსაზღვრა, რომელსაც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ეფუძნება და „დაუძლეველი ძალის“ ცნებაში მოიაზრება.²⁰ „ქართული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული ცნება განმარტებულია, როგორც ისეთი

¹⁷ შდრ. ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., 2016, 305-306.

¹⁸ წულაძე მ., მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლები, სამართლის ჟურნალი, N1, 2015, 274.

¹⁹ ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 118.

²⁰ წულაძე მ., მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები, სამართლის ჟურნალი N1, 2015, 277.

სახის დაბრკოლება, რომელიც არ წარმოადგენდა მომეტებული საფრთხის წყაროს (ამ შემთხვევაში – ავტოსატრანსპორტო საშუალების) მფლობელის კონტროლის სფეროში და შესაბამისად, არ შეეძლო არც მისი წინასწარ გათვალისწინება და არც დაბრკოლებისა თუ მისი შედეგების თავიდან აცილება ან დაძლევა. ამდენად, ვხედავთ, რომ „დაუძლეველი ძალის“ ცნება მოვლენის ორგვარ თვისებას აერთიანებს – დაუძლეველობასა და გაუთვალისწინებლობას. ამიტომ, ესა თუ ის მოვლენა რომ მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი გახდეს, იგი უნდა იყოს როგორც დაუძლეველი, ისე გაუთვალისწინებელი.“²¹

სსკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიჩნეულ უნდა იქნას პირი, რომელიც იურიდიულ საფუძველზე ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლზომიერი მფლობელი) მართვისას, სხვისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრება არამართლზომიერ მფლობელს და არა ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. ამასთან, მფლობელს ეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას, მისი ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში. სხვა ვითარებაა მფლობელის მიერ სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლისთვის მართლზომიერი გადაცემის დროს და შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას ზიანის მიყენების შემთხვევაში.²²

ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელზე პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით, შესაძლოა გამოყოფილ იქნას ორი შემთხვევა. კერძოდ, ერთი, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალება მისთვის გადაცემულ იქნა მფლობელის მიერ და მეორე, როდესაც მფლობელის მიერ ხდება მოსარგებლის ავტოსატრანსპორტო საშუალების სამართავად დანიშვნა. აღნიშნულ შემთხვევებში ყურადღება ექცევა და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის მიყენების ინსტიტუტის თავისებურებებს, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლოა მოხდეს პირზე (მფლობელზე), რომელსაც ბრალი არ მიუძღვის ზიანის დადგომისას და არ წარმოადგენს ზიანის მიმყენებელს.

²¹ იქვე.

²² ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 118.

საგულისხმოა, რომ ქართულ სამართალში არ არის მოცემული მფლობელობის ცნების განმარტება. სსკ-ის 155-ე მუხლში საუბარია მფლობელობის წარმოშობასა და არსებობასთან დაკავშირებულ წინაპირობებზე.²³ მოცემული ნორმის თანახმად, „ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვება აუცილებელია მფლობელობის წარმოსაშობად.“²⁴ „კანონმდებელი განასხვავებს მფლობელობას, როგორც საკუთრების უფლების შინაარსის ერთ-ერთ ელემენტსა და მფლობელობას, როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუტს.“²⁵ „დიდი მნიშვნელობა ენიჭება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დადგენის ფაქტს, რამდენადაც არცთუ იშვიათად, დავის სწორად გადაწყვეტისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია, განსაზღვრულ იქნას ვინ მიიჩნევა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელად.“²⁶

ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.²⁷ საგულისხმოა, რომ ქართული სამართალი ისევე, როგორც გერმანული უმეტესწილად, იზიარებს ორმაგი მფლობელობის ინსტიტუტს. მესაკუთრე მესამე პირისთვის ფაქტობრივი ბატონობის/ფლობის გადაცემით კი არ კარგავს ქონებაზე მფლობელობას, არამედ იგი რჩება არაპირდაპირ მფლობელად. სსკ-ის 999-ე მუხლში საუბარია ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელზე და არ ახდენს იმის დაკონკრეტებს, რომელი სახის მფლობელობა უნდა იქნას მოაზრებული მასში.

აუცილებელია მფლობელის გამიჯვნა მჭერისაგან, რომელიც მფლობელის მითითებებს ასრულებს და არ არის გათანაბრებული მის უფლებრივ მდგომარეობასთან, შესაბამისად, არ შეუძლია თავის დაცვა მფლობელობითი სარჩელის წარმდგენი საშუალებით. ამდენად, სსკ-ის 999-ე მუხლით გათალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება არ მოხდება მპყრობელის მიმართ.

სსკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილი წარმოშობს ბუნდოვანებას და საჭიროა დაზუსტება, ვინაიდან შესაძლოა ტერმინი „მფლობელი“ სხვადასხვაგვარად იქნას ინტერპრეტირებული. მფლობელია მესაკუთრე და ის პირიც, ვინც ახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი საფუძვლით ექსპლუატაციას. მაგალითად, იჯარის ან

²³ ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2016, 73.

²⁴ იქვე, 71.

²⁵ იქვე.

²⁶ ტარტარაშვილი თ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, თბ., 2019, 39.

²⁷ ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., 2016, 306.

ქირავნობის გზით მესამე პირისთვის გადაცემის შემთხვევაში. სამართლებრივი ნორმის არაგანჭვრეტადი ხასიათი სრულად სასამართლო პრაქტიკაზე დამოკიდებულს ხდის მის განმარტებას და აქედან გამომდინარე, წარმოშობს არსებით რისკებს კერძო პირთათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას ისიც, რომ სასამართლო პრაქტიკა მოცემულ ნორმასთან დაკავშირებით არაერთგვაროვნებით ხასიათდება, რამდენადაც რიგ საქმეებთან მიმართებაში მფლობელად არაპირდაპირი მფლობელის მოაზრება ხდება ე. ი. მესაკუთრის მაშინ, როდესაც სხვა ვითარებაში პასუხისმგებლობა პირდაპირ მფლობელზე ვრცელდება. ამ შემთხვევაში, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას თავად აღნიშნული ნორმის მიზანიც, რაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მკაცრ პასუხისმგებლობაში მდგომარეობს.²⁸ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან მფლობელი თავისუფლდება მხოლოდ ფორსმაჟორული ვითარების წარმოშობის დროს.

ამრიგად, ზემოაღნიშნული სსკ-ის 999-ე მუხლის მიზანს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისთვის დადგენილი წესების დაცვა მფლობელის მიერ და არა დელიქტურ ურთიერთობებში მესამე პირის შემოყვანა ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, რაც თავისთავად ერთგვარი პრევენციული ფუნქციის მატარებელიცაა.

არსებული პრაქტიკის ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობა დაკავშირებულია არაერთ ვალდებულებასთან, რომლის შესრულებაც მესაკუთრეს ეკისრება. მაგალითად, ჯარიმები, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს და შესაძლოა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პატრულ-ინსპექტორის მიერ პირადად გამოწერილი, უკონტაქტო პატრულის შედგენილი, ქუჩაში დაყენებული ე. წ. „ჭკვიანი კამერების“ მიერ დაფიქსირებული თუ პარკირებასთან დაკავშირებული. ჯარიმის გადახდაზე კონტროლს და მის აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო. ჯარიმის მიზანს სამართალდარღვევის პრევენცია წარმოადგენს, შემდგომი დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ჯარიმის აღსრულების პროცედურას, ჯარიმასთან დაკავშირებული ხანდაზმულობისა და აღსრულების შეწყვეტის საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ.“²⁹

²⁸ ცნობისთვის: საერთო სამართალში მოქმედი Strict Liability – გაიგივებულია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასთან, რაც სწორი ვერ იქნება. მკაცრი პასუხისმგებლობა მოაზრებს პასუხისმგებლობის ყველა შემთხვევაში დაკისრებას, ფორსმაჟორული ვითარების გარდა.

²⁹ ახალკაცი ე., ჯარიმა როგორც სასჯელის აღსრულების წესი, თსუ სამართლის უურნალი, N2, 2020, <https://shorturl.at/L8wfq> [15.08.24].

აღნიშნულ ვითრებაში შესაძლოა დადგეს იგივე პრობლემა, რამდენადაც საგზაო მოძრაობის წესების დაღვევისას, შესაძლოა მესაკუთრე არ მართავდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებას. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვნად ზარალდება მესაკუთრე, რამდენადაც სამართალდარღვევის შემთხვევაში, ჯარიმის არსებობისას მისი დაუყოვნებლივ აღსრულების დროს ყადაღა ედება სწორედ მესაკუთრის კუთვნილ საბანკო ანგარიშებს ვალდებულების სრულ შესრულებამდე (ჯარიმის გადახდამდე). ჯარიმის გასამმაგებულ ოდენობას ემატება აღსრულების საურავი და საბოლოოდ, იწვევს მესაკუთრისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ტვირთის დაკისრებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც 150-ლარიანი ჯარიმის გამო, აყადაღებენ რამდენიმე ათასიან საბანკო ანგარიშებს. ეს მაშინ, როცა პირმა შესაძლოა არც იცოდეს ჯარიმის არსებობის შესახებ, ხოლო ანგარიშების თუნდაც მცირე დროით დაბლოკვამ კი, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანოს პირს, რაც პირდაპირ არღვევს ამ უკანასკნელის ქონებრივ უფლებებს. მესაკუთრის ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით მიზანშეწონილ და ნაკლებადმზღუდველ საშუალებად მიგვაჩნია ანგარიშზე ჯარიმის ოდენობით ყადაღის გავრცელება.

დასკვნა

ჯერ კიდევ არსებობს ავტოსატრანსპორტო საშუალების, როგორც რეგისტრაციაუნარიანი ნივთის საკუთრების შექმნასთან დაკავშირებით პრობლემები და არაერთი გამოწვევა. ამასთან, უდავოა ნორმის არაგანჭვრეტადი ხასიათი და საერთო სასამართლოების მიერ ნორმის განსხვავებულად ინტერპრეტირების შემთხვევები.

წინამდებარე კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს და შესაბამისად, საჭიროა მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა მისი მესამე პირზე გადაცემისას. ასევე, აშკარაა ქონების რეგისტრაციის როლი და მნიშვნელობა, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს, როდესაც საფრთხე ექმნება უფლების განხორციელებას, რამდენადაც სწორედ რეგისტრაციის საშუალებით ხდება უფლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ხოლო რეგისტრაციის შეფერხება პირდაპირ ასახავს ჰპოვებს სანივთო უფლებათა განხორციელებაზე. ამიტომ, მარეგისტრირებელ ორგანოში ქონების რეგისტრაცია უნდა შედიოდეს როგორც მოძრავ ნივთზე (ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებაზე) უფლების შემქმნის, ისე ქონების გამსხვისებლის ინტერესებშიც.

აშკარაა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროზე სრული კონტროლის განხორციელება ობიექტურად შეუძლებელია და ჯერ კიდევ, გადაუჭრელ პრობლემად რჩება მთელი რიგი საკითხები. თუნდაც არსებული წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების წარმოშობის ნაწილში. აქედან გამომდინარე, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების წარმოშობის აუცილებელი წინაპირობის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგების დადგომასთან. ზოგადად, რეგისტრაციის ფაქტისთვის საკუთრების მიმნიჭებელი საფუძვლის დადგენა ხელს უწყობს შემძენის ინტერესების დაცვას.


აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის, მხარეთა ინტერესების დაცვისა და სამოქალაქო ბრუნვის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდაციის სახით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელებულ იქნას ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილში და მისი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

„1. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი, გარდა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების წარმოშობის შემთხვევისა. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლება წარმოშობილად მიიჩნევა საქართველს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.“

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის მოწესრიგების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სისტემები, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში წარმოდგენილი და განსაზღვრულია ტრადიციის, კონსენსუალური, აბსტრაქტული თუ კაუზალური სისტემების შესაბამისად. იმედს ვიტოვებთ, რომ დროთა განმავლობაში მათი გათვალისწინებისა და სასამართლო პრაქტიკის გზით გამოვლენილი ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზები აღმოფხვრილ იქნება კანონმდებელთა მიერ ეფექტიანი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებით, რაც ხელს შეუწყობს მოცემული მიმართულებით ქართულ სამართალში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი თ., მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013;
2. ახალკაცი ე., ჯარიმა როგორც სასჯელის აღსრულების წესი, თსუ სამართლის ჟურნალი N2, 2020;
3. ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., 2016;
4. გაჩეჩილაძე თ., სანივთო გარიგება – მოძრავი ნივთის „უხილავი“ ელემენტი, ჟურ. ადვოკატი, N 1-2, 2017;
5. გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართლის საფუძვლები, თბ., 2010;
6. ზარანდია თ., სანივთო სამართალი, თბ., 2019;
7. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2003;
8. კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014;
9. კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009;
10. კუტალია ლ., ბრალი სისხლის სამართალში, თსუ გამოცემლობა, 2000;
11. სირდაძე ლ., უძრავ ნივთზე საკუთრების მოპოვება უფლებამოსილი და არაუფლებამოსილი პირისგან, თსუ, 2019;
12. ტარტარაშვილი თ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, თბ., 2019;
13. ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თსუ, 2013;
14. შოთაძე თ., სახელმძღვანელო – სანივთო სამართალი, 2014;
15. ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012;
16. წულაძე მ., მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლები, სამართლის ჟურნალი N1, 2015;
17. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011;
18. ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017;
19. ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, თბ., 2009;
20. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, თბ., 2001;
21. ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა, მეოთხე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2016;
22. Burton S., Elements of Contract Interpretation. New York. Oxford University Press, 2009;
23. Centers for Disease Control and Prevention (CDC). Transportation Safety; 2022;
24. Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, A Comparative Treatise, Second ed. Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon 2006;
25. Matthias E., Storme, Property Law in a Comparative Perspective, seventh edition, KU Leuven Centre for Advanced Legal Studies, 2002;
26. McKendrick E., Contract Law / E. McKendrick, 4 ed., New York, 2000;
27. Road traffic accidental injuries and deaths: A neglected global health issue, Article, 2023;
28. Schwenzer I., Kee C., Hachem P.I. Global Sales and Contract Law, Oxford University Press, 2012;

- 
29. Wolf M., Sachenrecht, 14.Auflage, Verlag C.H.Beck, München, 1999;
 30. World Health Organization (WHO) Global Status Report on Road Safety 2018;
 31. World Health Organization (WHO), Road Traffic Injuries;

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
3. საქართველოს საგადასახადო გადასახადი;
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
5. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“;
6. საქართველოს კანონი „სააღსრულებო სამართალწარმოების შესახებ“;
7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილება.

PECULIARITIES OF ACQUIRING THE PROPERTY RIGHT ON A VEHICLE THAT IS CONSIDERED A SOURCE OF INCREASED DANGER

TAMAR KERDIKOSHVILI


Caucasus International University

Ph.D. student of Law

This article delves into a crucial aspect of property rights, particularly in the context of motor vehicles. Property rights, universally recognized as one of the most essential rights, are regulated by Article 21 of the Constitution of Georgia, ensuring that property is obtained only legally.

The state must protect property rights and provide unhindered use of property. The purpose of the legal system is to protect the universally recognized values of human rights and freedom and to ensure the free development of each individual, which is closely related to the enjoyment of property rights.

Modern life is unthinkable without natural property rights. Especially in terms of owning motor vehicles, as the country's demand for their purchase is high. However, it represents a source of increased danger, which is objectively impossible to control entirely, and several issues remain unsolved. For example, there is a conflicting attitude in determining the issue



of the origin of the ownership right to the motor vehicle and the compensation for damages caused due to its use. Even though the mentioned problem is, at first glance, a widely researched legal aspect, we are faced with some problems and inaccuracies, which make it challenging to regulate the issue and bring it into the legal framework per the legislation.

It's important to note that despite the efforts of Georgian scientists and public figures, establishing a perfect legal system is an ongoing process that requires the collective effort of generations. Adopting a law or other normative act is the beginning of perfecting the legislation. The Civil Code of Georgia is a stepping stone in establishing civil relations in Georgian society. It's crucial to continue conducting scientific studies of positive law and developing proposals for its improvement, as this is key to the evolution and improvement of the legal system.

Therefore, it is the responsibility of the legislator to develop an effective legislative framework for eliminating individual legal deficiencies identified through court practice over time. This will help eliminate the deficiencies in this direction. Also, from the point of view of regulating the transfer of ownership rights to movable objects, great importance is attached to the systems presented in the legislation of different countries and defined according to tradition, consensual, abstract, or causal systems. Therefore, the present article emphasizes the characteristics of the existing systems in the Netherlands, France, Germany, and Georgia, which are discussed as examples of civil legislation.

საჯარო რეესტრის უძყუარობის და სისრულის პრეზუმფციის როლი საკუთრების უფლების განხორციელებაში

ანა ცერაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

საკუთრების უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. საქართველოში საკუთრების უფლება აღიარებულია და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით. საკუთრების უფლების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ არის უნაკლო, ხშირია აღნიშნული უფლების დარღვევის ფაქტები. სტატიაში განხილულია რამდენიმე აქტუალური საკითხი, რომელიც დაკავშირებულია უძრავ ნივთზე რეგისტრაციის სისტემასთან. საქართველოში მოქმედი უძრავი ნივთების რეგისტრაციის სისტემა საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებას, რადგან ვერ უზრუნველყოფს სათანადო დონეზე მესაკუთრის

უფლების დაცვას. საკანონმდებლო ხარვეზად მიგვაჩნია, ასევე თანამესაკუთრების რეგისტრაციის სავალდებულოობის არარსებობა, ამით ერთ-ერთი მესაკუთრის და კეთილსინდისიერ შემძენს შორის მესაკუთრის ინტერესთა კონკურენცია ჩნდება, რადგან კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესის დაცვა აღნიშნულ გარემოებაში ქართულ კანონმდებლობას პრიორიტეტულად მიაჩნია. კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ თანამესაკუთრების დროს შექმნილი ქონების გასხვისებისას, თანაბიარი ქონების დაუძველობით, ერთ-ერთი თანამესაკუთრის საკუთრების უფლება რჩება კანონმდებლობის მიღმა. ამისათვის კი, აუცილებელია შესწავლილ იქნას, როგორც საერთო საკუთრების ინსტიტუტის ნორმატიული მასალა, რომელიც არეგულირებს მესაკუთრისა და თანამესაკუთრების სამართლებრივ მდგომარეობას, ასევე საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სისტემას უნდა დაემატოს ისეთი მუხლი, რომელიც დაიცავს არა მხოლოდ კეთილსინდისიერ შემძენს, არამედ თანამესაკუთრესაც ერთნაირად, რადგან მიგვაჩნია, რომ სამართალში საკუთრების უფლების დაცვით უნდა ისარგებლოს ყველა სუბიექტმა ერთნაირად და კეთილსინდისიერი შემძენი არ უნდა იყოს პრივილეგირებულ მდგომარეობაში.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით განვიხილოთ სხვადასხვა აქტუალური საკითხი, რომლებიც უკავშირდება წარმოდგენილ თემატიკას. ამისათვის გამოვიყენებთ სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ლიტერატურას, სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინებს, გავანალიზებთ არა მხოლოდ ქართველ, არამედ უცხოელ მეცნიერთა ხედვებს და კანონმდებლობას.

1. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლის საფუძვლები (რომანულ-გერმანული სისტემის მიხედვით)

საკუთრების უფლების შექმნა, შეწყვეტა და დაპარგვა

„საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, ხოლო საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად, უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას.“¹

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობა უკავშირდება საჯარო რეესტრში პირის მესაკუთრედ რეგისტრაციის ფაქტს.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება №1/51.

უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნის სხვადასხვა ფორმები არსებობს: საკუთრების შექმნა გარიგების საფუძველზე; კანონის საფუძველზე; მისაკუთრებით (მითვისებით); მემკვიდრეობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ქონების შექმნისას, გარიგება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით და ამ გარიგების რეგისტრაცია განხორციელდეს საჯარო რეესტრში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი ადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების წერილობით ფორმას, ხოლო 183-ე მუხლი წერილობით ფორმასთან ერთად, იმპერატიულად მოითხოვს უძრავი ნივთის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.² კანონის საფუძველზე, გარიგების გაფორმება ხდება სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, სადაც უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, გარიგების მხარეები ხელს აწერენ ხელშეკრულებას. საჯარო რეესტრის წარმომადგენელი გარიგების შინაარსზე პასუხისმგებელი არ არის, ის მხოლოდ ხელმოწერის ფაქტს ადასტურებს და ამოწმებს, განკარგავს თუ არა უძრავ ქონებას მესაკუთრე. სამწუხაროდ, მარეგისტრირებელ ორგანოში არ ხდება გარიგების შინაარსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა და სხვა გარემოებების შემოწმება. ვფიქრობთ, საჯარო რეესტრში წარდგენილი დოკუმენტაცია დეტალურად უნდა იქნას შემოწმებული, რომ ტექნიკური ხარვეზებით არ მოხდეს დოკუმენტაციის რეგისტრაცია, რომელიც შემდგომ დავის საგანი გახდება. ასევე, აუცილებელია განხორციელებული სარეგისტრაციო წარმოების შედეგზე რეგისტრატორს და საჯარო რეესტრს დაეკისროს პასუხისმგებლობა, როგორც ეს ხდება გერმანიასა და საფრანგეთში.

2007 წელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, განისაზღვრა გარიგების წარდგენის წესი საჯარო რეესტრში და გაუქმდა სარეგისტრაციო სამსახურში წარსადგენი გარიგების სავალდებულო ნოტარიალური დამოწმების წესი. საკანონმდებლო ცვლილება მიზნად ისახავდა სარეგისტრაციო წარმოების გამარტივებასა და რეგისტრაციის პროცესის დაჩქარებას. ცვლილება ეფუძნება „ერთი სარკმლის“ პრინციპის შემოღებას საჯარო რეესტრის სისტემაში.³

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული დოქტრინა, რომელის მიხედვით, რომანული და გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნების

² ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, გამომც. მერიდიანი, თბ., 2010, გვ. 22.

³ შოთაძე თ., სანივთო (ქონებრივი სამართალი) თეორია, პრაქტიკა, შედარებითი კვლევა, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, თბ., 2017, გვ.476.

კანონმდებლობა აწესრიგებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემას. მოკლედ მიმოვიხილოთ ორივე მათგანი. პუბლიკაციური ეწოდება ისეთ სისტემას, სადაც მხარეები განსაზღვრავენ უფლების გადასვლის მომენტს, ხოლო საადგილმამულო ეწოდება ისეთ სისტემებს, სადაც საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტი უკავშირდება საჯარო რეგისტრაციის ფაქტს.⁴ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სწორედ არის მიჩნეული საადგილმამულო სისტემის დანერგვა და ყურადღების მიღმა დარჩა უფლებათა პუბლიკაციის რომანული სისტემა. ვეთანხმებით ბატონ ზურაბ ჭეჭელაშვილს, რომ ორივე სისტემას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, რაც მთავარია, ორივე სისტემა ემსახურება როგორც საკუთრების უფლების დაცვას და ცდილობს დანერგოს უსაფრთხო რეგისტრაციის პროცედურები. უფლებათა პუბლიკაცია ემსახურება იმას, რომ ცნობილი იყოს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მფლობელის პიროვნება. საადგილმამულო წიგნში კი, რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს, ანუ უფლება, რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას, წარმოშობილად ითვლება რეგისტრაციის მომენტიდან. ფრანგული სამართლის მიხედვით და ასევე, იმ ქვეყნების სამართლებრივ სისტემაში, სადაც ფრანგული სამართალი იქნა რეცეფცირებული, საკუთრების უფლება ქონებაზე, მხარეთა შეთანხმების მომენტიდან ე. ი. ხელშეკრულების დადებიდან გადადის შემდგომ. ამ მომენტისთვის საკუთრების უფლება რელატიურია. ხელშეკრულების მხარეთათვის ის სამართლებრივი ძალის მქონეა, მესამე პირებისთვის კი, ამ ხელშეკრულებას ძალა აქვს სპეციალური რეესტრის გამოქვეყნების, პუბლიკაციის მომენტიდან. მანამდე ქონება მესამე პირების ინტერესში ითვლება გამსხვისებლის ქონებად და კრედიტორს შეუძლია მოახდინოს იძულებითი აღსრულება ამ ქონებაზე. უძრავ ქონებაზე მესამე პირების ინტერესი პუბლიკაციური სისტემის დროს დაცულია. უნდა აღინიშნოს, რომ გარიგების მხარეთა ნებისათვის სამართლებრივი შედეგების დაკავშირების მხრივ, პუბლიკაციური სისტემა უფრო მოქნილი და დახვეწილია. ამ სისტემით აგებულია კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ეფუძნება ფრანგულ სამართალს, მაგრამ უფრო დახვეწილი და თანამედროვეა. დღესდღეობით კვებეკის სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებიც არეგულირებს სანივთო სამართლის საკითხებს, კერძოდ, უძრავ ქონებაზე სანივთო უფლების შექმნას, შეწყვეტას, შეცვლას, გადაცემას და ა.შ. წარმოადგენს სრულყოფილ ნორმატიულ აქტს,

⁴ ფხაკაძე ნ., მესაკუთრის მოთხოვნით უძრავ ნივთზე რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერება, როგორც საკუთრების დაცვის ირიბი საშუალება (რეფორმების საჭიროება და პერსპექტივები), უსრ. სამართალი და მსოფლიო №22, 2022, გვ. 178.

რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ზემოთ ნახსენები საკითხის შესწავლის და კვლევის სრულყოფილების მიზნით.⁵

რაც შეეხება უძრავი ნივთის მიტოვების საკითხს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მესაკუთრემ საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ განაცხადით უნდა მიმართოს საჯარო რეესტრს. საკუთრების უფლება შეწყვეტილად ჩათვლება ამ უფლების მიტოვების შესახებ განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს მიტოვებული უძრავი ქონების იურიდიული ბედის სამოქალაქო კანონმდებლობის მიღმა დარჩენა. ნორმა, რომელიც განკარგავს მიტოვებული უძრავი ქონების საკითხს, მოთავსებულია „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლში, რომლის მიხედვით, მიტოვებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას იძენს სახელმწიფო.⁶ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §928-ე პარაგრაფი არეგულირებს უძრავი ქონების საკუთრების უფლების მიტოვების საკითხს.

უძრავი ქონების საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს მეტი სიცხადე, სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების შექმნასთან დაკავშირებით, საჭიროა შემუშავდეს ისეთი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც დაიცავს საკუთრების შემქმნელს.

1.2. თანამესაკუთრეთა საკუთრების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები

საერთო საკუთრების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს თანაზიარი ქონება, რომელსაც მეუღლეები თანაცხოვრების პერიოდში იძენენ. თანასაკუთრებაში შექმნილი ქონების იურიდიულ ბედს წყვეტს სამოქალაქო კოდექსის საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ნორმები. იქიდან გამომდინარე, რომ მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, ერთობლივად შექმნილი საკუთრება მოიცავს უძრავ ქონებას, მასზე უნდა გავრცელდეს უძრავი ნივთების სამართლებრივი რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმები. ამისათვის აუცილებელია უპირველესად, თანაზიარი ქონების რეგისტრაცია. როგორც უკვე აღინიშნა, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია წერილობითი ფორმით გარიგების დადება

⁵ ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა) მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბ., 2016, გვ. 178-182.

⁶ საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, კონსოლიდირებული 29/11/2022, მე-14 მუხლი.

და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რაც შეეხება განსახილველ საკითხს, ამ შემთხვევაში ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლს ალტერნატივა არ მოეპოვება, ხოლო 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმვლობაში შეძენილი ქონება არის მათი საერთო საკუთრება (თანასაკუთრება), შესაბამისად, ეს რეჟიმი ასევე, ვრცელდება უძრავ ქონებაზეც. სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულია დავები, რომლებიც ეხება ქონების გასხვისებას კეთილსინდისიერ შემძენზე ისეთ ვითარებაში, როდესაც ამ უკანასკნელმა არ იცის მეუღლეთა თანასაკუთრების შესახებ. ბუნებრივია, სამოქალაქო კოდექსის ნორმების თანახმად, კეთილსინდისიერი შემძენი დაცულია, მაგრამ აქ თავს იჩენს სხვა პრობლემური საკითხი, კერძოდ, მეორე მეუღლის, თანამესაკუთრის საკუთრების უფლების დაუცველობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი, რადგან თანამესაკუთრე მეუღლემ არაფერი იღონა, საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რომ დაერეგისტრირებინა. კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესის დაცვის საკითხი მაშინაც დგება, როცა თანამესაკუთრე მეუღლისგან მალულად მოხდება ერთ-ერთი მეუღლის სახელზე ქონების რეგისტრაცია. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც კეთილსინდისიერი შემძენის უფლების უარყოფის სამართლებრივი საფუძველი არ არის.⁷ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, პროფესორ თამარ ზარანდიას განსხვავებული მოსაზრება აქვს. მისი აზრით, მიიჩნევა თუ არა მეორე მეუღლის რეესტრში რეგისტრაცია საკუთრების უფლების წარმოშობის წინაპირობად – სადავოა, რადგან ორივე მეუღლის საკუთრების უფლების რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენს საკუთრების უფლების წარმოშობის წინაპირობას, შესაბამისად, შემძენის კეთილსინდისიერება არანაირ როლს აღარ შეასრულებს და ადგილი ექნება უფლების მესაკუთრისგან შეძენას. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ქონებაზე ვრცელდება მეუღლეთა საერთო საკუთრების რეჟიმი, შემძენი შეძლებს გახდეს უძრავი ნივთის მესაკუთრე.⁸

გემოთქმულის გარდა, მეუღლეთა თანაცხოვრების დროს შეძენილი ქონების სამართლებრივი მოწესრიგების წესი შეიძლება განისაზღვროს საქორწინო ხელშეკრულებითაც.

ვფიქრობთ, გემოთ განხილული მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების უფლება სამართლებრივი დაცვის ქვეშ შეიძლება მოექცეს მხოლოდ ქორწინების სააქტო ჩანაწერის

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ. 98, 99.

⁸ ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მესამე შევსებული გამოცემა, 2023, გვ. 293.

გადამოწმებით. აღნიშნული მოხერხდება საჯარო რეესტრის თანამშრომლისთვის წვდომის უფლების მინიჭებით. ასეთ შემთხვევაში დაცული იქნება, როგორც მეუღლე-თანამესაკუთრის, ისე შემძენის იურიდიული ინტერესი.⁹

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის მიხედვით, „თუ ქონება წარმოადგენს ორივე მეუღლის თანასაკუთრებას, მაშინ არც ერთ მეუღლეს არ შეუძლია მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე განკარგოს თავისი წილი, თუ მათ შორის არ არის სხვა შეთანხმება.“¹⁰ ვფიქრობთ, შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის ეს ნორმა სამართლებრივ ჩარჩოში აქცევს მეუღლეთა საერთო საკუთრების განკარგვის საკითხს. სწორედ ასეთი სამართლებრივი რეგულირება შეუწყობს ხელს საერთო საკუთრების მონაწილე სუბიექტების საკუთრების უფლების დაცვას.

1.3. საჯარო რეესტრის როლი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენისას

რეგისტრაციის ინსტიტუტი უძრავლეს სამართლებრივ სისტემაში ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში. საჯარო რეესტრის როლი უძრავი ნივთის იურიდიული ბედის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. უძრავი ნივთის უხარვეზო რეგისტრაცია მესაკუთრის საკუთრების უფლების გარანტიაა. რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება განაპირობა რამდენიმე გარემოებამ: ასეთი სისტემის არსებობა უკავშირდება ნივთის მაღალ ღირებულებასა და სოციალურ მნიშვნელობას. საჯარო რეესტრის ერთ სივრცეში მდებარეობა მომხმარებელს უადვილებს რეგისტრაციის პროცესს. ჩვენთვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს უფლებათა რეგისტრაცია და გარიგების (აქტების) რეგისტრაცია. უფლებათა ნებისმიერი რეგისტრაციისას, რეესტრში აისახება უფლების წარმოშობა, შეწყვეტა, გადაცემა ან ცვლილება. თუმცა, აღნიშნული საკითხები ძირითადად, ფორმდება გარიგებით. შესაბამისად, აქტების რეგისტრაციით იმავდროულად, რეგისტრირდება უფლების წარმოშობა, შეწყვეტა ან ცვლილება. სხვადასხვა ქვეყანაში ამ საკითხს განსხვავებული სამართლებრივი მოწესრიგება აქვს, შესაძლოა ზოგან უპირატესობა მიენიჭოს გარიგებებს და არა უფლებათა რეგისტრაციას. ჩნდება კითხვა: რა იურიდიული შედეგი შეიძლება ჰქონდეს ამას უძრავი ქონების რეგისტრაციისას? უფლებაწარმოშობი რეგისტრაცია

⁹ ლაფაჩი ე., უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებაზე და დაცვაზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 101.

¹⁰ შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი (2017 წლის 1 იანვრს მდგომარეობით), თბ., 2018, მუხლი 201, გვ. 65.

ითვლება აუცილებელ პირობად უფლების წარმოშობის, შეწყვეტის ან შეცვლისათვის, ხოლო სააღრიცხვო რეგისტრაცია გამოიყენება ქონების მხოლოდ აღრიცხვის მიზნით და ბრუნვის სტაბილურობისთვის, ვინიდან ამ შემთხვევაში უფლება უკვე წარმოიშვა ან შეწყდა რეგისტრაციის გარეშე და რეესტრი ველარ ასახავს რეესტრში რეალურ სურათს, რა თქმა უნდა, ეს გარემოება შესაძლოა უარყოფითად აისახოს უძრავი ქონების ბრუნვაზე. ამიტომ კანონმდებლობით დადგენილია, რომ უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის ცვლილება ასახული უნდა იყოს საჯარო რეესტრში.¹¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საჯარო რეესტრის შესახებ ნორმები მოცემულია სანივთო სამართლის მეოთხე კარში – საჯარო რეესტრი. 2007 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად გაუქმდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესწორების მოთხოვნის უფლების, რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა და წინასწარი ჩანაწერის დამდგენი მუხლები. ახლებურად ჩამოყალიბდა უფლებათა რიგითობის და წინასწარი ჩანაწერის მომწესრიგებელი პროცედურული ნორმები, რომელიც დღესდღეობით, მოქმედ საქართველოს კანონში „საჯარო რეესტრის შესახებ“, 12-13 მუხლების სახით გვევლინება. ცვლილება შეეხო სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლსაც, რომლის თანახმად, რეესტრში მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრემუმფიცია, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. აღნიშნულ მუხლს დაემატა მესამე ნაწილი, რომლის მიხედვით, გარიგების დადებისას საჭირო არ არის თანამესაკუთრის თანხმობა, თუ ის არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მეოთხე ნაწილის თანახმად კი, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება ერთადერთ მესაკუთრედ, თუ ის რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემძენმა იცოდა იმ გარემოებაზე, რომ არსებობს სხვა თანამესაკუთრე.¹² ჯერ კიდევ, რომაული სამართალი კეთილსინდისიერებას უკავშირებდა „პატიოსნებას“, კანონსა და კეთილსინდისიერ შემძენს შორის არსებობდა კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.¹³

312-ე მუხლის ნორმატიული შინაარსიდან ნათელია, რომ ერთადერთ მესაკუთრედ კანონი აღიარებს რეგისტრირებულ მესაკუთრეს, ხოლო თუ არსებობს სხვა თანამესაკუთრე, რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, კარგავს ქონებაზე საკუთრების უფლებას. მიგვაჩნია, რომ მსგავსი ცვლილებები არცევს სამართლებრივი სტაბილურობის

¹¹ შოთაძე თ., სანივთო (ქონებრივი სამართალი) თეორია, პრაქტიკა, შედარებითი კვლევა, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, თბ., 2017, გვ. 498, 499.

¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 312-ე მუხლი.

¹³ Wieling H.J., Sachenrecht, Band 1 Sachen, Besits und Rechte an beweglichen Sachen, 2. Auflage, 2006, 173.

საფუძველს და არღვევს მხარეთა ინტერესების ბალანსს, კერძოდ, არარეგისტრირებულ თანამესაკუთრებსა და კეთილსინდისიერ შემძენს შორის. საქართველოში სახელმწიფო არ იღებს პასუხისმგებლობას დანაკარგი აუნაზღაუროს დაზარალებულ პირს, ამით რეგისტრაციის ქართული სისტემა ახლოს დგას გარიგების რეგისტრაციის ამერიკულ სააქტო სისტემასთან. შესაბამისად, ჩნდება გარიგების ტიტულის დაზღვევის საჭიროება. მსგავსი დაზღვევის შემოღებით ქართული კანონმდებლობა მოახდენდა ქონების დაზღვევას საკუთრების უფლების დაკარგვაზე. სატიტულო დაზღვევა ეს არის დაზღვევა, რომელიც იცავს ქონებას დაკარგვისაგან იურიდიული მანკიერების გამო, მაგალითად, შემძენი იძენს ნივთს, რომელზეც უკვე სხვა პირს გააჩნია საკუთრების უფლება.¹⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 312-ე მუხლის დანაწესში არ ითვალისწინებს უფლების გაუქმების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლება ამოშლილია, ივარაუდება, რომ ეს უფლება გაუქმდა. აღნიშნული გათვალისწინებულია ესტონეთის „სანივთო სამართლის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §891-ის მე-2 ნაწილით.¹⁵

ვეთანხმებით ბატონ ზურაბ ჭეჭელაშვილს, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმატიული მასალა არ არის საკმარისი კერძო სამართლის ზემოთ განხილული უძრავი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და ძირეული საკითხების მოწესრიგებისათვის.¹⁶

1.4. თანამედროვე სარეგისტრაციო სისტემები

(საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ს, ინგლისისა და სკანდინავიური ქვეყნების მაგალითზე)

სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში განსხვავებული სარეგისტრაციო სისტემები მოქმედებს. უძრავ ნივთზე სანივთო უფლებათა არსებობა/არარსებობის საკითხი სწორედ სარეგისტრაციო სისტემასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, სარეგისტრაციო სისტემის კლასიფიკაციას კერძო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

¹⁴ მესხიშვილი ნ., ქონების კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2018, გვ. 173-176.

¹⁵ ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა) მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბ., 2016, გვ. 196.

¹⁶ ჭეჭელაშვილი ზ., სვლა ახალი სამოქალაქო კოდექსისკენ (შედარებით-სამართლებრივი კვლევა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღების აუცილობლობის დასაბუთება), თბ., 2021, გვ. 138.

საინტერესოდ მიგვაჩნია საქართველოში მოქმედი სარეგისტრაციო სისტემის განხილვა და იმის დადგენა, თუ რა დადებითი და უარყოფითი თვისებები აქვს მას სხვა ცივილური ქვეყნების სისტემებთან შედარებით.

არსებობს ორი სარეგისტრაციო სისტემა – უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაციისა (title registration) და უძრავ ნივთებთან დაკავშირებული გარიგების რეგისტრაციის (deeds registration). ქვეყნებში, სადაც მოქმედებს გარიგების რეგისტრაციის სისტემა, ჩანაწერი ატარებს საინფორმაციო ხასიათს. აღნიშნული სისტემა მოქმედებს აშშ-ში, მაგრამ ზოგიერთ შტატში მოქმედებს ტორენსის სისტემა. ამ სისტემის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პირის დაფიქსირება მესაკუთრედ საჯარო რეესტრში ნიშნავს მის ურყევ უფლებას მოცემულ ობიექტზე. უფლების რეგისტრაციის ჩანაწერის დადებითი მხარე არის მისი აბსოლუტური ძალა, შესაბამისად, ის იცავს როგორც გარიგების მონაწილეებს, ასევე მესამე პირებს. ტორენსის სისტემის თანახმად, გენერალურ რეგისტრატორს ფართო უფლებამოსილება აქვს ტიტულის ან უძრავ ნივთზე უფლების შემოწმებისას. ჩანაწერის გაკეთებისა და უფლების ატესტატის გაცემისას, უძრავი ნივთის ბრუნვა მარტივდება.¹⁷

ტორენსის სისტემისთვის დამახასიათებელია შემდეგი პრინციპები: სარკის პრინციპი, ფარდის პრინციპი და ზიანის ანაზღაურების გარანტირებულობის პრინციპი. სარკის პრინციპის (mirror principle) მიხედვით, უძრავ ნივთზე რეგისტრირებული უფლებები ზუსტად უნდა იყოს ასახული და უნდა ჩანდეს ამ ნივთების რეალური მდგომარეობა. შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო ეყრდნობა ამ პრინციპს თავისი საქმიანობის განხორციელებისას, რისთვისაც იგი ითხოვს მესაკუთრის არსებობის მტკიცებულებას. ასევე, რეესტრში შეიტანება შეზღუდვებისა და დატვირთვის შესახებ უფლებები. ფარდის პრინციპის (curtain principle) თანახმად, შემძენს შეუძლია დეყრდნოს რეგისტრირებულ მონაცემებს. ზიანის ანაზღაურების გარანტირებულობის პრინციპი (indemnity Principle) კი, თავისთავად გულისხმობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას სახელმწიფოს მხრიდან რეგისტრაციის პროცესში, რეგისტრატორის მიერ დაშვებული შეცდომის გამო. ეს პრინციპი ასევე, ცნობილია როგორც დაზღვევის პრინციპი და ასევე, დამახასიათებელია ინგლისისათვის.¹⁸

უფლების რეგისტრაციის სისტემა მკვეთრად განსხვავდება გარიგების რეგისტრაციის სისტემისაგან, აქ სანივთო უფლებები წარმოიშობა რეესტრში რეგისტრაციის საფუძ-

¹⁷ მესხიშვილი ნ., ქონების კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2018, გვ. 175.

¹⁸ ლაფაჩი ე., უძრავ ნივთზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 67, 68.

ველზე. აღნიშნული სისტემა მოქმედებს ისეთ ქვეყნებში, სადაც რეგისტრაციის ფაქტს კონსტიტუციური მნიშვნელობა ენიჭება და სანივთო უფლებები წარმოიშობა რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე. ასეთებად გვევლინებიან ქვეყნები, სადაც საადგილმამულო სისტემის მქონე ქვეყნებია, მაგალითად, გერმანია. საქართველოს სარეგისტრაციო სისტემა მიეკუთვნება უფლების რეგისტრაციათა ჯგუფს.¹⁹

ყველა სარეგისტრაციო სისტემა იყოფა ორად: ფრანგული სარეგისტრაციო სისტემის მოდელი, რომელიც ცნობილია ტრანსკრიპციურ-ინსკრიპციული სასტემის სახელწოდებით და მეორე გერმანული სარეგისტრაციო სისტემა, რომელიც ცნობილია საადგილმამულო სისტემის სახელით.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე. ფრანგულ სარეგისტრაციო სისტემას ახასიათებს ის, რომ იგი იწარმოება სუბიექტის პრინციპის მიხედვით. ჩანაწერი შეიტანება რეესტრში უფლებამოსილი პირის სახელზე და არა ობიექტზე, რომელზედაც წარმოიშობა უფლება. ასეთი სახის წარმოება ართულებს უძრავ ნივთზე სამართლებრივი მდგომარეობის გარკვევას თუმცა, ორგანიზაციის სათანადო მუშაობის შედეგად, სამოქალაქო ბრუნვისთვის არ წარმოშობს პრობლემას. საფრანგეთის სარეგისტრაციო სისტემა არ იზიარებს ჩანაწერის პრინციპს შესაბამისად, უფლება უძრავ ნივთზე წარმოიშობა არა რეგისტრაციის მომენტიდან, არამედ გარიგების დადების მომენტიდან. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1585-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადადის შემძენზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთანავე, მიუხედავად მისი რეგისტრაციის, ფასის გადახდის და ქონების გადაცემისა. კონსენსუალური სისტემის დადებითი მხარე არის ის, რომ ის აადვილებს სამოქალაქო ბრუნვას და მხარეებს აძლევს საშუალებას, თავად განკარგონ საკუთრების უფლება. აღნიშნული სისტემის უაყოფით მხარედ მიგვაჩნია საჯარო პრინციპის უარყოფა.²⁰

სკანდინავიური ქვეყნების კერძოდ, შვედეთის, ნორვეგიის, ფინეთის სარეგისტრაციო სისტემა შედგება ორი ქვესისტემისაგან: ძველი დანიურ-ნორვეგიული და ახალი შვედურ-ფინური. ამ ქვეყნების სისტემაზე გავლენა იქონია გერმანულმა სამართალმა. თითოეულ საკანდინავიურ ქვეყანაში არსებობდა ორი განსხვავებული რეესტრი: საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებათა რეესტრი, უფრო ზუსტად რომ ითქვას, სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ რეესტრი და საადგილმამულო რეესტრი, ანუ უძრავი ქონების

¹⁹ იქვე გვ. 52.

²⁰ შოთაძე თ., სანივთო (ქონებრივი სამართლი) თეორია, პრაქტიკა, შედარებითი კვლევა, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, თბ., 2017, გვ. 505, 506.

რეესტრი. განსხვავება რეესტრების დასახელებაშიც ვლინდება – სანივთო უფლებათა რეესტრი გვევლინება „მიწის რეესტრის“ სახელწოდებით, ხოლო ერთიანი რეესტრი კი, ცნობილია, როგორც „უძრავი უფლებათა რეესტრი.“ ფინეთში კი, ორი დამოუკიდებელი რეესტრი მოქმედებს: მიწაზე უფლებათა და იპოთეკების რეესტრი ანუ სანივთო უფლებათა რეესტრი და უძრავი ქონების რეესტრი. სკანდინავიურ ქვეყნებში გერმანული მოდელი არ იქნა გაზიარებული, უფრო მეტიც, აქ საკუთრების გადაცემა ხდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან შესაბამისად, რეგისტრაცია არ არის უფლების წარმომშობი ფაქტი, ის მხოლოდ იცავს მესამე პირთა უფლებებს. დანიაშიც შვედეთის მსგავსად, უფლების გადაცემის მსგავსი სისტემა მოქმედებს.²¹

დასკვნა

კვლევის შედეგად მივედით შემდეგ დასკვნამდე: იმისათვის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის პროცესი უხარვეზოდ წარიმართოს, საჭიროა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების სათანდო დაცვა, რაც შესაძლებელია უსაფრთხო სარეგისტრაციო სისტემის შექმნით. ჩვენ ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში აუცილებელია შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვით, ერთობლივად დადგება საჯარო რეესტრის პასუხისმგებლობა ისევე, როგორც საჯარო რეესტრის თანამშრომლის, რომელიც პასუხისმგებელია რეგისტრაციის პროცესზე. ამისათვის საჭიროა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები. პირველ ყოვლისა, უძრავი ქონების რეგისტრატორს უნდა დაევალოს გარიგების ნამდვილობის დადგენისთვის მოითხოვოს საჭირო ცნობები უძრავი ქონების და მესაკუთრის/თანამესაკუთრების შესახებ შესაბამისი სამსახურიდან და ამის შემდეგ მოახდინოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია, უძრავი ქონების დაზღვევის სპეციალური ფორმის დანერგვა, ამისათვის კი, საჭირო იქნება სახელმწიფოს მხრიდან შეიქმნას უძრავი ქონების სადაზღვევო ფონდი, საიდანაც მოხდება დაზარალებული მესაკუთრის კომპენსაცია, თუ მან საკუთრების უფლება დაკარგა საჯარო მოხელის დაუდევრობით და სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო. აღნიშნული პრაქტიკა გამოიყენება ზოგიერთ ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში.

²¹ შოთაძე თ., სანივთო (ქონებრივი სამართლი) თეორია, პრაქტიკა, შედარებითი კვლევა, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, თბ., 2017, გვ.513-518.

სტატიაში განხილულ იქნა საერთო საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი, კერძოდ, ქორწინების პერიოდში შექმნილი უძრავი ქონება. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი მეუღლეებს აძლევს თანასაკუთრების მოპოვების შესაძლებლობას და არ იცავს მათი თანაზიარი საკუთრების უფლებას. ეს გარემოება ნეგატიურად აისახება საკუთრების უფლების განხორციელებაზე. ვფიქრობთ, თანამესაკუთრეთა ერთობლივი საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტი არ უნდა დარჩენს საკანონმდებლო ჩარჩოს მიღმა. აუცილოებელად მიგვჩნია სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლს დაემატოს ¹¹ ნაწილი, რომლის მიხედვით, თანაზიარი საერთო საკუთრების უფლება უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში. ამის გარდა, ქონების რეალიზაციის დროს, საჯარო რეესტრის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციაში, პრევენციის მიზნით, უნდა იყოს წარდგენილი მეორე მეუღლის თანხმობა ქონების რეალიზაციისთან დაკავშირებით. ასეთი საკანონმდებლო მიდგომა დაიცავს ორივე მეუღლის იურიდიულ ინტერესს და თავისთავად, მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლო დავებს. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან ერთად, უნდა მოხდეს საჯარო რეესტრის ნორმების სრულყოფაც და უძრავი ნივთების უფლებათა რეესტრში მე-11 მუხლის პირველი პუნქტის უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებულ უფლებებს დაემატოს საერთო საკუთრების უფლება. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის მიხედვით, „თუ ქონება წარმოადგენს ორივე მეუღლის თანასაკუთრებას, მაშინ არც ერთ მეუღლეს არ შეუძლია მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე განკარგოს თავისი წილი, თუ მათ შორის არ არის სხვა შეთანხმება.“ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის საკითხს შემდეგნაირად არეგულირებს: §1365 თანახმად, „მეუღლეს შეუძლია იკისროს მეუღლეთა საერთო ქონების მთლიანად განკარგვის ვალდებულება, მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით. თუ მან ვალდებულება იკისრა მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, მაშინ მას ვალდებულების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თუ მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა.“ §1369 მუხლით კი, საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთები განიკარგება – „მეუღლეს შეუძლია განკარგოს საოჯახო მეურნეობაში არსებული მისი კუთვნილი ნივთები და იკისროს ასეთ განკარგვასთან დაკავშირებული ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა.“ მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმის ასეთი საკანონმდებლო რეგულირება ემსახურება საოჯახო ურთიერთობისა და საერთო საკუთრების უფლების დაცვას.

აუცილებელად მიგვაჩნია საჯარო რეესტრის შესახებ მატერიალურსამართლებრივი ნორმები მოთავსდეს სამოქალაქო კოდექსის მეოთხე კარში – საჯარო რეესტრის მარეგუ-

ლირებელ ნორმებთან ერთად. მოლდოვის და ესტონეთის სანივთო სამართლის შესახებ კანონებში საკმაოდ ლაკონურად და კომპაქტურად არის მოცემული საჯარო რეესტრს დაქვემდებარებული ნორმატიული მასალა. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არაფერია ნათქვამი რეესტრიდან ამოშლილი საკუთრების უფლების შესახებ, ივარაუდება, რომ ეს უფლება გაუქმდა. სასურველია, გავიზიაროთ გერმანიისა და ესტონეთის სამოქალაქო კოდექსის ჩანაწერები და სსკ-ის 312-ე მუხლს დაემატოს მე-5 ნაწილი შემდეგი შინაარსით: „საჯარო რეესტრიდან ამოშლილი საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე არ არსებობს.“

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასურველია, სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსით: „უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვებისას, საერთო საკუთრების დროს, აუცილებელია განცხადება ყველა თანამესაკუთრისაგან აღნიშნული ქონების მიტოვების თაობაზე, გარდა ამისა, განცხადების რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს საჯარო რეესტრში, რის შემდეგაც უფლების მიტოვება ჩაითვლება იურიდიული ძალის მქონედ.“ ქართული კანონმდებლობის გერმანულ კანონმდებლობასთან შედარებისას, თვალსაჩინოა შემდეგი გარემოებანი: გერმანიის სამოქალაქო კოდექსისი § 928 თანახმად, „მესაკუთრე უფლებამოსილია მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება მიატოვოს საჯარო რეესტრში უარის განცხადებით და რეგისტრაციით,“ ასეთი დებულება საჭიროა შემუშავდეს ქართულ ნორმატიულ მასალაში უძრავ საკუთრებასთან მიმართებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საკუთრების უფლების დაცვა და უხარვეზო სარეგისტრაციო სისტემის დანერგვა არის კერძო სამართლის ამოცანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მესამე შევსებული გამოცემა, 2023;
2. ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, გამომც. მერიდიანი, 2010;
3. შოთაძე თ., სანივთო (ქონებრივი სამართალი) თეორია, პრაქტიკა, შედარებითი კვლევა, სუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, 2017;
4. ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა) მეოთხე გადამუშავებული გამოცემა, 2016;
5. ჭეჭელაშვილი ზ., სვლა ახალი სამოქალაქო კოდექსისკენ (შედარებით-სამართლებრივი კვლევა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღების აუცილობლობის დასაბუთება), 2021;
6. Wieling H.J., Sachenrecht, Band 1 Sachen, Besits und Rechte an beweglichen Sachen, 2. Auflage, 2006.


THE ROLE OF THE PRESUMPTION OF INFALLIBILITY AND COMPLETENESS OF THE PUBLIC REGISTRY IN THE EXERCISE OF OWNERSHIP RIGHTS

ANA TSERADZE

Caucasus International University

Ph.D. student of the Faculty of Law

Property rights are one of the fundamental rights. The right to property in Georgia is recognized and guaranteed by Article 19 of the Constitution of Georgia. Domestic legislation on the protection of property rights is not flawless; there are frequent violations of the said right. The article discusses several important issues related to the real estate registration system. The real estate registration system operating in Georgia needs a legislative change, as it cannot protect the owner's rights at an appropriate level. We consider the non-existence of mandatory registration of co-owners a legal deficiency, as it creates a competition of ownership interests between one of the owners and the bona fide purchaser, as Georgian legislation considers the protection of the interests of the bona fide purchaser to be a priority in this circumstance. The research revealed that during the alienation of the property acquired



during co-ownership, the property rights of one of the co-owners remain beyond the scope of the legislation due to the vulnerability of the shared property.

For this, it is imperative to study the normative material of the institution of joint ownership, which regulates the legal status of the owner and co-owners. It is crucial to add an article to the registration system of the public registry that will protect not only the bona fide acquirer but also the co-owner in the same way. We firmly believe that all entities should benefit from protecting property rights in the law, and the bona fide acquirer should not be in a privileged position. The law should ensure fairness and equality for all parties involved.

This article will discuss various important issues related to the presented topic. For this, we used the scientific literature, judicial practice, and doctrines of different countries and analyzed the views and legislation of Georgian and foreign scientists.

რეცენზია ქეთევან კვინიკაძის სადისერტაციო ნაშრომზე: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შეძენა საკუთრების წარმოშობის თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში

სამეცნიერო ხელმძღვანელი –
ბესარიონ ზოიძე

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი

ქეთევან ქორაშვილი

*სამართლის დოქტორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის
თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრი*

ქეთევან კვინიკაძის სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სამოქალაქო სამართლის ქვედარგში – სანივთო სამართალი და ეძღვნება უძრავი ნივთის არაუფლებამოსილი გამსხვისებლისგან კეთილსინდისიერი შეძენის პრობლემას, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ორი ინტერესი: მე-

საკუთრის და კეთილსინდისიერი შემძენის (რომის სამართლისეული პრინციპი: არავის შეუძლია სხვას გადასცეს იმაზე მეტი უფლება, რაც თავად გააჩნია, ანუ შეუძლებელია არაუფლებამოსილი გამსხვისებლისგან საკუთრების თუნდაც კეთილსინდისიერი შეძენა, ჯერ კიდევ, შუა საუკუნეების გერმანულმა ჩვეულებითმა სამართალმა დაძლია და თანამედროვე სამოქალაქო სამართლის აღიარებულ დებულებას შეადგენს როგორც მოძრავი, ისე უძრავ ნივთების მიმართ).

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავლისგან, ძირითადი ნაწილისგან, რომელიც გადმოცემულია 5 თავში და დასკვნითი დებულებებისგან. დისერტანტს კვლევის ამოსავალ პუნქტად აღებული აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმა – 185-ე მუხლი, რომელმაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოდიფიცირება განიცადა და ასე ჩამოყალიბდა: **შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.**

დისერტანტს პრობლემის შესწავლა გაშლილი აქვს კვლევის ისტორიულ, დოგმატურ და შედარებით მეთოდებზე დაყრდნობით, ის საკითხს იკვლევს არა მხოლოდ ქართული სამართლისთვის ორგანული კონტინენტურ-ევროპული სამართლის ფარგლებში, არამედ განსხვავებული სამართლის სისტემების: ანგლო-ამერიკული, სკანდინავიის, აღმოსავლეთ ევროპის ფარგლებში.

სამეცნიერო კვლევას დისერტანტი იწყებს უძრავი ნივთის ცნების მიმოხილვით, კერძოდ, მისი ვიწრო (მხოლოდ მიწის ნაკვეთი) და ფართო გაგების (მიწა და სხვა უძრავი ნივთები, მიწასთან დაკავშირებული უფლებები) მოცემით. შემდეგ მიმოიხილავს საკუთრების გადაცემის თანამედროვე სამართლებრივ სისტემებს. მისთვის ცხადია ის ორი გარემოება, რაც ამ სისტემებს ერთმანეთისგან ანსხვავებს, კერძოდ: 1. შეუძლიათ თუ არა მხარეებს დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთრების გადაცემის მომენტი (კერძო სისტემა); 2. საჭიროა თუ არა სპეციალური საჯარო აქტი ამგვარი გადასვლის ნამდვილობისთვის (საადგილმამულო წიგნის სისტემა). დისერტანტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვი-

ლებს გერმანულ სისტემაზე, სადაც მოქმედებს გამიჯვნის და აბსტრაქციის პრინციპები. ამ უკანასკნელის არსებობის შედეგია ის, რომ საკუთრების უფლების გადაცემა ნამდვილია, მიუხედავად მის საფუძვლად არსებული კაუზალური ხელშეკრულების ბათილობისა. მკვლევარის პოზიციით, აბსტრაქციის პრინციპი მხარეთა შორის ურთიერთობას არსებითად არ ცვლის, რადგან კონდიქციის ნორმები შესაძლებლობას აძლევენ განმკარგავ პირს შემძენისგან ნივთის დაბრუნება მოითხოვოს. ამასთან, აბსტრაქციის პრინციპს არ გააჩნია მოქმედების ძალა მესამე პირის მიმართ და ძალმოსილია მხოლოდ პირველი შემძენის მიმართ, რადგან მესამე პირი ნივთს უფლებამოსილისგან იძენს და მისი სამართლებრივი მდგომარეობა სტაბილურია. საბოლოოდ, დისერტანტი აკეთებს დასკვნას აბსტრაქციის პრინციპის და კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის მიერ მსგავსი ფუნქციის შესრულებაზე, რასაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დაცვა შეადგენს.

დისერტანტი მთელი კვლევის მანძილზე ცდილობს დააპირისპიროს ერთმანეთს საკუთრება და მფლობელობა, გამორჩეულად კეთილსინდისიერი. ამ მიმართებით საინტერესო მაგალითი მოჰყავს საერთო (აშშ) სამართლიდან, კერძოდ, როდესაც პირი ხანგრძლივი დროის მანძილზე ფლობს მიწას და იმავდროულად აკმაყოფილებს გარკვეულ პირობებს, ის იძენს უფლებას მიწაზე მესაკუთრის თანხმობის გარეშე. მიიჩნევა, რომ ამ ინსტიტუტს ზარმაცი მესაკუთრისგან ტიტული გადააქვს ენერგიულ მშრომელზე, რითაც ხელს უწყობს მიწის ბარაქიან გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა მხოლოდ საერთო სამართლისთვის არ არის დამახასიათებელი და მსგავსი შემთხვევები მრავლად მოიძიება როგორც რომის, ისე ძველ ქართულ სინამდვილეში.

საკვლევი პრობლემა კი, უმთავრესად შემდეგი გარემოების გარშემო იქმნება: უძრავი ნივთის შემძენისას გამსხვისებელი რეგისტრირებულია რა მესაკუთრედ, ხოლო შემძენმა არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რომ გამსხვისებელი არ წარმოადგენს ჭეშმარიტ მესაკუთრეს (**ანუ ის კეთილსინდისიერია – პირის მიმართება ფლობის სამართლებრივი საფუძვლისადმი, მის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება, სინამდვილის სუბიექტური შეფასება სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერების და არაკეთილსინდისიერების განმსაზღვრელია**), იძენს ნივთზე საკუთრების უფლებას.

ამ მსჯელობის გაგრძელებაა მარეგისტრირებელი ორგანოს როლზე აქცენტი. დისერტანტის მოსაზრებით, რეგისტრაციის დანიშნულებაა მხარეთა ინტერესების უზრუნველყოფა და მათი უფლებების შესახებ დამატებითი მტკიცებულებების შექმნა. საჯარო რეესტრი საქართველოში, მისი ანალოგების მსგავსად მთელს მსოფლიოში, ხელს უწყობს საქონლის მიმოქცევას და მიიჩნევა სიმდიდრის შექმნის ინსტრუმენტად. გერმანული სამართლის წრის ქვეყნების სივრცეში რეგისტრაციისთვის მინიჭებული ფუნქციების შესწავლის ფონზე ნაშრომის ავტორი ჩამოთვლის რეგისტრაციის ფუნქციებს: უფლების წარმოშობა, რეგისტრირებული უფლების არსებობისა და შესაბამისად, არარეგისტრირებული უფლების არარსებობის პრეზუმფცია, კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვა. ამდენად, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულად აღქმად ფაქტებს, რომელთა მიმართაც არსებობს განსაკუთრებული ნდობა.

დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს, სსკ-ის 185-ე მუხლს. ამ მუხლის მოქმედების სივრცედ კვლევის ავტორი ასახელებს სამოქალაქო ბრუნვის გარიგებას, ასეთი კი მაშინ გვაქვს, როდესაც სამართლებრივი არაიდენტურობის, დამოუკიდებლობის გარდა, ის დადებულია ეკონომიკურად არაიდენტურ, დამოუკიდებელ პირებს შორის, ანუ ქონების გადასვლა იმ შემძენზე ხდება, რომელიც ეკონომიკურად სხვა სუბიექტს წარმოადგენს. **ვფიქრობ, დისერტანტი გაამდიდრებდა კვლევას, თუ აქვე იმსჯელებდა იმ საკითხებზე, რომლებიც საკუთრების გადასვლის პრობლემას უკავშირდება. კერძოდ, როდიდან გადადის ნივთიდან სარგებლის მიღებისა და განკარგვის უფლებამოსილება გამსხვისებლიდან შემძენზე; ნივთის შემთხვევით დაღუპვის და დაზიანების რისკის გადასვლის საკითხი; რა მოცულობით გადადის გამსხვისებლის ქონებრივი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემძენის ქონებაზე.**

დისერტანტი მსჯელობს კეთილსინდისიერების გამორიცხვის ვითარებაზე, ჩანაწერის უზუსტობის შესახებ შემძენის მიერ არცოდნის თაობაზე, საპირისპიროდ მისი მხრიდან პოზიტიური ცოდნა აუქმებს საჯარო რეესტრის კანონიერ პრეზუმფციას. დისერტანტის აზრით, უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა არ უთანაბრდება ცოდნას და იქვე გვთავაზობს მცირე მსჯელობას კონტინენტური ევროპის და საერთო სამართლის სივრცეში ბრალის

ფორმებთან მიმართებით, სადაც ამოსავალი წინდახედულების ნორმის სტანდარტის დაცვა (ცივილისტიკაში დამკვიდრებული შეხედულებით განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად გვერდიგვერდ მოიაზრება: შემძენი არ არის კეთილსინდისიერი, თუ მან იცის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად არ იცის, რომ ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის-გსკ-ის 932-(2)-ე პარაგრაფი. მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით, ანუ კეთილსინდისიერების არსის თაობაზე და შემდგომ მისი ბრალის ფორმებში გამოხატულების კუთხით, დოქტრინული ხასიათის მსჯელობა ნაშრომს გაამდიდრებდა). ასევე, დისერტანტის აზრით, სსკ-ის 185-ე მუხლი ვრცელდება უძრავი ნივთის სასყიდლით თუ უსასყიდლოთ შემძენზე. მისი აზრით, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ მისი მფლობელობიდან ნივთის გამოსვლა, უნდა იყოს ხელშემშლილი გარემოება კეთილსინდისიერი შეძენისთვის, როგორც ეს არის დადგენილი მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ გამსხვისებელმა დანაშაულებრივი გზით განახორციელა რეგისტრაცია, შემძენი არ უნდა დაიცვას იმ ფაქტმა, რომ არ იცოდა ჩანაწერის უსწორობის შესახებ.

მკლევარის აზრით, სამართლის უმაღლეს მიზანს სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოება შეადგენს და ეს უკანასკნელი მხოლოდ შემძენის ინტერესების დაცვით არ მიიღწევა, არამედ მესაკუთრის ინტერესების უზრუნველყოფითაც, მესაკუთრის, რომელსაც ასევე აქვს საჯარო რეესტრის ჩანაწერების სანდოობის კანონიერი მოლოდინი. ამდენად, დისერტანტის აზრით, სამოქალაქო ბრუნვის ხელშეწყობის სახელით არ უნდა წახალისდეს შემძენის გულგრილობა და არაკეთილსინდისიერი ქცევა. კეთილსინდისიერებას გამორიცხავს გარკვეული ცოდნა სინამდვილის შესახებ (კეთილსინდისიერება – bona fides, სინამდვილის არასწორი შეფასებაა, რომელსაც ამართლებს ნდობა გარეგნულად შეცნობადი ფაქტებისადმი – მოძრავი ნივთის მფლობელობა, უძრავი ნივთის მესაკუთრედ პირის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამდენად, მფლობელი დარწმუნებულია თავისი მფლობელობის მართლზომიერებაში, მან არ იცის უფრო ძლიერი უფლების შესახებ, პატიოსნად სჯერა, რომ მფლობელობა მოიპოვა სხვისი წყენის გარეშე, „სამოქალაქო ბრუნვის სარგებლიანობა და ეთიკა აქ ერთმანეთის თანმხვედრია“ (პეტრაჟიციკი). მაგ: ცოდნა საჩივრის

თაობაზე, რაც არის ობიექტური მოცემულობა, ანუ ფაქტი და მის მოქმედებაზე გავლენას ვერ ახდენს შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება, მისი არსებობა ცოდნასთან ერთად ან მის გარეშე საჯარო რეესტრის მონაცემების სისწორის პრეზუმფციის გამომრიცხავია. ამასთან, კეთილსინდისიერება მოითხოვება განაცხადის წარდგენის დროისთვის, ხოლო ამის შემდეგ მიღებული ინფორმაცია შემძენის კეთილსინდისიერებას ვეღარ დააზიანებს. ამას მოსდევს მსჯელობა საჩივარზე უფლებამოსილი სუბიექტის და საჩივრის უფლებრივი შედეგების თაობაზე: თავად საჩივრის რეგისტრაციის უფლება აქვს პირს, ვინც რეესტრის ჩანაწერის შესწორებას ითხოვს. რეგისტრირებული საჩივარი გამორიცხავს სისწორის და უტყუარობის პრეზუმფციას და ამდენად, ხელს უშლის კეთილსინდისიერ შემძენას. რეგისტრირებულ პროტესტს აქვს იგივე ეფექტი, რაც შემძენის პოზიტიურ ცოდნას ჩანაწერის უსწორობის თაობაზე. თუ შემძენს არ შეუმოწმებია რეესტრის მონაცემები, თავის მხრივ, საჯარო და ხელმისაწვდომი, ეს მის რისკს შეადგენს.

რაც შეეხება თავად საკუთრების წარმოშობის წესს უძრავ ნივთზე, დისერტანტის აზრით, ქართული სამართალი აღიარებს გამიჯვნის პრინციპს. კერძოდ, ერთმანეთისგან ასხვავებს ვალდებულებით გარიგებას ანუ კაუზას და სანივთოს, განკარგვით გარიგებას, საკუთრების გადაცემის შესახებ შეთანხმებას, რომელსაც **სავინი სანივთო ხელშეკრულებას უწოდებდა**. დისერტანტის პოზიციით, მას მოიცავს სკ-ის 183-ე მუხლი, თუმცა უარს ამბობს აბსტრაქციის პრინციპზე. ასევე, სხვა ადგილას უთითებს, რომ სკ-ის 311 პრიმა მუხლი მოიცავს სანივთო გარიგებას და როდესაც მასში საუბარია მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის წინაშე განხორციელებულ ხელმოწერაზე, სწორედ ეს არის ამ გარიგების ფორმა. **ვფიქრობ, საკუთრების უფლების წარმოშობის პროცესში მოძრავ თუ უძრავ ნივთებზე ვალდებულებით და სანივთო გარიგებათა ურთიერთგამიჯვნას ფუნქციური დატვირთვა სწორედ აბსტრაქციის პრინციპის მოქმედებისას გააჩნია (თუმცა, ეს ხელს არ უშლის გამიჯვნის და კაუზალობის პრინციპების თანაარსებობას ზოგიერთ ქვეყანაში მაგალითად, საბერძნეთი), რომლის მოქმედების სივრცეში კაუზას ბათილობის მიუხედავად, სანივთო გარიგება ძალმოსილია, ანუ მისგან აბსტრაგირებულად წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, საკუთრება გადააქვს გამსხვისებლიდან შემძენზე. თუმცა შემძენს,**

იძენს რა საკუთრებას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არა აქვს ნივთის შენარჩუნების უფლება და ვალდებულია ის დააბრუნოს კონდიქციური მოთხოვნის ფარგლებში. ხოლო ქართული სამართლის მიერ აბსტრაქციის პრინციპის არდასესხება სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის პროცესში, აღიარებული გერმანელი მეცნიერის როლფ კნიპერის მიერ ასე შეფასდა: ცხოვრებისთვის უცხო, ყბადაღებული, სანივთო სამართლის გადამეტებული აბსტრაქციის პრინციპი – სავინის ნაშრომით მომზადებული გერმანული განსაკუთრებული გზა – ქართველმა კანონმდებელმა საპატიო მიზეზით არ აირჩია. ჩემის მხრიდან დავძენ, რომ ქართული სინამდვილე საკუთრების შექმნის საკითხში მსგავსებას ამჟღავნებს რომის სამართლის მიდგომასთან, სადაც *cauza traditionis* -ზე დაყრდნობით *traditio* აღწევდა დასახულ მიზანს.

აღსანიშნავია, რომ დისერტანტი კრიტიკულად აფასებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ მან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განმარტა სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლები, კერძოდ, მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობა, მაშინ როდესაც ისინი შინაარსობრივად ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ორივე მათგანი მოიცავს ერთსა და იმავე კანონიერი პრეზუმფციისა და ამდენად, კეთილსინდისიერი შექმნის გამომრიცხავ გარემოებას – შექმნმა იცის, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე, ანუ იცის, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი უზუსტოა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სკ-ის 185-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმად: **„გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, იმ შემთხვევაში, როდესაც რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი და ეს ფაქტი შემძენისთვის ცნობილია.“** ანუ რეესტრის კანონიერი პრეზუმფცია აღარ მოქმედებს – გამსხვისებელი აღარ ითვლება მესაკუთრედ, თუ შეტანილია საჩივარი და ეს ფაქტი შემძენისთვის ცნობილია (კუმულატიური პირობა). დისერტანტის აზრით, როგორც 185-ე (ძველი რედაქცია), ისე 312-ე მუხლები შეიცავენ საჩივრის ცნებას, რომელშიც პირველ შემთხვევაში მოიაზრება ის ფართო გაგებით, ანუ რეესტრის ჩანაწერის ნებისმიერი ფორმით სადავოდ ქცევა, როგორც ადმინისტრაციული საჩივრის, ისე სარჩელის საფუძველზე, ხოლო 312-(2)-ე მუხ-

ლი გულისხმობს მხოლოდ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც პროტესტს რეესტრის ჩანაწერის სისწორის წინააღმდეგ. დისერტანტის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ნორმა კონსტიტუციურია ანუ მისი არსებობა ნორმატიულ სივრცეში დასაშვებია თუმცა, არაკონსტიტუციურია მისი იმგვარი გამოყენება, როდესაც შემძენის მიერ საჩივრის შესახებ შეტყობის მიუხედავად, გამსხვისებელი მანც ითვლება მესაკუთრედ. დისერტანტის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე არარეალური საფრთხე იდგა, რადგან 185-ე და 312-ე მუხლები საერთო სასამართლეობის მიერ ისედაც ურთიერთკავშირში გამოიყენებოდა. **უნდა ითქვას, რომ ვეთანხმები დისერტანტის ამ პოზიციას.**

ასევე, დისერტანტის აზრით, როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებზე, უსასყიდლო შეძენისას უნდა გამოირიცხოს კეთილსინდისიერი შემძენის მიერ საკუთრების უფლების მოპოვება და აქ უნდა გამოყენებულ იქნას ანალოგია, რადგან ამგვარი პოზიცია იქნება სამართლიანი. თუმცა თავად 185-ე მუხლიდან ეს არ გამომდინარეობს, რადგან მასში საუბარია შემძენზე და არა მყიდველზე, ხოლო შემძენი ფართო გაგებით შესაძლოა იყოს უსასყიდლოც.

საინტერესოა დისერტანტის მსჯელობა საკუთრების დაცვის დამატებით საშუალებებზე, როგორცაა წინასწარი ჩანაწერის ინსტიტუტი. ამ ჩანაწერით უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაცულია უკანონო განკარგვისაგან, ის მოთხოვნის კრედიტორს ხელშეკრულების დადებიდან მესაკუთრედ რეგისტრაციამდე პერიოდში, დაცულობას სთავაზობს და არ აძლევს გამსხვისებელს უფლებას შემძენთან ნაკისრი ვალდებულების საწინააღმდეგოდ განკარგოს ნივთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი განკარგვა ბათილია.

უნდა აღინიშნოს, რომ დისერტანტი იყენებს მრავალრიცხოვან ლიტერატურულ წყაროებს ქართულ თუ უცხოურ ენაზე, მრავლად აქვს მითითებული სასამართლო პრაქტიკის მასალები, მითითებული წყაროებიდან ირკვევა, რომ მას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში. კვლევის ავტორი დასკვნით დებულებებში გვთავაზობს რამდენიმე რეკომენდაციას, კერძოდ, აღდგეს სსკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული რეგისტრირებული საჩივრის ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრის შესახებ მესამე პირთა ინფორმირებას

საჯაროობის გზით, ასევე სავალდებულო გახდეს შემძენზე საკუთრების რეგისტრაციამდე მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის ინფორმირება ასეთი ტრანზაქციის შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული გაყალბებული დოკუმენტის საფუძველზე საკუთრების უფლების წარმოშობის შემთხვევები, ეს კი, მიიღწევა დარეგისტრირებული პირის მხრიდან სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

მიმაჩნია, რომ ქეთევან კვინიკაძის მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევა აკმაყოფილებს სადისერტაციო ნაშრომისთვის წაყენებულ მოთხოვნებს და იმსახურებს საჯარო დაცვაზე წარდგენას.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90, +995 599 51 97 36

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01





0177131212590021